CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
აბიტურიენტებისთვის
აცხადებს „ღია კარის დღეს“
27 თებერვალს, 13:00 საათზე
ვაჟა-ფშაველას გამზირი N 33
III სასწავლო კორპუსი, III სართული

N21/3336/ 24-26 თებერვალი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## კახა კუკავა: „შეგახსენებთ, სანამ ევროსაბჭომ არ თქვა, არჩევნები გაყალბდაო, „ვარდების რევოლუცია“ არ მოხდა“



„ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერთან მქონდა შეხვედრა, ცნობილი დეპუტატია. მე ასე, არ ვაგინებ მთავრობას, „ქართულ ოცნებას“, მის ხელმძღვანელებს და განსაკუთრებით, სამართალდამცავ ორგანოებს“

„ქართული ოცნების“ 90% ვერ იტანს ბიძინა ივანიშვილს და კოალიციის ლიდერებს — ვოლსკის და ა.შ. ეს საკითხები გარეთ იმიტომ არ გამოდის, რომ არ იციან, სად გაიქცნენ“

7



## როგორ შეუსრულებს გია ვოლსკი ბრეგაძეს დაპირებას, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს?

4



## რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში „რესპუბლიკელების“ კოალიციიდან გასვლით და რა შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა?



3

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რა ცვლილებები შედის ბავშვთა გაშვილების წესში და რა კანონს არღვევს მინისტრი წულუკიანი



11

### საქართველოში „ეფბიაი“-ს მსგავსი საგამოძიებო უწყება იქმნება?

რას აცხადებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თამჯდომარე...



9

### ვინ და რატომ მიიყვანს ქართველ ხალხს ამერიკული დროშების დაწვამდე?



13

### ფონიჭალაში მომხდარი საზარელი მკვლელობის ვერსიები



2

### რატომ ახდევინებს გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს გამოცდებზე რეგისტრაციის საფასურს?!

გამოცდების ეროვნული ცენტრი

8

### რას ამბობს გია კორკოტაშვილი ურგანტის შოუში სტუმრობაზე

6



### ინგა გრიგოლია მამუკა ახვლედიანზე: აი, ამ ტყუილის მერე რატომ უნდა დავუჯერო?!

10



### რა დაჯდება და როდის დასრულდება მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა

6



### „მშიშარა კაცის სამარცხვინო საქციელი“ — პროკურორის შვილის 5 400 ლარი

6



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში მიწის რეგისტრაციის შესახებ ალტერნატიული კანონპროექტი შეაქვს



„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ალტერნატიული კანონპროექტი შეაქვს.

– მთავრობამ პარლამენტში კანონპროექტი წარმოადგინა, რომლის განხილვაც დაწყებულია და რომელიც ითვალისწინებს შემდეგს – თუ პიროვნებას მიწაზე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს, ასეთი მიწები სახელმწიფო საკუთრებაში მოექცევა. ვინაიდან ეს საკითხი თითოეული გლეხისთვის ძალიან რთული და მძიმე იყო, 2012 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, ასეთი მიწების აღრიცხვა/აღწერა მოხდა და დოკუმენტაცია ეკონომიკის სამინისტროს გადაეგზავნა.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით დადგა საშიშროება, რომ გლეხმა მიწა დაკარგოს. კახეთის მაგალითზე გეტყვით, რომ ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრია. შესაძლოა, ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი გლეხი, საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩეს.

მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხი ყველას აღელვებს, ყველა რეგიონს. ჩვენ ვხვდებით მოსახლეობას და ეს კითხვები ისმება. სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვაქვს ალტერნატიული კანონპროექტი. გვსურს, რომ საქართველოს მთავრობამ ეს პროცესი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე წარმართოს და იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულებები, რომლითაც შესაძლებელია საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, ეს უსასყიდლოდ გააკეთოს და გლეხს მიწა საკუთრებაში გადასცეს, – აცხადებენ პარტიაში.

მიწის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი განცხადებას ავრცელებს:

– „პირველი – არაერთხელ განვაცხადე, რომ ცვლილებები, რომლითაც სახელმწიფო ნებაყოფლობით იზღუდავდა თავს ქონების განკარგვისგან, კერძო სექტორისა და საკუთრების დასაცავად, იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს არის წარდგენილი პარლამენტში, არ განიხილება, ხოლო ახალ რედაქციას უახლოეს დღეებში წარვადგენთ. მეორე – უკვე შემუშავებულია ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც გლეხებსა და ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო მიწის აზომვით სამუშაოებსა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯს სახელმწიფო დაუფინანსებს. დეტალებს სულ მალე გავაცნობთ საზოგადოებას... (ნიუპოსტი; რეპორტიორი)

რომელ ერთსქესიანთა ქორწინებაზე, რის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და „ნაც“-„ქოცების“ გულისამრევ დაპირისპირებაზეა საუბარი, როცა ქვეყანაში ასეთი საზარელი ფაქტები ხდება – ჯერ ქმარშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მაგდა პაპიძის ამბავი არ აქვს გადახარშული საზოგადოებას და 22 თებერვალს არანაკლებ არაადამიანური მკვლელობის მომსწრეები გავხდით – ზემო ფონიჭალაში დედა-შვილი გაუგონარი სისასტიკით დახოცეს. 42 წლის ნონა რომანაძეს ყელი გამოჭრეს, მისი 3 წლის გოგონა კი დაწვეს. მოკლული ქალბატონი, ახლობლებისა თუ მეზობლების დახასიათებით, შესანიშნავი დედა და ადამიანი იყო.

ერთად დაჰყავდა ბავშვები. დამასაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი.

ეს პატარა ბიჭი მომხდარს როგორ გადაიტანს, არ ვიცი. სკოლიდან დაბრუნდა და სახლი – დამწვარი, და და ნონა კი დახოცილები დახვდნენ. ეს შოკისმომგვრელი უბედურება სადღაც 12 საათზეა მომხდარი, მეზობლებმა დაახლოებით პირველ საათზე შენიშნეს ბინიდან გამოსული ბოლი და სახანძრო გამოიძახეს. კარი შეამტვრიეს და ეს საშინელება ნახეს, ქალი ძირს ეგდო, პატარა საძინებელში იყო გამომწვარი.

**— თავდაპირველად ითქვა, რომ დედა-შვილი ძარცვის მიზნით დახოცეს, თუმცა შემდეგ შსს-მ ეს ინფორმაცია უარყო.**

– კი, თავდაპირველად ქმარს ვამახსოვრა, ასეთი რამ როგორ დამართეს?!

ქალი და ბავშვი ბინიდან გამოასვენეს და კინაღამ ჩვენც იქვე დავიხოცეთ, ზეწრის ქვეშაც ჩანდა, რომ ნონა შიშველი და აშკარად ნაწამები იყო, ცალი მუხლი დასისხლიანებული ჰქონდა; არ ვიცი, ამის ჩამდენი სიკვდილით არ უნდა დაისაჯოს?!

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარი დანაშაულის ძიება 109-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას ითვალისწინებს. (kvirispalitra.ge)

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ნონა რომანაძე 35 წლის იყო და არა 42-ის, თუმცა მის ასაკს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს – მთავარი საზარელი სკოლაში წაიყვანა, ხოლო მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი სახლში, მძინარეები დატოვა.

მამფორიას მომხდართან დაკავშირებით არანაირი ვერსია არ აქვს. მისი თქმით, თავდაპირველად ეჭვი იყო, რომ მოხდა ყაჩაღობა, თუმცა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ფული სახლშია, ეს ვერსიაც გამოირიცხა.

კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ვინმეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მამფორიებს სახლში თანხა ჰქონდათ, მან უპასუხა, რომ ეს იცოდა ბიძაშვილმა და ასევე, მეზობლებმაც.

– რომ ვერაფერი გაიგეს, ბოლოს მითხრეს, შენ ხომ არ მოკალიო? არა-მეთქი, ვუპასუხე. ეს კითხვა იმიტომ

# ფონიჭალაში მომხდარი საზარელი მკვლელობის ვერსიები



მეხანძრეებმა, რომლებიც მეზობლებმა მას მერე გამოიძახეს, რაც ბინიდან გამოსული კვამლი დაინახეს, ქალი მისაღებში იპოვეს, ხოლო მცირეწლოვანი გოგონა საძინებელში დამწვარი ნახეს.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ დანაშაული ძარცვის მიზეზით მოხდა და ბინიდან 7 000 ამერიკული დოლარი და დიდი ოდენობით ოქრო იყო წაღებული, თუმცა მოგვიანებით შსს-მ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა. როგორც უწყებაში განმარტავენ, ორმაგ მკვლელობაში ძარცვის მოტივი არ იკვეთება, რადგან თანხა და ოქროულობა სახლში გამოსაჩენ ადგილას იყო შენახული, თუმცა წაღებული არ არის.

**მ.ო.; გარდაცვლილის მეზობელი:**

– მომხდარით შოკში ვართ ყველა, ნონასნაირი დედა და დიასახლისი სანთლითაა საძებარი. ქალს შინ 8 წლის გერი დახვდა და ისე შეიყვარა, ისე ამოუდგა მხარში, ამას ზოგჯერ საკუთარი დედაც ვერ ახერხებს. მერე თავადაც გაუჩნდა შვილი და ბავშვებს ერთმანეთისგან არ არჩევდა. გერს სკოლაში ხშირად დაჰყვებოდა, ეკლესიაშიც

– ოთარ მამფორიას უთქვამს, შინ 7000 დოლარი და ოქროულობა გვქონდაო, თუმცა ის შემდეგ ხელუხლებელი ნახეს, თურმე.

ოთარ მამფორია მონურად, დღედაღამ მუშაობდა მანქანების სამრეცხაოზე და ყველაფერს იკლებდნენ, რომ საცხოვრებელი პირობები გაეუმჯობესებინათ. ჩვენს კორპუსს „არაშენდა“ იმიტომაც ჰქვია, რომ ბოლომდე აშენებული არ იყო, როცა ხალხი შესახლდა და ბევრს დღესაც ბინა საკუთარ სახელზე არ აქვს დარეგისტრირებული. უმეტესობა საშინელ პირობებში ვცხოვრობთ, ზოგ სადარბაზოში კიბის მოაჯირები და ლიფტიც კი არ არის;

ოთარმა და ნონამ კი შეძლეს ბინა რალაცისთვის დაემსგავსებინათ, ბავშვების გაზრდისთვის ნორმალური პირობები ჰქონოდათ.

თავიდან ყველამ ვიფიქრეთ, რომ ვიღაც ნაძირალებმა ეს დაინახეს და ყაჩაღობა გადაწყვიტეს, მაგრამ ახლა ყველა ძალიან დაბნეულია. ითქვა, რომ დანაშაული შესაძლოა, შურისძიების გამო იყოს ჩადენილი, მაგრამ ვის რა დაუშავა საწყალმა ქალმა, რომელმაც აქაურებს თავი მხოლოდ სიკეთით დაგმკვლელობის ფაქტია, რომელიც შსს-მ დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიოს, დამნაშავე თუ დამნაშავეები კი უმკაცრესად დაისაჯონ!

როგორც ხდება ხოლმე, მომხდართან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთის თანახმად, 3 წლის ბავშვი დაიწვა, შემდეგ კი დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნოა, ვინაიდან, როგორც ამბობენ, ნონა რომანაძე ნაწამებია და ყელი აქვს გამოჭრილი.

ასევე, გავრცელდა ვერსია, თითქოს ნონა რომანაძეზე შური პირველმა ქმარმა იძია, რომელმაც ციხე ცოტა ხნის წინ დატოვა. თუმცა მალევე შსს-მ ოფიციალურად განაცხადა, რომ რომანაძეს მხოლოდ ერთი ქმარი ჰყავდა და ეს ოთარ მამფორიაა.

ოთარ მამფორიას განცხადებით, სამართალდამცველებმა თავდაპირველად ჰკითხეს, თავად ხომ არ მოკლა მეუღლე, თუმცა შემდეგ ეს ვერსია თავადვე გამორიცხეს. ამის შესახებ მამფორიამ დაკითხვისას განაცხადა.

მამფორიას განმარტებით, მან დილით უფროსი შვილი დამისვეს, რომ ვერაფერს გვაძლევ ხელჩასაჭიდსო. არც ისე დიდი ხანი მიდიოდა ამაზე საუბარი და მერე ეს ვერსია გამორიცხეს. მკითხეს, ასევე, თუ მყავდა მტერი უბანში, ან სანათესაოში და ესეც უარვყავი, – აცხადებს ოთარ მამფორია.

ცნობილია, რომ მოკლული დედა-შვილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთში გადაასვენეს.

ნონა რომანაძის ბიძა გენო ბერაძე:

– მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს, ნუ დაგვჩაგრავთ, გლეხი ხალხი ვართ და ბოლომდე გამოიძიეთ ეს საქმე...

ის კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა ამ საქმეში ყოფილი მეუღლე ფიგურირებდა:

– ეს არასწორი ინფორმაციაა. ეს იყო ჩემი ძმისშვილის პირველი ქორწინება. შოკში ვართ ამ უბედურებით. პატარა ბავშვი საერთოდ არ არსებობს და მხოლოდ ჩონჩხი ჩამოვიტანეთ. არანაირი პრობლემა მას და მეუღლეს შორის არ ყოფილა. არ შემიძლია რაიმე ვერსიაზე ვისაუბრო, შოკირებული ვართ ყველა.

## ზეწოლა-იძულება გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით... ჩაფიძის სკანდალური განცხადება



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ელისო ჩაფიძე სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ჩაფიძე ამბობს, რომ მის მიმართ გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით ზეწოლა-იძულება ხორციელდებოდა. ჩაფიძე არ აკონკრეტებს, ვინ ახორციელებდა პოლიტიკურ ზეწოლას მის მიმართ, თუმცა ამბობს, რომ ეს ადამიანები ხელისუფლებასთან დაახლოებული საბჭოთა წარსულის მქონე პირები არიან.

– ძალიან ბევრი სულის კანკალით ელოდება ჩემს წასვლას, მაგრამ მე კარის გაჯახუნებას არ ვაპირებ, – ამის შესახებ განცხადება, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ელისო ჩაფიძემ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში გააკეთა.

ჩაფიძემ ტყიბულში არსებულ მძიმე ვითარებაზე და თანაგუნდელებთან აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დაპირისპირებაზე ისაუბრა. დეპუტატი ამბობს, რომ უკვე რამდენიმე წელია, ცდილობს, საკანონმდებლო დონეზე არაერთი ინიციატივით მოაგვაროს ის მძიმე პრობლემები, რომელიც მეშახტეებს აქვთ, თუმცა, მისი თქმით, მმართველი გუნდის მხრიდან ფაქტზე არანაირი რეაგირება არ ხდება. ჩაფიძე ამბობს, რომ ეს არის ადამიანის აბუჩად აგდება, მათ შორის დეპუტატისა, რადგან გასულ წელს უნდა დაეწყო პარლამენტს მსჯელობა ტყიბულის მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მაგრამ არათუ მსჯელობა, საუბარიც კი არ დაწყებულა.

მისივე თქმით, უკვე ორი თვეა, სამინისტროებსა და კომიტეტებში აგზავნის უმისამართო წერილებს, რომელზეც პასუხები არ არსებობს. ჩაფიძემ ეთერში თანაგუნდელებთან არსებულ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე ისაუბრა. დეპუტატი კოლეგების ვინაობას არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ დაპირისპირება პროდასავლური ორიენტაციის მქონე და ასევე, პრორუსული დაკვეთის შემსრულებელ დეპუტატებთან აქვს. (პირველი რადიო)

## გერმანიიდან სირიასა და ერაყში საბრძოლველად 800-ზე მეტი ისლამისტი ჩავიდა

გერმანული გამოცემა Die Welt-ის ინფორმაციით, გერმანიიდან სირიასა და ერაყში საბრძოლველად 800-ზე მეტი ისლამისტი ჩავიდა. მათი ორი-მესამედი კი უკან გერმანიაში დაბრუნდა. ამის შესახებ გამოცემა გერმანიის სისხლის სამართლის ფედერალურ უწყებაზე დაყრდნობით წერს.

გამოცემის ინფორმაციით, გერმანიიდან წასული ისლამისტები ექსტრემისტულ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ-ნუსრას ფრონტის“ რიგებში გაწევრიანდნენ. მათგან 130 დაიღუპა. გერმანიიდან წასულთა უმეტესობა 22-დან 25 წლამდე ასაკის მამაკაცია. მათი 60 პროცენტი გერმანიის მოქალაქეა. (ნიუპოსტი)

## მორიგი სუიციდი კახეთში — ქალმა თავი მოიკლა



კიდევ ერთი სუიციდი კახეთში. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებმა ქალმა თავი მოიკლა.

გარდაცვლილი ოჯახის წევრებმა იპოვეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## მამუკა ახვლედიანი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უჩივლებს



თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის განცხადებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თავმჯდომარეობიდან მისი გადაყენების შესახებ, გადაწყვეტილება დარღვევებით მიიღო.

მამუკა ახვლედიანმა ტესტების წინასწარ გამჟღავნების შესახებ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დასრულებულ მოკვლევაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შესაძლოა, პროკურატურა ამ თემასთან დაკავშირებით უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეს და პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნასაც არ გამორიცხავს.

– როგორ ჩაატარეს მოკვლევა, რა ფორმით და რა უფლება ჰქონდათ, რომ ტერმინი – მოკვლევა, მგონი, შევარდნაძის ბოლო წლებშიც აღარ იყო ეს სიტყვა. ჩემთვის გასაკვირია, როდესაც საბჭოს მდივანი, რომელიც არის იმ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, თვითონვე ახდენს თავის კომისიაში, კომისიის გარეშე ე.წ. მოკვლევას და შემდგომ კაცმა არ იცის, რა მასალები გადააგზავნეს პროკურატურაში, როგორ გამოარკვია ეს საკითხები, როდესაც ამ საკითხში ჩართულია სასამართლო სისტემის ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გამოკითხა ეს ხალხი, თუ როგორ გაიგო, რომ არავინ არის ჩართული ამ საკითხებში. მე ვერც ერთ ადამიანს ხელს ვერ დავადებ, იმიტომ, რომ პირდაპირი მნიშვნელობით არ ვიცი, შეიძლება არამარტო ერთი, ბევრიც იყოს ჩართული. მე ძალიან მაინტერესებს, რატომ იყო დუმილი 3 თვის განმავლობაში ამ საკითხებზე და რა მოიკვლია საბჭომ, ბევრი დარღვევა იყო ამ გამოცდების პერიოდში. როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეებია ჩართული, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს პროკურატურა და პარლამენტში ამ საკითხზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაც არ გამოირიცხება, – განაცხადა მამუკა ახვლედიანმა. (pia.ge)

ნინო ლაგარტყავა

571 99-92-33



# რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში „რესპუბლიკელების“ კოალიციიდან გასვლით და რა შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა?



**რატომ ვერ დაალაგა ხელისუფლებამ სასამართლოებში სიტუაცია და რაში აწყობს სკანდალები? რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში „რესპუბლიკელების“ კოალიციიდან გასვლით და რა შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა? რატომ არ იღებს ივანიშვილი ხმას თოფაძე-„რესპუბლიკელების“ დაპირისპირებაზე?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

– იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი თანამდებობიდან გაათავისუფლა. რით ვერ დაალაგა ხელისუფლებამ სასამართლოს ამბები, რაში სჭირდება ეს სკანდალები?

– ეს ისეთი დელიკატური საკითხია, რომლის თაობაზეც კომენტარების კეთება ჩემგან თავხედობის დონეზე იქნებოდა, რადგან მე არ გამაჩნია ობიექტური ინფორმაცია, რა ხდება კულუარებში, ვინაიდან, ტრადიციულად, თავად ეს ჩვენი სასამართლო სისტემა იმდენად ჩაკეტილია, რომ ჩვენ იძულებულები ვართ მხოლოდ გაყონილი ინფორმაციით დავკმაყოფილდეთ, რომლის ობიექტურობაზეც შეიძლება განსხვავებული აზრები არსებობდეს. ის, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია, თუ როგორი პოლიტიკური, დემოკრატიული ანატომიის სასამართლო, პროკურატურა და ძალოვანი სტრუქტურები იქნება, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არც უნდა გვიკვირდეს, რადგან სასამართლოს დამოუკიდებლობა – ეს არის კლასიკური დემოკრატიის ყველაზე მნიშვნელოვანი ტესტი.

**— მაშინ ასე გკითხავთ: პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში კახა კოჟორიძე აცხადებს, — საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სასამართლოს თავმჯდომარის იმ წესით განთავისუფლების შესაძლებლობას, რა წესითაც ეს მოხდაო. ამაზე რას იტყვით?**

– კი, მაგას აბსოლუტურად ვეთანხმები, რადგან ძალზე მწირი, სეკვესტრირებული და ნაკლებად დამაჯერებელი იყო ოფიციალური ვერსია, რომ რაღაც ადმინისტრაციული თუ ზედამხედველობითი სანქციები გატარდა, მაგათი ტერმინოლოგია როგორც იყო. მაგრამ საზოგადოებამ რა იცოდა? – გამოვიდა ის კაცი და თქვა: წესრიგი არ არის აქ, რადგან გამოცდებზე წინასწარ იციან კითხვა-პასუხებიო. ეს თვითონ იუსტიციის საბჭომ დაადასტურა და ახლა რა გაირკვა: ეს კი ასე იყო, მაგრამ შენ რა უფლება გქონდა, რომ ეს გაახმაურეო? აქ რა არის, იცით? ანდაზა არის ასეთი – აქლემს უთხრეს, კუზი რას გიგავსო და აქლემმა უპასუხა, სხვა რა მაქვს სწორი, რომ ხერხემალი მქონდეს სწორიო? თბილისში, სადაც ისეთი მერი გვყავს, როგორიც ნარმანიაა, როგორ შეიძლება სხვა რომელიმე უწყების ხელმძღვანელი იყოს ეფექტური და პროდუქტიული? ეს წარმოუდგენელია. ერთი სიტყვით, ეს ოფიციალური მოტივაცია მეტ დასაბუთებას ითხოვს და ჯერ კიდევ აქვს დრო უმაღლეს სასამართლოს, იგივე იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს და მათსავე ინტერესშია, რომ უახლოეს დღეებში უფრო დასაბუთებული არგუმენტაცია მიაწოდონ საზოგადოებას.

**— აქტიურად მიდის საუბრები, რომ კოალიცია იშლება. ეს რეალობასთან ახლოსაა, თუ მხოლოდ ვიღაცის სურვილებია?**

– მე საერთოდ გამოვრიცხავ, რომ დაიშლება, რადგან თვითონ კოალიციაში უნდა იყოს რაღაც უთანხმოება, კონფლიქტების მაღალი დონე, ან უნდა იყოს რომელიმე ჯგუფი, წამყვანი წევრი, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა მის დაშლაში. ის მომენტი, როდესაც შეიძლებოდა კოალიცია დაშლილიყო, „ოცნებამ“ უკვე ხელიდან გაუშვა. ეს ფატალური შეცდომა იყო „ქართული ოცნების“ და პირადად ივანიშვილის.

**— რომელ მომენტს გულისხმობთ?**

– პირველ ერთ წელიწადს. ივანიშვილს უნდა გადაედო შიდა კინკლაობები, პოლიტსაბჭოს სხდომები და მეტი აქცენტი უნდა გადაეტანა „ქართული ოცნების“ ცალკე პარტიის შექმნაზე. „ოცნება“ თანასწორთა შორის პირველი კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც დღეს არის ფორმალურად, არამედ უნდა ყოფილიყო დომინანტი ძალა, რომელიც იტყოდა: იცით, რა, მეგობრებო? მე თქვენ ხელისუფლებაში მოგიყვანეთ, ოთხი წელი გაბაირამეთ, ნახეთ, თქვენი კეთილდღეობა როგორი იყო ოთხი წლის წინათ და როგორია დღეს? – ყველანი გამდიდრდით. ასე უნდა მოქცეულიყო „ოცნება“ მაშინ, მაგრამ ვერ შექმნა მაშინ პარტია ივანიშვილმა და ვერც შექმნიდა, რადგან იქ არ იყო ისეთი პიროვნება, რომელსაც, უბრალოდ, ხალხის ნდობა ექნებოდა, აღარ ვამბობ პროფესიონალიზმზე. ახლა რა გამოვიდა? არჩევნები ისე უცებ მოვიდა კარზე და გაირკვა რა: არც ერთ პარტიას მინიმალური შანსიც არ აქვს არათუ გამარჯვების, საერთოდ სავალდებულო ზღვარის გადალახვის. ამიტომ ყველანი ისევ, რასაკვირველია, კისერზე ჩამოეკიდნენ ივანიშვილის რესურსებს. არჩევნებში გამარჯვების ორი გზა არსებობს: ძალზე მაღალი პირადი ავტორიტეტი, ან დიდი ფული. დღეს, როდესაც ნდობა აღარ არის, არც ავტორიტეტი და ფული, კიდევ მხოლოდ ერთ შენობაში და ერთ პიროვნებასთან არის დაკავშირებული, რასაკვირველია, ყველა კისერზე ჩამოეკიდება ივანიშვილს. სხვათა შორის, „რესპუბლიკელები“ უფრო უკეთესი ტაქტიკოსები მეგონენ... მაგრამ შეცდომები დაუშვეს: სუფთა აღმოსავლური პირადი ამბიციებია აქ: როგორ, მე ჩემი ვერ უნდა გავიტანო? თორემ „რესპუბლიკური“ პარტიისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ექვსი თვით არჩეულ საკუთარ კანდიდატს საგარეჯოში, აქ იყო მხოლოდ ამბიციები, ყალბი პრინციპი და ამ შემთხვევაში, უკიდეგანო ქართული, ქალური ამბიცია.

**— მესამე კვირაა უკვე, ივანიშვილს კი, გოგი თოფაძესა და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირების შესახებ საერთოდ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. ელემენტარულად იმასაც კი არ ამბობს, რასაც ხშირად აცხადებდა ხოლმე — მე პოლიტიკაში აღარ ვარ და ამიტომ არაფერში არ ვერევიო. რატომ არის გაჩუმებული, როგორ ფიქრობთ?**

– არც გააკეთებს. ივანიშვილის სიჩუმე თოფაძისთვის არის „მიდი, აქა ვარ, შენ გვერდზე“. ანუ ივანიშვილის სიჩუმე თოფაძის წისქვილზე ასხამს წყალს და არა ხიდაშელის. გაინაწილეს ფუნქციები. პრემიერ-მინისტრმა არ შეიძლება, საკუთარი მინისტრი არ დაიცვას, თოფაძე კი საუბრობს იმას, რასაც, თითქოს, ივანიშვილი და მე ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ არაერთი სატელეფონო კონტაქტი მაინც ექნებათ, რადგან „რესპუბლიკელებმა“ თვითკონტროლის გრძნობა დაკარგეს და ეს ბუნებრივიც არის: პარტია, რომელიც ათეული წლების მანძილზე ხელისუფლების ოპოზიციაში ყოფნას არის მიჩვეული და რომელიც უცებ მოვა ხელისუფლებაში, როგორც, ასე ვთქვათ, პირველი ძალა... ინტელექტუალებს რა უნდა ჰქონდეთ საერთო გონებრივი შრომის პროლეტარიატებთან? დღევანდელი პარლამენტი როგორია: 10 პროცენტი ინტელექტუალები და 90 პროცენტი გონებრივი შრომის პროლეტარიატები, რომელთა მიერ წაკითხული წიგნების რაოდენობა, ალბათ, ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება. აი, ამიტომ, ასეთ ვითარებაში მათ ცოტა თვითკონტროლის, ზომიერების გრძნობა დაკარგეს.

**— სანდრო ბრეგაძემ განაცხადა, რომ არაერთი ადამიანი მიმართავს ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების მიზნით, რადგან ხელისუფლება ბღალავს ქართულ ფასეულობებს და ღირებულებებსო. აქ იგულისხმება ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი, სოსო ჯაჭველიანის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის „რელიგიური გრძნობების შესახებ“ უკან გამოტანა და ასე შემდეგ. როგორ ფიქრობთ, რა ზეწოლა შეიძლება იყოს ასეთი ხელისუფლებაზე და ვისი მხრიდან, რომ ამ ტიპის ცვლილებების მიღებაზე უარს ამბობს და ხალხს აღიზიანებს?**

– ის, რომ ბრეგაძემ, ვთქვათ, წამოიწყო ის რეფერენდუმის ხელმოწერები და რაღაცები, ეს ბუნებრივია. ბრეგაძე არის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ენერგიული ადამიანი, რომელსაც აქვს შინაგანი მოთხოვნილება, სულ აქტიური იყოს. მიზანი სხვა თემაა, რომელსაც, წინასწარ იცის, ქართველი მოსახლეობის 95-97 პროცენტი მხარს უჭერს და ეს არის, რომ იტყვიან, სასუქი, რომელზეც პოპულარობა უცებ გაიზრდება.

**— ხელისუფლება რატომ არ ამჟღავნებს მკვეთრ დამოკიდებულებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რაც მოსახლეობის უმრავლესობისთვის მტკივნეულია? რატომ აძლევს ხალხს ამხელა უკმაყოფილების საბაბს?**

– ნუ გამაკვირვებთ ახლა, თქვენ მართლა გჯერათ ტყემალაძის, რომ ეფექტური მთავრობა გვყავს და ეფექტური ხელფასები უნდა ჰქონდეთო? სხვა რაშია მთავრობის კონკრეტული ხაზი, მტკიცე, გამართული გადაწყვეტილებები, რომელსაც საზოგადოება იცნობს და მხარს უჭერს? რატომ ეძებთ აქ გამონაკლისს? აგერ რუსეთში პატრიარქს პუტინმა უდიდესი დიპლომატიური მისია დაავალა და ბრწყინვალედ შეასრულა – წავიდა და კუბაზე რომის პაპს შეხვდა, მერე წავიდა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ეკლესია აკურთხა. იქ ხელიხელჩაკიდებულები მუშაობენ ხელისუფლება და სამღვდელოება. რელიგიის სახელმწიფო სააგენტო კი გვყავს, მაგრამ რას აკეთებს, კაცმა არ იცის, მე მგონი, არაფერს. მოკლედ, ჩვენთან ქართულ სამღვდელოებას არ აქვს არც ტრადიცია, არც ისტორია და არც სურვილი, რომ იყოს ხელისუფლების რაღაც შტო, ან თუ გნებავთ, ხელისუფლების პარტნიორი, მეწყვილე. ამიტომ ეს ხელოვნური რაღაც-რაღაც ექსცესები მხოლოდ ვნებს ეკლესიის პოპულარობასაც და ხელისუფლების პოპულარობასაც.

## გერმანიაში მიგრანტების თავშესაფარი დაიწვა



გერმანიაში მიგრანტებისთვის აშენებული თავშესაფარი დაიწვა.

იქაური მედიის ინფორმაციით, სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ცეცხლი შენობას განზრახ წაუკიდეს. შემთხვევა საქსონიაში მოხდა.

ხანძრის ლოკალიზებას 70-მდე მეხანძრე 3 საათს ცდილობდა. პოლიციელებმა ადგილზე 2 ახალგაზრდა დააკავეს, რომლებსაც ბრალად მეხანძრეებისთვის ხელის შეშლა ედებათ. (ნიუპოსტი)

## ბუბა კუდავა: რუსთველი ვინ იყო, ან ვიცით და ან — არა



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორის ბუბა კუდავას თქმით, უმეტესად არ ვიცით იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებიც ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას, არქიტექტურას.

„არ ვიცით, ვინ იყო ოშკის არქიტექტორი, გელათის არქიტექტორი, მცხეთის ჯვრის, ალავერდის, ვარძიის, ბაგრატის ტაძრის, ყველაზე დიდი ბაზილიკების – ოთხთა ეკლესიის, პარხლის...

არ ვიცით, ვინ იყო სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი („არსუკისძე“ მერე იყო, გადაკეთება-გადმოკეთების ამბებში).

თითქმის არც ერთი ციხესიმაგრის არქიტექტორის ვინაობა არ ვიცით. არც ერთი სვანური კოშკისა. რა მნიშვნელობა აქვს, ყველა ხომ „სვანურია“... არც ერთი ხიდისა. ყველა ხომ „თამარისაა“...

ჩვენი უმთავრესი მატიანის – „ქართლის ცხოვრების“ თითქმის არც ერთ ავტორს არ ვიცნობთ.

რუსთველი ვინ იყო, ან ვიცით და ან – არა.

არ ვიცით, ვინ იყო ყინწვისის ანგელოზის მხატვარი, ძველი „ხალხური“ სიმღერების ავტორები („ხალხს“ არც ერთი არ დაუწერია).

ბექა-ბეშქენის გარდა, თითქმის არც ერთი ძველი ოქრომჭედელი არ ვიცით.

სამაგიეროდ, ვიცით უამრავი იდიოტის, მოღალატის, გარეწრის, მლიქვნელის, მეტიჩარას, მტრის ფერხთით მოკუნტრუშის სახელი, უწინ თუ ახლა.

აი, ამოდენა შედევრი რომ წამოჭიმა, წარწერებით გაძეძგილ ტაძარში თავისი სახელიც კი რომ არ მიაწერა სადღაც, ქვის კუთხეში, აი, იმ კაცთან დამსვა ერთი ტაბლასთან და თითო კოკა წითელი ღვინო მიმართმევინა, მეტი არ მინდა რა,...– წერს ბუბა კუდავა სოციალურ ქსელში. (sazogadoeba.ge)

## საქმეს ეგ არ აკეთებს და აღარც გავეხუმროთ, კაცო?



– ვიღაც ენაკვიმატმა რომ ორმოს ნარმანიას სახელი დაარქვა, სულაც არ ნიშნავს, რომ ძალიან ნიჭიერია, ალბათ, უფრო ცინიკოსია, – ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა.

მედიის წარმომადგენლებმა ნოდარ ჯავახიშვილს დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას, როგორც მენეჯერის შეფასება სთხოვეს და ამ კონტექსტში, ე.წ. „ნარმანიას სახელობის ორმოები“ ახსენეს.

– ნამდვილად არ ვაპირებ დავით ნარმანიას შეფასებას. 62 წლის ვხდები, ორმოები საქართველოში ყოველთვის ძალიან ბევრი იყო, უფრო მეტი, ვიდრე დღეს არის. ვიღაცა ენაკვიმატმა რომ ორმოს ნარმანიას სახელი დაარქვა, სულაც არ ნიშნავს, რომ ძალიან ნიჭიერია, უფრო ცინიკოსია, ალბათ, – აღნიშნა ნოდარ ჯავახიშვილმა.

მინისტრის ინფორმაციით, მისი თანამშრომელი ისრაელსა და ერევანში იმყოფებოდა. უახლოეს დღეებში ჩამოიტანენ სპეციალური შემადგენლობის ნარევს, რომელიც გამოცდის შემთხვევაში ორმოების საკითხს ერთხელ და საბოლოოდ მოაგვარებს არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში.

– თუმცა ამას ჯერ შემოწმება სჭირდება. გაცილებით ადვილად და რაც მთავარია, წარმოუდგენლად სწრაფად შეივსება ყველა ორმო, – დასძინა ნოდარ ჯავახიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ანასტასია ზაუტაშვილი და „კოკაინის საქმის“ მსჯავრდადებულები სხეულის დაზიანებებით იმუქრებიან



ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდადებულების ინტერესებს ორი ახალი ადვოკატი დაიცავს. მალხაზ ჯანგირაშვილი და დავით კორკოტაშვილი საქმეში ალეკო ელისაშვილის დახმარებით ერთვებიან. ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატ მირიან ნიკოლაძის განცხადებით, მსჯავრდადებულები მოითხოვენ დაწყებული გამოძიება წარიმართოს ეფექტურად და დამნაშავეები დაისაჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სხეულის თვითდაზიანებებით იმუქრებიან.

– აღძრულია სისხლის სამართლის 4 საქმე – პატიმართა ცემა-წამების, მოწმეთა ცემა-წამების, თანხების მითვისების და სხვა ფაქტებზე. დღემდე განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ არც ერთ საქმეზე პროკურატურა არ აპირებს არანაირი შედეგის დაყენებას. მსჯავრდადებულები აპირებენ, მიმართონ პროტესტის უკიდურეს ზომას – სხეულის დაზიანებას, – განაცხადა ნიკოლაძემ.

# როგორ შეუსრულებს გია ვოლსკი ბრეგაძეს დაპირებას, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს?



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი, **სანდრო ბრეგაძე,** რომელმაც გასულ კვირას სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა, გარანტიას იძლევა, რომ სულ მალე თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი აღარ იქნება, „რესპუბლიკელები“ კი კოალიციას დატოვებენ... სანდრო ბრეგაძემ, გადადგომამდე თინა ხიდაშელი ამხილა და განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრმა პრემიერ-მინისტრს ულტიმატუმი წაუყენა, დაუყოვნებლივ მოეხსნათ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, წინააღმდეგ შემთხვევაში „რესპუბლიკელები“ კოალიციაში პრობლემას შექმნიდნენ...

შტურმი „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ ძლიერდება, პარტია „ქართული ოცნების“ წევრები, „მრეწველთა“ ლიდერი გოგი თოფაძე ამ ძალის შესწორების განხილვას, რომლის მიხედვითაც აიკრძალება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების ყველა მცდელობა. ასევე, გაძლევთ პირობას, რომ თავდაცვის სამარცხვინო მინისტრი თინათინ ხიდაშელი აღარ იქნება თავდაცვის მინისტრი, ხოლო „რესპუბლიკელები“ დატოვებენ მთავრობას. შეგიძლიათ, დაიმახსოვროთ ჩემი ეს დანაპირები, რაც ზემოთ დავწერე, ამას 100-პროცენტიანი გარანტიით გპირდებით!!!!“

**„ალია“ მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერს იმის გასარკვევად დაუკავშირდა, რის საფუძველზე იძლევა ასეთ კატეგორიულ გარანტიებს, ეს არის პოლიტიკური ფანდი თუ რეალური ინფორმაცია, რას აპირებენ იმ შემთხვევაში, თუკი კონსტიტუციაში ცვლილებები არ შევა, რომლის მიხედვითაც დაკანონდება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინება, რაც თავისთავად გამორიცხავს** გამოვიყვან ქუჩაში, დადგებიან პარლამენტის წინ და ამ საკითხთან დაკავშირებით სათითაოდ მოსთხოვენ დეპუტატებს პოზიციების დაფიქსირებას. ამავე დროს მე მაქვს 120 ახალგაზრდის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი და თუკი პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს არ განახორციელებს, ეს ახალგაზრდები აპირებენ სასიკვდილო შიმშილობის დაწყებას პარლამენტის წინ და პარლამენტის შესასვლელის ბლოკირებით იმუქრებიან! ისინი არ შეუშვებენ პარლამენტში იმ დეპუტატებს, რომლებიც მიდიან ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ. პირდაპირ ვამბობ, ვინც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მხარს დაუჭერს, მათ საქართველოს მტრებად გამოვაცხადებთ, მტრების ადგილი კი საქართველოს ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში არ იქნება! პირადად ველაპარაკე ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერ გია ვოლსკის, რომელმაც განმიცხადა, რომ უახლოეს 10 დღეში უკვე დაიწყება საკონსტიტუციო შესწორების მიღების პროცედურა, ასევე, დამიკავშირდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც მთხოვეს, არ მომხდარიყო სიტუაციის დაძაბვა და ყველაფერი იქნებოდა ისე, როგორც საჭიროა.

**— საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება, რაც არ აქვს „ქართულ ოცნებას“. თქვენგან ვიცით, რომ „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალური მოძრაობა“ მხარს არ უჭერენ ამ ინიციატივას და როგორ გაძლევთ გარანტიას გია ვოლსკი?**

– თუ არ მოხდება ეს ცვლილება, ჩვენ გამოვიყვანთ პარლამენტიდან იმ უსინდისო ადამიანებს, რომლებიც ფარულად თუ ღიად მხარს უჭერენ საკანონმდებლო ორგანოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას.

**— თქვენ გრჩებათ კიდევ ერთი გზა და ეს არის რეფერენდუმის ჩატარება, საარჩევნო ბიულეტენში რომ აღმოჩნდეს კითხვა — „მხარს უჭერთ თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებებს?“ რა არის ამისთვის საჭირო?**

– დღის წესრიგში ჩვენ გვიდგას რეფერენდუმის საკითხი. თუ ეს საკითხი 10 დღის ვადაში არ გაირკვევა საკანონმდებლო ორგანოში, საპროტესტო აქციების პარალელურად შევა სარეფერენდუმო დოკუმენტაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელიც ჩვენ მოგვცემს 3-თვიან ვადას, მოვაგროვოთ 200 000 ხელმოწერა, 3-თვიანი ვადა ამისთვის არ დაგვჭირდება, მაქსიმუმ ერთ კვირაში შევიტანთ ნახევარ მილიონ ხელმოწერას.

**— თქვენ აცხადებთ, რომ თინა ხიდაშელს მინისტრობიდან გადააყენებენ და 100-პროცენტიან გარანტიას იძლევით, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ „რესპუბლიკური პარტია“ აღარ იქნება, რის საფუძველზე აკეთებთ ასეთ დამაჯერებელ განცხადებას? ვისგან მიიღეთ ამის გარანტია?**

– თქვენი გაზეთისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, დეტალების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, რადგან შევთანხმდით, რომ ამ თემის ირგვლივ დეტალები ამ ეტაპზე არ გასაჯაროვდეს.




ბლოკირებას ცდილობენ, თუმცა ჯერჯერობით ბრძოლა „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ მიმდინარეობს.

არჩევნების მოახლოებამდე ჩვენ კიდევ უფრო მძაფრი სცენარის მომსწრენი გავხდებით და კოალიციის დაპირისპირება აუცილებლად ლოგიკური შედეგით დასრულდება, სანდრო ბრეგაძეც საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე კატეგორიულ პირობას იძლევა:

**„არასოდეს არაფერი ტყუილად არ მითქვამს და დანაპირები ყოველთვის შემისრულებია. გპირდებით, რომ ჩვენი ზეწოლის შედეგად უახლოეს 1-2 კვირაში საქართველოს პარლამენტი დაიწყებს საკონსტიტუციო ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციას.**

**— 100-პროცენტიან გარანტიას რის საფუძველზე იძლევით, რომ პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს განახორციელებს და თუკი თქვენი საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგი წავლენ, რას აპირებთ?**

– მოძრაობა „ეროვნულებისა“ და საზოგადოების ზეწოლის შედეგად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა განმიცხადეს, რომ მაქსიმუმ 10 დღის ვადაში დაიწყებენ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას, თუკი ეს გარანტია აღმოჩნდება მორიგი ტყუილი, მაშინ, ათიათასობით ადამიანს

## ზაზა ხატიაშვილი — იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთ არამოსამართლე წევრზე 2015 წელს 117 500 ლარის ოდენობის პრემია გაიცა




– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთ არამოსამართლე წევრზე 2015 წელს 117 500 ლარის ოდენობის პრემია გაიცა, – ამის შესახებ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან ინფორმაცია გამოითხოვა, რომლის თანახმადაც, 2015 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთ არამოსამართლე წევრზე 117 500 ლარის პრემია გაიცა, თანამდებობრივმა სარგომ კი 300 000 ლარი შეადგინა. ამავე ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს, მოსამართლე წევრებზე პრემია არ გაცემულა, თუმცა დანამატმა 75 026 ლარი შეადგინა.

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, რომლებიც ვხედავთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების დევნის მეტს არაფერს აკეთებენ, სამოქალაქო საზოგადოების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებენ, ხელფასის სახით თვეში 5 000 ლარს, პრემიის სახით კი ყოველთვე დაახლოებით 2 000 ლარს იღებენ. ეს არის კატასტროფული ფაქტი. ადამიანებს აქვთ 7 000 ლარი, მინისტრებზე მაღალი ხელფასი. ისინი არიან გაერთიანებული, შეკავშირებული, როგორმე შეინარჩუნონ თავიანთი სკამები და დამალონ ის სავარაუდო დანაშაული, რასაც წლების განმავლობაში სჩადიოდნენ, – აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „ჩემთვის ამოუცნობია ჩემი მეგობრის, ელისოს ეს ნაბიჯი“ — კვაჭანტირაძე ჩაფიძის განცხადებებზე



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე ელისო ჩაფიძის იმ სკანდალურ განცხადებას ეხმაურება, სადაც ჩაფიძემ თქვა, რომ მასზე გადაწყვეტილებების შეცვლის მიზნით პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებოდა. გადაცემა „პრიორიტეტებში“ საუბრისას კვაჭანტირაძე ამბობს, რომ მისთვის ამოუცნობი და გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა ელისო ჩაფიძემ ღია ეთერით პრობლემებზე საუბარი მაშინ, როდესაც საკითხის განხილვა არ მომხდარა არც პოლიტსაბჭოს და არც უმრავლესობის ფორმატში. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უმრავლესობამ შესაძლოა, გვენეტაძე ჩააგდოს



ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად კობა გვენეტაძის დამტკიცების საკითხს კოალიცია ქართული ოცნების პოლიტსაბჭო სავარაუდოდ კვირის სხდომაზე განიხილავს. საპარლამენტო კულუარებში გავრცლეებული ინფორმაციით, გვენეტაძესთან დაკავშირებით უმრავლესობაში აზრი ორად იყოფა. აზრის ორად გაყოფის პირველი მიზეზი ის არის, რომ გვენეტაძის აზრით, საფინანსო ზედამხედველობის სამსახური ეროვნული ბანკში უნდა დარჩეს. თუმცა, მეორე და მთავარი მიზეზად ის სახელდება, რომ გვენეტაძესთან დაკავშირებით „ოცნების“ კოალიციის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის პოზიცია უცნობია. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის პოსტზე გვენეტაძეს პარლამენტმა კენჭი მომავალ კვირას უნდა უყაროს. გავრცელებული ინფორმაციით, არ არის გამორცხული საპარლამენტო უმრაველესობამ „მოულოდნელად“ გვენეტაძის კანდიდატურა ჩააგდოს. (პირველი რადიო)

## რის სანაცვლოდ დაბრუნდება „ყაზტრანსგაზი“ თბილისში?




დედაქალაქის გაზმომარაგების ექსკლუზიური უფლების მქონე „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ ყაზახური მენეჯმენტის დაბრუნების საკითხი კიდევ ერთხელ აქტიურდება. ამჯერად ყაზახურმა მხარემ დაპირება გასულ კვირას, საქართველოში სამთავრობო დელეგაციის ვიზიტისას მიიღო, თუმცა ინვესტორმა მართვის უფლების დასაბრუნებლად კომპანიაში დამატებითი ინვესტიციები უნდა განახორციელოს. ყაზახურ მხარეს კი საკუთარი მოთხოვნები აქვს, მათ შორის, სატარიფო პოლიტიკის გადახედვა. (bpn.ge)

## გურჯაანში ახალგაზრდამ დედის გარდაცვალების შემდეგ თავი მოიკლა

გურჯაანში სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა. სოფელ ვეჯინში მცხოვრებმა 30 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო.

ახალგაზრდას დედა გარდაეცვალა, რის შემდეგაც თავი მოიკლა. მან ძმას გამოსათხოვარი წერილიც დაუტოვა:

„მაპატიე ძმაო, მეტის ატანა აღარ შემიძლია“.

გარდაცვლილი მეუღლესთან გაცილებული იყო. მას მცირეწლოვანი შვილი დარჩა. (speqtri.ge)

## „აბსოლუტურად მიუღებელი და დაუშვებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება“ — თამარ სანიკიძე



– აბსოლუტურად მიუღებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემა „ეპიცენტრში“ მაყურებლის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მაყურებელი დაინტერესდა, ვის უნდა მიმართოს მშობელმა, როდესაც მისი შვილი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის გამო სხვა მოსწავლეების მხრიდან გარიყული ან დაცინვის ობიექტია, კერძოდ, იმ დროს, როდესაც არის შემთხვევები, რომ სასწავლო დღეს სკოლაში მოსწავლეები ლოცვით იწყებენ.

– ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ ამას არ აქვს სისტემატური ხასიათი, პერიოდულად მაინც დგება ხოლმე ეს საკითხი. სკოლა არის ადგილი, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყველანაირი რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ. გავლენისგან. ასეთი გადაცდომების თავიდან ასაცილებლად მუშაობს სპეციალური სამსახური. აბსოლუტურად მიუღებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება იმიტომ, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური ქვეყანა და ჩვენ ამას ვერ ავცდებით, ყოველთვის იქნება სკოლა, სადაც იქნებიან სხვადასხვა რელიგიის თუ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, ეს არის დაუშვებელი, ეს არის კანონის დარღვევა და როგორც კანონის დარღვევის აღმკვეთი, ამ შემთხვევაში უკვე შემოვდივართ ჩვენ. რაც ნიშნავს, რომ არსებობს მონიტორინგის სამსახური, სადაც მსგავსი დარღვევა ფიქსირდება, და ის არის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული საქმის წარმოება, რომელიც ხორციელდება, თუ არის ბულინგთან დაკავშირებული, ეს გადადის მანდატურის სამსახურში და ფსიქოლოგიურ ცენტრთან კეთდება რეფერალი, თუ ეს არ არის დაკავშირებული ბულინგთან და ადმინისტრაციული სახის არის, ამაზე უკვე გადაწყვეტილებას სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური იძლევა.

გვაქვს ძალიან დინამიკური სტატისტიკა. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტების შეგროვება ხდება, ხდება მათი ანალიზი და შემდეგ რეკომენდაციები ეგზავნებათ სკოლებს, ვთქვათ, რა კუთხით უნდა გააძლიერონ მუშაობა, – განაცხადა თამარ სანიკიძემ. (edu.aris.ge)

## ტესტების შემდეგ განაჩენის სკანდალი, რომელსაც შესაძლოა, გვენეტაძე გადაყვეს



ნინო გვენეტაძის პირადი შურისძიება – იუსტიციის საბჭომ თანამდებობიდან გადააყენა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი. სწორედ ასე დასაჯეს მოსამართლე, რომელმაც ნოემბერში გამართული საკვალიფიკაციო გამოცდების დროს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დაქალი ტესტების პასუხების გადაწერაში ამხილა, რითაც ეჭვქვეშ დადგა გვენეტაძის რეპუტაციაც.

თუმცა, სასამართლო კორპუსმა, ნაცვლად იმისა რომ უმწვავესი რეაგირება მოეხდინა საკვალიფიკაციო გამოცდების დროს დაფიქსირებულ უპრეცენდენტო ფაქტზე (რომელიც შესაძლოა სისხლის სამართლის ნიშნებსაც შეიცავდეს) და გამოეძიებინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის როლი, მისი დაქალის მიერ ჩადენილ ქმედებაში, დასაჯა პირი, რომელმაც საზოგადოებას მომხდარის შესახებ აცნობა.

იუსტიციის საბჭომ, მამუკა ახვლედიანს „განაჩენი" ყოველგვარი მოსმენის, ფაქტების გაცნობა-შეჯერებისა თუ „სამხილების" შემოწმების გარეშე გამოუტანა. დაახლოებით ისე, როდესაც მანკიერ და კორუმპირებულ კომუნისტურ სისტემაში უსწორდებოდნენ განსხვავებული აზრის, პოზიციის მქონე ადამიანებს. ახვლედიანის დასჯის ოფიციალური მოტივი „არასწორი მენეჯმენტია".

იუსტიციის საბჭოს უმრავლესობამ, მისი ერთი წევრის გარდა, მონური სინდრომისათვის დამახასიათებელი ერთსულოვნებით გაწირა მოსამართლე, რომელთანაც წლების გარდა, ადამიანური და საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა. მამუკა ახვლედიანის გადაყენებით, მთელ სასამართლო კორპუსს დაანახეს რომ ის, ვინც სისტემური დანაშაულის შესახებ საზოგადოებას აცნობებს, დაისჯება.

რა ხდება სასამართლოებში და ვინ არის გვენეტაძე?

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ მარგველაშვილის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნინო გვენეტაძე აირჩიეს, გახშირდა ხმები სასამართლო სისტემაში არსებული კორუფციის შესახებ.

სასამართლო სისტემაში სავარაუდო კორუფციული ფაქტების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო რომ ნინო გვენეტაძეს, ოპოზიცია, კორუმპირებულ მოსამართლედ მოიხსენიებს, რომ ქალბატონი გვენეტაძე, ჯერ კიდევ შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმის დროს იყო შემჩნეული კორუფციულ გარიგებებში.

მიუხედავად ასეთი „უმწიკვლო ბეგრაუნდისა", ქალბატონი გვენეტაძე, რომელიც „ფეისბუქში" „ბარაქის მოტანის მიზნით", სხვადასხვა ილუსტრაციებს აზიარებდა, მმართველმა პარტიამ ის უზენაესი სასამართლოს პოსტზე დაამტკიცა, რის შემდეგაც სასამართლოებში სკანდალური განხილვები არ წყდება.

მეტიც, ვრცელდება ინფორმაცია რომ გვენეტაძის ჩარევით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი პირი, რომელიც უმძიმეს დანაშაულში იყო მსჯავრდებული, სრულად გაამართა. გამამართლებელი განაჩენის გამოტანაში კი, მოსამართლეებს ქალბატონი თავმჯდომარის რჩევები დაეხმარათ.

ასე რომ, გამორიცხული არ არის გვენეტაძეს კიდევ მოუწიოს თავის მართლება. სავარაუდოდ, მის წარსულსა და სასამართლო სისტემაში მომხდარ საეჭვო ფაქტებს, მამუკა ახვლედიანის „სამარცხვინო ბოძზე გაკვრა" ვერ გადაფარავს. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ახვლედიანის განცხადებით: „ბრძოლა არ დამთავრებულა, პირიქით, ახლა იწყება". (presa.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ოცნებაში“ ჩანერგილი უსუფა-ხიდაშლები სააკაშვილს ვეღარ უშველიან“



„ოდესის გუბერნატორს საპარლამენტო არჩევნებში ხმების გაზრდის არანაირი შანსი არ აქვს“, – ასე ეხმაურება სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მამალაძე საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს, რომელიც რამდენიმე დღის წინ „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა და აცხადებს, რომ ზუსტად იცის, თუ როგორ გეგმავს მიხეილ სააკაშვილი ოდესიდან საქართველოში ვითარების არევას.

„რის გამო ყარა სააკაშვილმა დუჟები?! სახალხო ხელისუფლებამ სააკა პანიკაში ჩააგდო! მიშა რას გეგმავს ოდესიდან, საქართველოში სიტუაციის ასარევად, დაზუსტებით ვიცი. გამწარებულია და ცოფებს ყრის, რომ ჩვენ ხალხის მოთხოვნით პოლიტიკური მოძრაობა „სახალხო ხელისუფლება“ ჩამოვაყალიბეთ.

ოდესის გუბერნატორის რეიტინგი 8%-ს არ აღემატება. გარდაბნის არჩევნებმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. მიშამ მთელი თავისი „დესანტი“ გადასხა გარდაბანში, ხოლო მთავრობა და მთელი „ოცნება“ რაიონს შეესია. ორივემ ერთად გარდაბნის გამგებლის არჩევნებში 30%-ზე მეტი ხალხი ვერ მიიყვანეს. მოსახლეობის 70% მხარს არ უჭერს მოძალადე სააკაშვილს და არც ცრუპენტელა მმართველ გუნდს. სააკა, ნაბარტყი პარტიებით ხალხს ვეღარ მოატყუებს, მისი ემისრები დადიან რაიონში და ყველგან სახალხო ხელისუფლება ხვდება! ამის გამო ყარა გაცოფებულმა დუჟები! სააკას ტექნოლოგებმა კარგად იციან, რომ არჩევნებში სახალხო ხელისუფლება გაიმარჯვებს! მიშას ვერ უშველის „ოცნებაში“ ჩანერგილი უსუფა-ხიდაშლები, პროკურატურას შეფარებული „ზონდერები“ და მოსყიდული მოსამართლეები. მიშა სააკაშვილს ეროვნულ ინტერესთა ღალატისთვის, საქართველოს დახლეჩისთვის, ადამიანების ამოხოცვისა და გაუბედურებისთვის ქართველი ხალხი გაასამართლებს. უკეთეს შემთხვევაში, მას იძულებით მკურნალობას დაუნიშნავენ ფსიქიატრიულ კლინიკაში“, – აღნიშნავს მამალაძე. (reportiori.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რესპუბლიკელების“ გონორი აღმაშფოთებელია“



ექსპერტმა პოლიტიკურ საკითხებში გია ხუხაშვილმა გადაცემა „არჩევანში“ გოგი თოფაძესა და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის მიმდინარე დაპირისპირების შესახებ ისაუბრა.

„უბრალოდ, აღმაშფოთებელია მათი გონორი, როდესაც ისინი თავიანთ ბედს აკავშირებენ ქვეყნის გეოპოლიტიკურ არჩევანთან, რომ ეს ბრძოლაა დასავლური ღირებულებების წინააღმდეგ. დავილალეთ რა, ჯერ იყო მიშა სააკაშვილმა, თუ მე არ ვიქნები ორიენტაციას შეიცვლის ქვეყანაო, მაგრამ არ შეიცვალა. მერე იყო, „თავისუფალი დემოკრატები“ გამოვარდნენ და თუ ჩვენ არ ვიქნებით მინისტრები საფრთხეა, რომ ორიენტაცია შეიცვალოსო.

ახლა „რესპუბლიკელებმა“ ზუსტად იგივე თამაში დაიწყეს. არ არიან ისინი ამ პროცესის გარანტები, ეს არის სახელმწიფოს არჩევანი და არ დგას თინა ხიდაშელის მხრებზე, არ არის ახლა ის ატლანტი, რომ მის მხრებზე იდგეს ეს ყველაფერი. რასაც სხვას საყვედურობდნენ, ზუსტად იმ პოზიციაში დგას ახლა „რესპუბლიკური პარტია“, – განაცხადა ხუხაშვილმა. (reportiori.ge)

## „ქორწინება არის ქალის და მამაკაცის ერთობა, მთავრობის ვალდებულებაა, ამ თემაზე სპეკულაციები არ დაუშვას“



„ბოლო დროს აგორდა თემა, რომელიც ქორწინებას ეხება. აქ კიდევ ერთხელ და ბევრჯერ უნდა განვმარტოთ ერთი რამ, არსებობს სამოქალაქო კოდექსი, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა", – აღნიშნული განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, გია ვოლსკიმ გააკეთა.

ვოლსკის განმარტებით, ეს ფორმულირება სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებების ევროპულ ქარტიასთან და ბევრ საერთაშორისო დოკუმენტთან, რომელიც რომელიმე ქვეყნის ასეთ პოზიციას არ ეწინააღმდეგება.

ვოლსკის თქმით, მთავრობის ვალდებულებაა, არ დაუშვას ქორწინების თემაზე სპეკულაციების გაგრძელება და მავანს არ მისცეს საშუალება, რომ თემა ვითარების დაძაბვისთვის გამოიყენოს.

„რაც შეეხება კონსტიტუციას, 36-ე მუხლის პირველი პარაგრაფი გვეუბნება, რომ ქორწინება მეუღლეთა თანასწორობაზე უნდა იყოს დამყარებული, მეორე პარაგრაფი სახელმწიფოს ვალდებულებებს უსვამს ხაზს, მესამე მუხლში საუბარია იმაზე, რომ დაცული უნდა იყოს დედისა და ბავშვის უფლებები, რაც ნიშნავს, რომ მეუღლეთა შორის ერთ-ერთი დედაა. მთავრობის ვალდებულებაა, არ დაუშვას ამ თემაზე სპეკულაციების გაგრძელება და მავანს არ მისცეს საშუალება, რომ თემა ვითარების დაძაბვისთვის გამოიყენოს. სახელმწიფოს ვალდებულებაა, სწორი პოზიცია დაიკავოს და არავის მისცეს ინტერპრეტაციის საშუალება. გარდა ამისა, არსებობს საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის განწყობა, მათ შორის ნებისმიერი რელიგიური კონფესიის ადამიანები, რომლებიც მიესალმებიან და მხარს დაუჭერენ იმას, რომ ეს ძალიან მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული კონსტიტუციაში", – განაცხადა გია ვოლსკიმ. (kvira.ge)

## რატომ იბარებენ საკმაოდ ძვირად ძველ გირებს



ალბათ, ბევრს გსმენიათ, რომ საბჭოთა პერიოდში გამოშვებული სავარჯიშო გირების შემსყიდველები მათ საკმაოდ სარფიან ფასად იბარებენ.

ირკვევა, რომ ასეთივე მოთხოვნადია ძველი გირები აზერბაიჯანშიც, რის შესახებაც ადგილობრივი ვებგვერდები იუწყებიან და წერენ, რაშია საიდუმლო.

ძირითადი მოთხოვნა არის ე.წ. „Гиря неваляшка“-ზე. საქმე ისაა, რომ მაშინდელი გირები დამზადებულია ფოლადისგან, რომლის შემადგენლობაშიც პოლადიუმის შენადნობის წილი დიდია. მაშინ ამ მეტალს ნაკლებად აფასებდნენ. დღეს კი ის საკმაოდ ძვირად ფასობს. ამიტომაც ბაქოელებს აფრთხილებენ, ვინც აღნიშნული გირების დაბალ ფასად ჩაბარებას სთავაზობს, თავი არ მოატყუებინონ. ინტერნეტში წერენ, რომ ასეთი გირის ფასი სინამდვილეში 5-10 ათასი აშშ დოლარია. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მის შემადგენლობაში შედის ძალიან იშვიათი, ხელოვნურად სინთეზირებული ქიმიური ელემენტი, რომელიც ოქროს ანალოგია. მეტიც, ოქროზე ძვირად ფასობს. (ინფო9)

## „ევროვიზიაზე“ უკრაინა რუსეთის ზეწოლის წინააღმდეგ მღერის

EUROVISION SONG CONTEST

„ევროვიზიის“ კონკურსში უკრაინის მონაწილეობის მიზანი რუსეთის ზეწოლის წინააღმდეგაა მიმართული.

როგორც ცნობილია, „ევროვიზიაზე“ უკრაინის სახელით თათარი მომღერალი ჯამალა 1944 წელს შექმნილ სიმღერას წარადგენს.

„როდესაც უცნობები მოდიან თქვენს სახლში, გხოცავენ და აცხადებენ, რომ დამნაშავეები არ არიან“, – ასე იწყება სიმღერა, რომელიც იოსებ სტალინის დროს თათრების მასობრივი დეპორტაციის გამო შეიქმნა და მომღერალმა „ევროვიზიის“ კონკურსზე უნდა შეასრულოს.

როგორც ცნობილია, „ევროვიზიის“ კონკურსის წესები კრძალავს ისეთი სტილის სიმღერებს, რომელიც პოლიტიკურ შინაარს შეიცავს.

მაუწყებლის ინფორმაციით, 2009 წლის „ევროვიზიის“ კონკურსზე საქართველო-რუსეთის ხანმოკლე ომიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოს კონკურსში მონაწილეობის უფლება სიმღერის ტექსტის გამო არ მისცეს, რადგან ის პუტინის წინააღმდეგ იყო მიმართული.

როგორც ცნობილია, „ევროვიზიის“ ფინალური რაუნდი მაისში სტოკჰოლმში გაიმართება. (gurianews.com)

## რა დაჯდება და როდის დასრულდება მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებით, თბილისში 23-ე მეტროს სადგური შენდება.

სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ივლისში დაიწყო და 2017 წელს დასრულდება. პროექტი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 83 000 670.45 ლარია. (ambebi.ge)

## „გამოიყენეს და მოიშორეს“ — ოკუპირებული აფხაზეთის გენშტაბის მეთაური და აგვისტოს ომის მონაწილე კომაშია



ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის მეთაური ანატოლი ხრულოვი კომატოზურ მდგომარეობაში სოხუმის კლინიკაში მოათავსეს. როგორც ირკვევა, გენერალი სამუშაო კაბინეტში უგონო მდგომარეობაში დაცვის თანამშრომელმა იპოვა.

როგორც გენერლის ოჯახი ამბობს, გენერალი გამოიყენეს და შემდეგ თავიდან მოცილებას შეეცადნენ.

მათი თქმით, ხრულოვთან იმ დღეს ორი უცნობი ადამიანი შევიდა, გენერალმა მათთან ერთად ყავა დალია, სტუმრების წასვლის შემდეგ კი კომაში ჩავარდა.

ანატოლი ხრულოვი, რომელიც 2006-2010 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიას მეთაურობდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მძიმედ დაიჭრა და ვლადიკავკაზში იყო ჰოსპიტალიზებული.

რუსეთის 58-ე არმიის ყოფილი სარდალი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე ანატოლი ხრულოვი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო გენშტაბის უფროსად 2015 წლის ზაფხულში დაინიშნა.

რაულ ხაჯიმბა იმედს ამყარებდა ანატოლი ხრულოვის გამოცდილებასა და ცოდნაზე, ხოლო თავდაცვის სფეროში აფხაზეთის ახალი ამოცანა რუსეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას უკავშირდებოდა.

გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ხრულოვი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის 58-ე არმიის სარდალი იყო. ის აგვისტოს ომში დაიჭრა, როდესაც ქართული არმიის ქვედანაყოფებმა რუსულ კოლონაზე იერიში მიიტანეს. მოგვიანებით ის აცხადებდა, რომ „ჩემს არმიას თბილისის აღება შეეძლო, მაგრამ ვილაცას შეეშინდა ასეთი გამარჯვების“. (ნიუპოსტი)

## არსებობს თუ არა სამაჩაბლოს დაკარგვის რეალური საფრთხე – ლეონიდ თიბილოვი რუსეთთან მიერთების საკითხზე ე.წ. რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს



ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი რუსეთის ფედერაციაში ოკუპირებული რეგიონის შესვლასთან დაკავშირებით ე.წ. რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს. ოსური და რუსული მედიის ინფორმაციით, ე.წ. რეფერენდუმი შესაძლოა, წელს ჩატარდეს, რის შემდეგაც თიბილოვი რუსეთის პრეზიდენტს მიერთების თხოვნით მიმართავს. თიბილოვი ამბობს, რომ მას ესმის ამ გადაწყვეტილების სირთულე მოსკოვისთვის და რუსულ მხარესთან აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციებს გააგრძელებს, რათა „რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო არენაზე დამატებითი სირთულეები არ შეუქმნას“.

ოკუპირებული ცხინვალის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის გეგმებში განსაკუთრებულ საფრთხეს ვერ ხედავს რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. მისი განცხადებით, „ამ ფაქტს ბუნებრივია, უნდა მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ შედეგი არ იქნება იმაზე მეტი, რაც დღეს არის“.

ექსპერტების შეფასებით, ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ. რეფერენდუმის ჩატარების საკითხის გაჟღერება პირველი შემთხვევა არ არის, თუმცა ბოლო პერიოდში „მომრავლებული“ ასეთი განცხადებები სერიოზული საფრთხის შემცველია.

– დიდი ხანია, მზადდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთისა და ცხინვალის მიერთებას რუსეთის ფედერაციასთან. თვითონ რუსებიც უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ისინი დაიღალნენ იმ ჩემოდნის თრევით, რომელსაც სახელური არ აქვს. ამიტომ ურჩევნიათ მიიერთონ, – ამბობს „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაია.

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას არანაირი პოლიტიკა არ აქვს.

– ესენი რას გააკეთებენ, არავინ იცის. მთავრობის წევრი მინისტრი ზაქარეიშვილი ამბობს, რომ საფრთხეს ვერ ხედავს და რაზე უნდა ვილაპარაკო? ზაქარეიშვილი საერთოდ ვერ ხედავს ვერანაირ საფრთხეს, თბილისის ოკუპაციაც რომ მოხდეს, მისთვის ეს საფრთხე არ არის.

თვითონ ცხინვალში ყველაზე ნაკლები პრობლემაა იმიტომ, რომ ჯარები უფრო მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა და საკითხი მარტივად გადასაწყვეტია. რუსეთისთვის მთავარი პრობლემა აფხაზეთია და ამიტომ იწელება ეს საკითხი. რუსეთს არ აწყობს ჯერ ცხინვალის და მერე აფხაზეთის შეერთება, ორივე ერთად უნდა, რომ „პრობლემა“ ერთბაშად გადაჭრას, – ამბობს პაატა დავითაია.

თიბილოვის განცხადების გარდა, საფრთხეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებაში ხედავს ექსპერტი მამუკა არეშიძე:

– სერგეი ლავროვმა გააკეთა კიდევ ერთი განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ, თუ საქართველოს ნატოში „შეთრევის“ მცდელობა იქნება, შესაბამის ზომებს მივიღებთო, თიბილოვის განცხადებაც ერთ-ერთი ასეთი ზომაა. როგორც კი საქართველოს ხელისუფლება გაააქტიურებს თავის ნატოსეულ ვექტორს, იმ წუთში იქნება ამ ტიპის განცხადებები და არ არის გამორიცხული, ექსტრემალურ სიტუაციაში შესაბამისი ნაბიჯიც გადაიდგას, მაგრამ ეს ექსტრემალური სიტუაცია არის მხოლოდ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გარდაუვალობა.

არეშიძის თქმით, ოკუპირებულ ცხინვალში შესაძლო ე.წ რეფერენდუმის ჩატარება არ ჰგავს ყირიმში ჩატარებულ ე.წ. რეფერენდუმს, რადგან „ყირიმის ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, იქ რეფერენდუმი მხოლოდ ფორმალობისთვის ჩატარდა, სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში კი რეფერენდუმი ფორმალობა ჯერ არ არის“.

კითხვაზე, რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ, არეშიძე ამბობს, რომ ქვეყანამ უნდა განაგრძოს ნატოში გაწევრიანებისკენ გზა, თუმცა „მოზომილი ნაბიჯებით“.

ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავს არც „მომავლის ცხინვალის“ კავშირის თავმჯდომარე მარინა მემშვილდიშვილი. მისი თქმით, შესაძლოა, ჩატარდეს ე.წ. რეფერენდუმი, თუმცა იქნება თუ არა თანახმა რუსეთი, თავის შემადგენლობაში მიიღოს ე.წ. სამხრეთ ოსეთი, საეჭვოა.

– სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა იყოფა ორ ნაწილად, ერთ ნაწილს სრული დამოუკიდებლობა უნდა, ხოლო მეორეს რუსეთთან მიერთება სურს, რადგან ფიქრობენ, რომ უფრო დაცულები იქნებიან. ჩვენ პერიოდულად შეხვედრებს ვატარებთ ოსურ საზოგადოებასთან და კითხვაზე, სრული დამოუკიდებლობის მიუღებლობის შემთხვევაში ვისთან უფრო ისურვებდით ყოფნას, ერთპიროვნულად პასუხობენ, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოს აირჩევენ, – ამბობს მარინა მემშვილდიშვილი. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რას ამბობს გია კორკოტაშვილი ურგანტის შოუში სტუმრობაზე



სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდება რუსი ტელეწამყვანის, ივან ურგანტის შოუს „Вечерний Ургант“ ჩანაწერი, სადაც გია კორკოტაშვილი ქართული სუფრის ფონზე წამყვანთან, ტრიო „დარბაზთან“ და მომღერალ ლუბა უსპენსკაიასთან ერთად მღერის. გადაცემას აქტიური გამოხმაურება და უამრავი კომენტარი მოჰყვა.

კომენტარისთვის მომღერალ გია კორკოტაშვილს დავუკავშირდით:

– შოუში პირადად ურგანტის მიწვევით მოვხვდი. მას ადრე ჩემი სიმღერა (ჩუნგა-ჩანგა) ჰქონდა გაშვებული გადაცემაში. როგორც ჩანს, მოეწონა, დამირეკა და მიმიწვია. თანაც იყო ლუბა უსპენსკაიას იუბილე და ამიტომ ლუბაც მიწვეული იყო.

**— ბევრმა ძალიან უარყოფითად შეაფასა თქვენი ეს ნაბიჯი...**

– ვინც ეგ ცუდად მიიღო, საკუთარ თავში უნდა მოძებნონ პრობლემა. ბევრმა ისიც თქვა, – „კორკოტამ“ ოკუპანტებს უმღერაო. ოკუპანტებს ვინც უმღერის და გუნდრუკს უკმევს, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. „ნაციონალური მოძრაობა“ რომ უმღეროდა ჩვენს მტრებს, ისე ვის უმღერია? „ნაციონალები“ ყველაფერს მაგის სასარგებლოდ აკეთებდნენ. ნახევარი საქართველო სწორედ მაგ ოკუპანტებს მიჰყიდეს და კიდევ ხმას იღებენ? თანაც სტრატეგიულ ობიექტებზეა საუბარი. მე თუ სიმღერით ვუმღერე ოკუპანტებს, მაგათ საქმით გაუკეთეს ის, რაზეც თვითონაც ვერ იოცნებებდნენ.

**— არაერთმა ადამიანმა თქვა, რომ გადაცემაში წამყვანმა და მოწვეულმა სტუმრებმა დაგცინეს...**

– ვინც ფიქრობს, რომ მე რუსებს ვუმღერე, ვინც ფიქრობს, რომ ეს გადაცემა ჩემს დასაცინად იყო და ვინც ამ ყველაფერს ხელოვნების კუთხით არ უყურებს, ავადმყოფები და ეჭვიანები არიან და აუცილებელია მათი მკურნალობა. მე რაც არ უნდა ვილაპარაკო, მაგათთვის აზრი არ აქვს, ვერ გაიგებენ.

**— იმათ თუ ეთანხმებით, ვინც თქვენი ეს გადაწყვეტილება სახალხო დიპლომატიისთვის გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა?**

– სახალხო დიპლომატიაში სწორი და არასწორი ნაბიჯი არ არსებობს. სახალხო დიპლომატიამ უნდა იმუშაოს ყველა სიტუაციაში. ომის დროსაც და მშვიდობიანობის ჟამსაც. არ აქვს მნიშვნელობა, დაპყრობილია თუ არა ეს თუ ის ტერიტორია. ამას აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, სახალხო დიპლომატია უნდა მუშაობდეს მუდმივად, რადგან ეს აკეთილშობილებს ურთიერთობებს. მეტსაც გეტყვით, არ არსებობს სახალხო დიპლომატიის მიერ გაფუჭებული საქმე. (ambebi.ge)

## ჩაქვში 40 წლის მამაკაცი მისმა თანამშრომელმა მოკლა




წინასწარი ინფორმაციით, ჩაქვში გარდაცვლილი და მკვლელიც სასტუმრო „ოაზისის“ ტერიტორიაზე არსებულ მშენებლობაზე მუშაობდნენ.

თვითმხილველების ინფორმაციით, მკვლელსა და მის თანმხლებ პირებს მკვლელობამდე კამათი ჰქონდათ და არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ჯერჯერობით, მკვლელი დაკავებული არ არის.

შსს-ს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით აღიძრა. (pia.ge)

## „ბოლო დღე ჩვენი მტრისთვის იყოს“ — დავით ნარმანიას კომენტარი მისი შესაძლო გადადგომის შესახებ



თბილისის მერი დავით ნარმანია ჭორს უწოდებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელის პოსტს ვადაზე ადრე დატოვებს.

როგორც ნარმანიამ აცხადებს, მისი თანამდებობიდან გადადგომის საკითხი არ განიხილება.

კითხვაზე, რას იტყვის ექსპერტთა იმ მოსაზრებებზე, რომლის მიხედვითაც, მისი მერობის ბოლო დღეებია, ნარმანიამ აღნიშნა, რომ „ბოლო დღე ჩვენი მტრისთვის იყოს“.

ამასთანავე, დავით ნარმანია არ აკონკრეტებს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის არჩევნებში და დასახელდება თუ არა თბილისის მერის პოსტზე კიდევ ერთი ვადით. ამასთან დაკავშირებით ნარმანია მხოლოდ იმას აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ცნობისთვის, მერებისა და გამგებლების არჩევა 4 წლის ვადით ხდება, თუმცა 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში არჩეულთათვის ეს ვადა შეკვეცილია – 2013 წელს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გადაწყდა, რომ 2014 წლის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნები 2017 წლის ოქტომბერში გაიმართება. ეს საკრებულოებსაც ეხება. (ინტერპრესნიუსი)

## ვინ შეუკვეთა ლავროვის შვილისა და მისი მეუღლის ლიკვიდაცია?



სპეცსამსახურები ეძებენ ადამიანს, რომელმაც წერილი მისწერა ალექსეი შერსტობიტოვს და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ქალიშვილის – ეკატერინე ვინოკუროვისა და მისი ქმრის მკვლელობა „შეუკვეთა“.

შემკვეთის ვინაობა, როგორც სპეცსამსახურები ამბობენ, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა ეს „ხუმრობა“ მას ძალიან ძვირი დაუჯდება.

gazeta.ru წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ წერილი პირდაპირ პატიმრობაში მყოფ შერსტობიტოვს არ მისვლია და ის გაიგზავნა მისი შემოქმედების საიტზე. წერილში უცნობი მსჯავრდადებულს ეკატერინე და ალექსანდრე ვინოკუროვის ლიკვიდაციას სთხოვს და 500 მილიონ დოლარს სთავაზობს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, თუ წერილის დამწერს ფსიქიკური პრობლემები აღმოაჩნდება, ესეც ვერ დაიხსნის მას პასუხისმგებლობისგან. ცნობისთვის, „შეკვეთილი“ ალექსანდრე ვინოკუროვი საკმაოდ გავლენიანი ბიზნესმენია. (postalioni.com)

## მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა, თანამდებობიდან მოხსნან



ოდესის ოლქის გუბერნატორი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მარტის დასაწყისში შესაძლოა, თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია Hromadske.tv საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გუბერნატორისთვის თანამდებობის დატოვებას არც სააკაშვილის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, საშა ბოროვიკი გამორიცხავს.

– ჩვენ სერიოზულად ვართ პოლიტიკური კრიზისით შეშფოთებულები, რომელიც ქვეყანაში ვითარდება. გამოვხატავთ ჩვენს კრიტიკას და ვსვამთ უხერხულ კითხვებს, მათ შორის, კითხვები გვაქვს პრემიერთან და პრეზიდენტთან, რომელთა პირდაპირ დაქვემდებარებაშიც ვიმყოფებით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამან მათი მხრიდან მკვეთრი რეაქცია გამოიწვიოს. შესაძლოა თუ არა ეს თანამდებობიდან მოხსნა იყოს? ყველაფერი მოსალოდნელია, – განაცხადა საშა ბოროვიკმა. (pia.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალა პრაქტიკულად. ისეთი წინაპირობებია შიგნით, ისინი ერთიანობას ვეღარ შექმნიან“, – ამ განცხადებას „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია აკეთებს, თუმცა ალასანია ჩქარობს, რადგან ჯერჯერობით კოალიციის დაშლა არავის გაუფორმებია და ეს კვირა იქნება გადამწყვეტი, როგორ განვითარდება მოვლენები.

პოლიტსაბჭოს სხდომა, ალბათ, იქნება ხმაურიანი, საკმაოდ დაძაბული და შესაძლოა, ერთმანეთს კომპრომატები სულ თავში ურტყან. თუმცა მანამდე კოალიცია კონსულტაციას გაივლის პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან. იგი, სავარაუდოდ, შეეცდება, დააბალანსოს „რესპუბლიკელებსა“ და დანარგადაყენება და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, სანდრო ბრეგაძის გადადგომა, რომელიც, მისი თქმით, თინა ხიდაშელის შანტაჟსა და ულტიმატუმს შეეწირა. ახლა კი, „რესპუბლიკელები“ ულტიმატუმს გოგი თოფაძის მიმართ აყენებენ, – ან ჩვენ ვრჩებით კოალიციაში, ან გოგი თოფაძე გვტოვებსო. გოგი თოფაძე რომ არსად წამსვლელი არ არის, სულ რომ ბომბი აუფეთქონ და „გრანატამიოტები“ დაუშვან, ეს არის ფაქტი, რაც ეყრდნობა მის წარსულ ცხოვრებას და პრინციპებს. ის არასოდეს გაქცეულა და პრინციპულად არასოდეს დაუთმია პოზიციები.

ვინ რას „შეიწირს“ ამ ბრძოლაში, თინა ხიდაშელი „გამყალბებლობას“ თუ გოგი თოფაძე ანტიეროვნულ განცხადებებს, რა ბრალდებაც მას დავით ბერძენიშვილმა წაუყენა, ამას უახლოეს დღეებში გავიგებთ.

ოცნებას“ მოსახლეობის უმრავლესობა ხმას არ მისცემს. „ქართულ ოცნებას“ დარჩა ერთადერთი ხიბლი, რომ ისინი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ შემაკავებელი ძალა და ეს გახლავთ ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც, მათ ხალხი ხმას მისცემს... და თუკი, ეს ხიბლიც აღარ იქნება და კოალიცია დაიშლება, მერწმუნეთ, რომ ბარიერს ვერც ერთი პარტია ვერ გადალახავს, „ქართული ოცნების“ გარდა. გოგი თოფაძე კი აცხადებს, რომ „რესპუბლიკელებს“ 2%-ზე მეტი არ აქვთო, მაგრამ არც მის პარტიას აქვს მეტი. ვერც „კონსერვატორები“, ვერც „ფორუმი“, ვერც „სოციალ-დემოკრატები“, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავენ. მათ ერთმანეთის სიძულვილი ამოძრავებთ და აქედანაც გამომდინარეობს დაპირისპირება.

**— „რესპუბლიკელებს“ ძალიან დიდი პოლიტიკური**

არჩევნებს, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში. თუ გოგი თოფაძემ და ივანიშვილმა გაიმარჯვეს, დასავლეთის დამკვირვებლები აღშფოთდებიან და თუ მეტ-ნაკლებად იქნება დაბალანსებული ძალა ახალი სახეებით, რომლებიც იქნებიან ლიბერალები, მაშინ ნაკლები მოტივაცია ექნება დასავლეთს, არჩევნების გაყალბებაზე ხმამაღლა ისაუბროს.

**— გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ივანიშვილს „რესპუბლიკელების“ შანტაჟზე ასე უპასუხია, — მერე რა, რომ პროდასავლური ძალა ხართ, მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარება ისე იცვლება, რომ ხვალ და ზეგ შესაძლოა, თქვენი კოალიციაში ყოფნა ქვეყნისთვის საფრთხე გახდესო.**

– დარწმუნებული ვარ, რომ ეგრე ფიქრობს, ეს შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა



# კახა კუკავა: „შეგახსენებთ, სანამ ევროსაბჭომ არ თქვა, არჩევნები გაყალბდაო, „ვარდების რევოლუცია“ არ მოხდა“

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერთან მქონდა შეხვედრა, ცნობილი დეპუტატია. მე ასე, არ ვაგინებ მთავრობას, „ქართულ ოცნებას“, მის ხელმძღვანელებს და განსაკუთრებით, სამართალდამცავ ორგანოებს“**

**„ქართული ოცნების“ 90% ვერ იტანს ბიძინა ივანიშვილს და კოალიციის ლიდერებს — ვოლსკის და ა.შ. ეს საკითხები გარეთ იმიტომ არ გამოდის, რომ არ იციან, სად გაიქცნენ“**

ჩენ სუბიექტებს შორის დაძაბულობა, მაგრამ დამაფიქრებელია ამ სცენარში გოგი თოფაძის ჰიპერაქტიურობა, პრინციპული და ჯიუტი განცხადებები „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ, რომელიც თავდაცვის მინისტრს ამხელს არჩევნების გაყალბებაში და ამით ნატოსთან, დასავლეთთან ასმენს გოგი თოფაძე, რომ მათი მეგობარი თავდაცვის მინისტრი არღვევს დემოკრატიისთვის ყველაზე ღირებულ პრინციპს და სჩადის დანაშაულს... და თავდაცვის მინისტრი, რომელიც ჯიუტად ითხოვს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, მეორე მხრივ, ის ვერ აბარებს დემოკრატიულად არჩევნების ჩატარების ტესტს. ეს, რა თქმა უნდა, არის სკანდალი, მაგრამ ამ შემთხვევაში თინა ხიდაშელის ადგილზე რომ იყოს მინდია ჯანელიძე, ნატო და ევროკავშირი აუცილებლად ამოგვიღებდა ყვითელ ბარათს, მაგრამ საქმე გვაქვს ამერიკელების მიერ ხელდასხმულ თავდაცვის მინისტრთან და შესაბამისად, გოგი თოფაძის ეს განცხადებები ჩაითვლება კრემლის მიერ შეკვეთილ განცხადებად, მით უფრო მაშინ, როცა გოგი თოფაძის პოზიცია ნატოსთან დაკავშირებით არის ღია და ყველამ იცის, რომ მას არ სურს საქართველო ნახოს ნატო-ში. ასევე, ჩნდება საინტერესო კულუარული ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი ფსონს აღარ აკეთებს „რესპუბლიკურ პარტიაზე“, მიუხედავად მათი შანტაჟისა, რომ თუკი მათ გარეშე გავლენ არჩევნებზე, „ოცნება“ დაკარგავს პროდასავლურობის იმიჯს. ამაზე ივანიშვილს აქვს მარტივი პასუხი, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკური მდგომარეობა ისე იცვლება, შესაძლოა ხვალ და ზეგ „რესპუბლიკელების“ ხელისუფლებაში ყოფნა ჩემი თავის ტკივილი აღმოჩნდესო.

როგორ გადაწყდება „რესპუბლიკელების“ ბედი, ეს ბიძინა ივანიშვილზეა დამოკიდებული, თუმცა ერთი რამ შეიძლება ვთქვათ, აქამდე ბრძოლებს იგებს „რესპუბლიკური პარტია“ და ამის მაგალითია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიასთან“ ინტერვიუში ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებას აფიქსირებს:**

**— მართალია, ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ კოალიცია უკვე დაშლილია, თუმცა უმრავლესობის წევრები კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევენ ამ ეტაპზე „რესპუბლიკელებისგან“ გამიჯვნას. როგორ ფიქრობთ, რა სცენარი თამაშდება?**

– როდესაც გოგი თოფაძე ყოველდღიურ რეჟიმში აკეთებს განცხადებებს „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ, სრულიად აშკარაა, რომ მისი მხრიდან ეს არც წამოცდენაა და

**მადა აქვთ. როგორც ჩანს, მათზე მიზანმიმართული თავდასხმები განპირობებულია იმით, რომ „რესპუბლიკელების“ თამასა დასწიონ და დააბალანსონ.**

– რა თქმა უნდა, არის ლოგიკა, თუმცა ეს არის ძალიან სახიფათო თამაში. გახსოვთ, როგორც შევარდნაძე გაგიჟდა მმართველობის ბოლოს და ამბობდა, მესამე ვადით უნდა მოვიდეო, როგორც მიშა სააკაშვილი გაგიჟდა და გეგმავდა პრემიერ-მინისტრად მოსვლას, ეს გაგიჟება დაემართა „ქართულ ოცნებას“. არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება, რასაც ახლა ისინი აკეთებენ. „რესპუბლიკელების“ კოალიციაში ყოფნის მიუხედავად, დასავლეთი „ქართულ ოცნებას“

**გახსოვთ, როგორც შევარდნაძე გაგიჟდა მმართველობის ბოლოს და ამბობდა, მესამე ვადით უნდა მოვიდეო, როგორც მიშა სააკაშვილი გაგიჟდა და გეგმავდა პრემიერ-მინისტრად მოსვლას, ეს გაგიჟება დაემართა „ქართულ ოცნებას“. არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება, რასაც ახლა ისინი აკეთებენ.**

არც ასაკის ბრალი, რასაც თავის დროზე თოფაძესთან მიმართებაში ივანიშვილმა გაუსვა ხაზი. არის საუბრები, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს თავის კოალიციაში ცვლილებების შეტანას და საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიციის დაშლას. თუმცა ამ ვერსიაში მთლად არ ვარ დარწმუნებული ერთი რაღაცის გამო, ამ შემადგენლობის კოალიციის რეიტინგი არის დაბალი, გაყალბების პერსპექტივაშიც კი მათ არანაირი შანსი არა აქვთ, რომ მოიპოვებენ უმრავლესობას. როგორც კვლევები აჩვენებს, მათი რეიტინგია დაახლოებით 15-20%, ამას დაუმატეთ გაყალბება, პლუს მაჟორიტარები და ვთქვათ, მიიღეს 40%, მაინც ვერ ქმნიან საკონსტიტუციო უმრავლესობას... და თუ „ოცნება“ დაიშალა, გასათვალისწინებელია, რომ ცალ-ცალკე აღებული არც ერთ პარტიას, არ აქვს რეიტინგი და არც ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი გახლავთ ისეთი, როგორიც ეს იყო 2012 წელს და მისი ფაქტორიდან გამომდინარე, „ქართულ

აღიქვამს, როგორც პრორუსულს. „რესპუბლიკელების“ გარეშე, შესაძლოა ამერიკის შეერთებულ შტატებში დადგეს საკითხი, რომ საქართველოში განხორციელდეს „მაიდანის“ სპეცოპერაცია, რომელიც განიხილებოდა აქამდე, თუმცა „თეთრი სახლის“ ადმინისტრაცია ამბობდა, რომ არ იყო საჭირო საქართველოში „მაიდანი“, რადგან ხელისუფლება ისეთს არაფერს აშავებდა. დასავლეთი ამ მთავრობას ბოლომდე თავის მტრად არ თვლის, არც საზოგადოებაში იყო ისეთი ნეგატიური განწყობა, როგორიც დღეს არის. თუ კოალიციაში დარჩებიან – მეჭიაურები, თოფაძეები და „რესპუბლიკელები“ გავლენ, დასავლეთს უკვე ხელ-ფეხი ეხსნება და უჩნდებათ მოტივაცია, ილაპარაკონ გაყალბებულ არჩევნებზე. შეგახსენებთ, სანამ ევროსაბჭომ არ თქვა, არჩევნები გაყალბდაო, „ვარდების რევოლუცია“ არ მოხდა. არჩევნები საქართველოში ყველა ვარიანტში გაყალბდება, მაგრამ დაინახავს თუ არა დასავლეთი გაყალბებულ

„რუსთავი 2“-ზე, როდესაც ჩათვალა, რომ საკითხი მოაგვარა და დაიწყო შტურმი. ვნახეთ, რომ დასავლეთმა ხელები დაამტვრია. ბიძინა ივანიშვილის ინტელექტის საქმე არ არის მსოფლიო გეოპოლიტიკა, რამდენ მსჯელობასაც წამოიწყებს გეოპოლიტიკაზე და დასკვნებს გააკეთებს, იმდენჯერ დაუშვებს შეცდომას. თქვენ კარგად იცით, რატომ დაამხვეს შევარდნაძე და რატომ დაამხვეს ასევე იანუკოვიჩი. ეს ორი ლიდერი, თავისი ჭკუით, თამაშობდა რთულ თამაშს, თან რუსეთთან იყვნენ, თან ამერიკასთან. საბოლოო ჯამში, იანუკოვიჩიც და შევარდნაძეც, ორივე, ამერიკამაც გაყიდა და რუსეთმაც. თუ ივანიშვილიც ასეთ თამაშს წამოიწყებს, მასაც იგივე დაემართება. მე ვიძლევი გარანტიას, რომ 2017 წელი არის მაქსიმუმი, სადამდეც გაქაჩავს „ქართული ოცნება“, კოალიციაში შემავალი ყველა სუბიექტი ეძებს ფულიან პატრონს. დღეს თუ არა, ხვალ ხომ იპოვიან გასაქცევს? ამ ხელისუფლების დღეები დათვლილია, როგორც კი გამოჩნდება ალტერნატიული ძალა, მერწმუნეთ, რომ მარტივ მამრავლებად დაიშლებიან. რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერთან მქონდა შეხვედრა კერძო საკითხზე, სხვათა შორის ძალიან ცნობილი დეპუტატია. ისე მელაპარაკა, გაოგნებული დავრჩი. მე ასე, მაგალითად, არ ვაგინებ მთავრობას, „ქართულ ოცნებას“, მის ხელმძღვანელებს და განსაკუთრებით, სამართალდამცავ ორგანოებს. მან მითხრა, რომ სიტუაცია არის აუტანელი. „ქართული ოცნების“ 90% ვერ იტანს ბიძინა ივანიშვილს და კოალიციის ლიდერებს – ვოლსკის და ა.შ. ეს საკითხები გარეთ იმიტომ არ გამოდის, რომ არ იციან, სად გაიქცნენ. როგორც კი გასაქცევი ექნებათ, მერწმუნეთ, ისეთი ამბები გამოვა საჯაროდ, რომ ეს ხელისუფლება ხუთ წუთში დამთავრდება.

## „სირია შესაძლოა, გაქრეს“



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი სირიის არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებს, თუ ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მომხრეები და ოპოზიცია სამშვიდობო შეთანხმებას ვერ მიაღწევენ.

სახელმწიფო მდივნის განცხადებით, კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია ბაშარ ასადის თანამდებობაზე დარჩენის შემთხვევაში.

– უმჯობესია საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადაწყვეტა, ვიდრე მუდმივი სამხედრო დაძაბულობა, რომელსაც უამრავი დევნილი, ჯიჰადისტები, ნგრევა და შესაძლოა, სირიის სრული განადგურება მოჰყვება. ახლა ჟენევაში სახელისუფლებო ძალებსა და ამბოხებულთა დაჯგუფებებს შორის, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ კონსულტაციები მიმდინარეობს, – აღნიშნა ჯონ კერიმ.

მისი თქმით, სამშვიდობო პროცესის შესახებ შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია. (pia.ge)

## „მშიშარა კაცის სამარცხვინო საქციელი“ — პროკურორის შვილის 5 400 ლარი



– ხელისუფლებას იმდენი ვაჟკაცობაც არ ჰყოფნის, რომ თავად აიღოს თავის საქმეზე პასუხისმგებლობა, – ამ განცხადებას „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა მერიის მორიგ სკანდალთან დაკავშირებით აკეთებს. პროკურორის შვილის დაფინანსების თემის კომენტირებისას გუგავა ამბობს, რომ იკვეთება დანაშაული – სარეზერვო ფონდის თანხის გახარჯვა და რიგით თანამშრომელზე გადაბრალება:

– ეს არის სამარცხვინო განცხადება, სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც მათ ამ სიტუაციიდან გამომდინარე გააკეთეს. ერთი, თავისთავად დანაშაული უკანონობა და უზნეობაა, როდესაც პარიზში კარგი დროის გატარებისთვის პროკურორის შვილს გადაურიცხავ სოციალურად დაუცველების სარეზერვო ფონდიდან თანხას, მაგრამ, როდესაც ამაზე პასუხისმგებლობას არ იღებ და გინდა, ჯოხი გადატეხო რიგით თანამშრომელზე, განაცხადებ, რომ არ იცოდი, რას აწერდი ხელს, ეს თავისთავად შენს სისუსტეზე მეტყველებს და მეორეა მშიშარა კაცის სამარცხვინო საქციელი. იმდენი პასუხისმგებლობაც არ ჰყოფნით, რომ საკუთარ გადაწყვეტილებებზე თავად აიღონ პასუხისმგებლობა, თავად დაიცვან ან ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას ასეთი უკანონო ქმედებების გამო. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რამდენად პატარა კაცუნებთან გვაქვს საქმე ამ ხელისუფლების სახით. ეს შეეხება როგორც ნარმანიას, ისე ზოგადად ხელისუფლებას, – განაცხადა გიორგი გუგავამ. (პირველი რადიო)

## უკვე ყველაფერში ჯაბნის „ნაცმოძრაობა“ „ოცნებას“ — გილოცავთ, სულ გაიმაიმუნეთ თავები!



განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს და თამარ სანიკიძის განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმადაც „აბსოლუტურად მიუღებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება“.

როგორც შაშკინი აცხადებს, რწმენა არის ძალიან პირადული, რომელში ჩარევის უფლება არავის არ აქვს.

– ლოცვა, ზოგადად, რწმენა არის ძალიან პირადული. ჩემი სუბიექტური აზრით, არც მინისტრს და არც პედაგოგს უფლება არ აქვთ, არც აკრძალონ და არც დააძალონ ლოცვა. ყველა ადამიანი, მათ შორის ბავშვიც არის პიროვნება, ის არის აბსოლუტურად თავისუფალი, დაიწყოს გაკვეთილი ლოცვით, ან არ დაიწყოს. ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი გადასაწყვეტია, – აცხადებს შაშკინი.

მისივე თქმით, მსგავს სენსიტიურ თემებზე საუბრისას, სახელმწიფო მოხელეებს მეტი სიფრთხილე მართებთ. რაც შეეხება კითხვას, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი კლასში მართლმადიდებლების გარდა, სხვა აღმსარებლობის მოსწავლეები არიან, ყოფილმა მინისტრმა უპასუხა:

– ლოცვას მე მივიჩნევ ისეთ რამედ, რაც გაკავშირებს ღმერთთან. აქედან გამომდინარე, ლოცვა არ უნდა იყოს გადაზრდილი სახალხო და საჯარო ღონისძიებაში. აქედან გამომდინარე, თუ ბავშვი თავისთვის ლოცულობს, ხაზს ვუსვამ, თავისთვის ლოცულობს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმე. ეს არის ფუნდამენტური უფლება. ყველა ადამიანი არის თავისუფალი, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არის ორი უკიდურესობა: ერთი უკიდურესობა არის ის, რომ ვიღაც ცდილობს ძალიან პირადული საკითხიდან – რწმენიდან დადგას სპექტაკლი, რაც აბსოლუტურად მიუღებელია სკოლაში და საერთოდ ცხოვრებაში და მეორე საკითხი არის ის, რომ არც ერთ ჩინოვნიკს არ აქვს უფლება, შეიჭრას ადამიანის პირად ცხოვრებაში და აუკრძალოს ლოცვა, – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა. (ნიუპოსტი)

**სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა „ნაცმოძრაობა“ მორწმუნეების დამცველად გვევლინება, თუმცა ეს ამბავი „ქართულ ოცნებას“ მოჰკითხეთ, მათ უმოქმედობას, ამჩემფეხებობას და იმაზე კანკალს — უი, უი, ევროპა რას იტყვის, ხომ არ შევაშფოთებთო...**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რატომ ახდევინებს გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს გამოცდებზე რეგისტრაციის საფასურს?!




არასამთავრობო ორგანიზაცია „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრი“ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის საფასურის გადახდის გაუქმებას ითხოვს. ორგანიზაციამ შესაბამისი მოთხოვნის შინაარსის მქონე პეტიციის გავრცელება ელექტრონულ სივრცეში უკვე დაიწყო.

**რით ასაბუთებს ორგანიზაცია მოთხოვნის საფუძვლიანობას და რას ამბობენ მოთხოვნის საპასუხოდ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრში?**

**„ალია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ თავმჯდომარე, დათო ფერაძეს ესაუბრა:**

– რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის უამრავი საფუძველი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ამ გადასახადით ყვლეფენ აბიტურიენტების მშობლებს. დაინტერესდა ვინმე, რომ გასულ წლებში ბევრმა გაჭირვებულმა აბიტურიენტმა ვერ შეძლო რეგისტრაციის გადასახადის გადახდა და ამიტომაც მისაღებ გამოცდებში ვერ მიიღო მონაწილეობა? ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ 4 საგნისთვის გადასახდელი 40 ლარი ბევრი ოჯახისთვის არაა ადვილად ხელმისაწვდომი თანხა.

მე ვიცი ოჯახები სოფლადაც და ქალაქადაც, რომლებსაც არ აქვთ გასაქანი, შესაბამისად, არ გააჩნიათ ეს თანხაც კი. რამდენ რამეს გაართვან თავი – შვილების კვებას, ჩაცმას თუ მომზადებას? მერე, მარტო ერთი აბიტურიენტის წევრობით შემოიფარგლება ოჯახის შემადგენლობა? გამოცდების ეროვნული ცენტრში ამ გადასახადს მიზერულს უწოდებენ. თუმცა, ვისთვის მიზერულია და ვისთვის კოლოსალური.

ამასთანავე, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ეს გახლავთ სახელმწიფო სტრუქტურა. ანუ აქ დასაქმებული ხალხი დაქირავებული ჰყავს სახელმწიფოს, ჩვენ ისედაც ვიხდით ამისთვის გადასახადს. გავიხსენოთ ცენტრის უმთავრესი ფუნქცია რა არის? ჩაატაროს მისაღები და ასევე, სხვა სახის გამოცდები და შეაფასოს შედეგები. მათი საქმე არის ეს, ამის გამო აფინანსებს მათ სახელმწიფო და იმ ვალდებულების შესრულება, რის გამოც ფინანსდება სახელმწიფოსგან, რატომღა უნდა იყოს ფასიანი ამ სახელმწიფოს მცხოვრებთათვის, გაუგებარიც არის, ალოგიკურიც და უსამართლოც. ეს იგივეა, რომ მაგალითად, საჯარო სკოლებმაც შემოიღონ პირველკლასელთა რეგისტრაციის გადასახადი.

ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. თუ საბიუჯეტო თანხას სათანადოდ ვერ ანაწილებენ, ეს მათი ფინანსური პოლიტიკის მინუსია. ეგრე თუ ვიმსჯელებთ, არც პედაგოგებს ჰყოფნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. აბა, შეადარეთ მასწავლებლის ხელფასი და შრომა ცენტრის თანამშრომელთა ანაზღაურებასა და შრომას. მაშინ სკოლებშიც მოვთხოვოთ მშობლებს გადასახადი მოსწავლეთა შემაჯამებლის გასწორებაზე, ჟურნალების წარმოებაზე, სემესტრული და წლიური ქულების დაჯამებაზე... რა ლოგიკაა ეს?! ამის გარდა, არ დაგვავიწყდეს, რომ 2016 წელს, გამოცდების ნახევრად ელექტრონულ ფორმატში გადასვლა მნიშვნელოვნად დაზოგავს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ბიუჯეტს.

სხვათა შორის, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის დაფინანსება მიმდინარე წელს არის 11 მილიონ 715 ათასი ლარი. ცენტრში მუდმივ შტატშია 170-მდე კაცი. მათ შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებულია 3 მილიონ 527 ათასი ლარი. სად მიდის დანარჩენი თანხა? ისინი გვპასუხობენ, რომ ეს ხმარდება პროგრამებს, ტექნიკურ გამართულობას, ტესტების მომზადებას და ა.შ. მე ამ თანხის ხარჯვის სამართლებრიობასთანაც მაქვს ეჭვები, თუმცა ეს ამ საუბრის თემა არაა. ჩვენ ვამბობთ, გასაგებია, რომ ეს ყველაფერი საჭიროა და უნდა მოხმარდეს კიდეც ფინანსები, მაგრამ ტექნიკური უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, პროგრამებზე მუშაობა, ტესტების მომზადება, საბოლოოდ რა მიზანს ემსახურება? გამოცდებს და გამოცდებზე მიღებული შედეგების გაზომვას, ხომ ასეა? გამოდის, რომ მშობლებს სწორედ ამ მთავარი მიზნის „მიღწევაში“ გლეჯენ ფულს.

**— როგორ ფიქრობთ, პეტიციით მოხერხდება სასურველი შედეგის მიღწევა?**

– პეტიცია გავავრცელეთ, როგორც დამატებითი, დამხმარე საშუალება, რომ როგორმე საზოგადოების ხმამ უფრო ფართო მასშტაბი შეიძინოს. მიმდინარეობს ხელმოწერის პროცესი. მერე ამ შედეგებს გადავამისამართებთ მთავრობისა და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის სახელზე. ვიმედოვნებთ, რომ გადასახადს უფრო მალე გააუქმებენ, ვიდრე სათანადო რაოდენობის ხელმოწერა შეგროვდება.

საბედნიეროდ, გვაქვს გამოცდილება, რომ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას, განათლების მინისტრისგან განსხვავებით, კომპრომისსა და მოლაპარაკებაზე წასვლა შეუძლია. გარდა ამისა, ეს ნაბიჯი მათსავე იმიჯის სასარგებლოდ იმოქმედებს და იმას დაადასტურებს, რომ საზოგადოებრივ აზრსა და ინტერესს ითვალისწინებენ. თუ კონფლიქტის გზას აირჩევენ, თუ წინააღმდეგობაში ჩავარდებიან, ეს ისევ მათ დააზარალებთ, ამიტომ მე ვერ ვხედავ ჩვენი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მიზეზს.

**— ფინანსების ხარჯვა რატომ არის საეჭვო?**

– პირველი, იმიტომ, რომ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი რატომღაც საჯარო ინფორმაციას არ აქვეყნებს ოფიციალურად. მეორეც – როგორც ვიცი, აქაც საკმაოდაა პრემირება. ცენტრში გვიცხადებენ, რომ პრემიებზე არც ერთ თეთრს არ ვხარჯავთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გრანტებიდან გავცემთო. მით უფრო საკვირველია – აბა, აბიტურიენტთა რეგისტრაციაზე საფასურის გაუქმებას რაღა უდგას წინ?

**— დაახლოებით რა თანხა შედის რეგისტრაციიდან?**

– აქვე დავამატებ, რომ ეს არაა მარტო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია, რომელსაც აბიტურიენტი იხდის. იცით, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს ერთიან სამაგისტრო გამოცდებს, მასწავლებელთა გამოცდებს და ა.შ. ზოგან არის გადასახადი. მარტო მისაღები გამოცდიდან, უხეში გაანგარიშებით ყოველწლიურად საშუალო თანხა შეადგენს 2 მილიონ ლარს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სხვა პრობლემებსაც მინდა შევეხო – ცენტრმა ნამდვილად შემოიტანა პოზიტივი. ვფიქრობ, ვალიდურობის მხრივ, ყველაზე მისაღები ტესტირების სისტემაც აქვთ. მე ვფიქრობ, რომ ყველა საჯარო დაწესებულების მოხელეები, სწორედ მათი სისტემით უნდა გადიოდნენ ტესტირებას, მაგრამ არსებობს გარკვეული ხარვეზებიც, მაგალითად, მაქვს საფუძვლიანი ეჭვები სპეციალისტების, გამსწორებლების, პროგრამის შემდგენლების „ჩაწყობებით“ შერჩევასთან დაკავშირებით.

**— ამას რის საფუძველზე ამბობთ?**

– ნახეთ, რა ხდება გამოსაშვები თუ მისაღები გამოცდების პროგრამებში. ჯერ ერთი ის, რომ უკვე რამდენი წელია, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შედის ამ პროგრამებში. ალბათ, იმიტომ, რომ „სპეციალისტები“ ამით საქმეს იადვილებენ და ანაზღაურებას მაინც იღებენ. მეორე – ეს პროგრამები ხშირად აცდენილია ეროვნულ სასწავლო გეგმას.

**— რას გულისხმობთ?**

– სამოქალაქო განათლების პროგრამა დევს და აბიტურიენტები ვერც ერთ სასკოლო სახელმძღვანელოში ვერ პოულობენ შესაბამის თემებს და ასეა ბევრ საგანში.

**აპირებს თუ არა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი რეგისტრაციის საფასურის სისტემის გადახედვას? ამ კითხვით ცენტრის პრესსამსახურს მივმართეთ.**

„ერთი აბიტურიენტის მომსახურება სახელმწიფოს ბევრად უფრო მეტი უჯდება, ვიდრე გამოცდაში მონაწილეობის ოფიციალური საფასურია (რეალურ საფასურში შედის ცენტრების მომზადების, ტესტების შექმნის, აპრობაციის, პროცესის ადმინისტრირების, მეთვალყურეების, გამსწორებლების დაქირავების და ა.შ. ხარჯები), აბიტურიენტი ამ ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს იხდის.

ახალი ფორმატის დანერგვა პირველ ეტაპზე დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან (თუმცა ორიენტირებულია მომდევნო ეტაპებზე ხარჯების შემცირებაზე), ცხადია, ისევე როგორც წინა წლებში, ამ ხარჯებსაც სახელმწიფო დაფარავს და აბიტურიენტს კვლავ სიმბოლური თანხის გადახდა მოუწევს“, – გვითხრეს ცენტრის პრესსამსახურში.

## „ეს არის მაქსიმუმ ერთი დღის დაზიანება“ — ექსპერტი კუჭავას ფეხზე მიყენებულ ჭრილობაზე საუბრობს



პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბრალდებულ ბიძინა კუჭავას მარცხენა ფეხზე ჭრილობა სიცოცხლეშივე აქვს მიყენებული. აღნიშნული განცხადება დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ექსპერტიზის ბიუროში რამდენიმესაათიანი კვლევების შემდეგ გააკეთა.

– ეს დიდი ზომის ჭრილობაა, რომელიც არ იყო ქირურგიულად დამუშავებული, გაკერილი არ იყო და ძალიან დიდი ალბათობით სისხლდენა უნდა ყოფილიყო. ზუსტად ამ კვლევის შედეგად მიკროსკოპულად დადგინდა, რომ ეს არ არის 2 და 3 დღის წინ მიყენებული დაზიანება, არის მაქსიმუმ ერთი დღის დაზიანება, ოღონდ დაცვისა და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ზუსტი დროის თქმისგან თავს ვიკავებ, – აცხადებს მაია ნიკოლეიშვილი.

შეგახსენებთ, გამოძიების ინფორმაციით, ჭრილობა ბიძინა კუჭავამ პროკურორ ქირიას ცხედრის დანაწევრების მცდელობის დროს ე.წ. „ბარგალკის“ გამოყენებით მიიყენა. (ნიუპოსტი)

## „ფსოუზე ხიდის რეკონსტრუქციას რუსული მხარე ჩაატარებს“



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას განცხადებით, მდინარე ფსოუზე ძველი ხიდის რეკონსტრუქცია ჩატარდება. დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიიღო.

აღდგენითი სამუშაოები, სავარაუდოდ, ზაფხულში დაიწყება. ხაჯიმბას თქმით, რუსული მხარის მიერ ხიდის რეკონსტრუქცია „აფხაზურ-რუსული საზღვრის გამტარიანობის ხარისხის“ გასაუმჯობესებლად ტარდება.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ლიდერმა ასევე განაცხადა, რომ 18 თებერვალს ვლადიმერ პუტინთან გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ რუსული მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე, გულრიფშის რაიონში ახალ ციხეს ააშენებს. (ნიუპოსტი)

## ქუვეითმა საქართველოდან პირუტყვის იმპორტი აკრძალა — რას ამბობს საქართველოს სურსათის სააგენტო



ქუვეითის სასოფლო-სამეურნეო საქმეთა და თევზის რესურსების უწყების მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ქუვეითმა საქართველოდან პირუტყვის იმპორტი აკრძალა.

განცხადების ავტორები აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშს, სადაც მითითებულია, რომ საქართველოში აღინიშნება კატარული ცხელების (Bluetongue disease) ეპიდემია.

– დაავადების გამოვლენის შემთხვევაში პირუტყვი დაბრუნდება უკან საქართველოში, – წერს ქუვეითის სასოფლო-სამეურნეო საქმეთა და თევზის რესურსების უწყება.

განცხადებას სურსათის ეროვნული სააგენტო გამოეხმაურა. უწყების განმარტებით, საქართველოში ცხვრის კატარალური ცხელების არსებობა არ დადასტურდა.

როგორც სურსათის სააგენტოს განცხადებაშია აღნიშნული, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს ყველა წევრ ქვეყანას.

– საქართველოში აღებული ნიმუშები გადაიგზავნა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პირბრაიდის (დიდი ბრიტანეთი) რეფერალურ ლაბორატორიაში – გაგზავნილი 11 ნიმუშიდან ცხვრის კატარალური ცხელება არც ერთში არ აღმოჩნდა, – ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ხანძარი გაგარინზე — 4 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა

გაგარინის 29 ნომერში გაჩენილი ხანძრის შედეგად 4 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. სახისა და ხელის დამწვრობით სტაციონარში გადაიყვანეს სახლის მესაკუთრე, რომელიც ცეცხლის გაჩენის დროს მარტო იმყოფებოდა. ასევე, მცირე დაზიანებები მიიღო ერთმა მამაკაცმაც, ცეცხლმოკიდებული სახლიდან ის მაშველების დახმარებით გამოიყვანეს.

დამწვარია 3-სართულიანი სახლის ორი სართული. მთლიანობაში ცეცხლმა 170 კვადრატული მეტრის ფართობი გაანადგურა. ადგილზე მუშაობდა 4 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა. ამ დროისთვის უცნობია, რა გახდა ხანძრის გაჩენის მიზეზი. საბურთალოს გამგეობის ინფორმაციით, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოთხივე ოჯახს, მოკვლევის დასრულებამდე ქირით თბილისის მერია უზრუნველყოფს. (პირველი რადიო)



**ლევან ჯავახიშვილი**
577 51-73-37

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის ინიციატივით გამოდის და 23 თებერვალს ამ თემაზე კონფერენციაც გაიმართა. მისი თქმით, პრობლემა ამ სფეროში კვლავ არსებობს, ამიტომ აუცილებელია სისტემურ პრობლემებზე სისტემური პასუხების გაცემა. უკვე შექმნილია კანონპროექტის პირველადი ვარიანტი, „უფროსი“ მხოლოდ პარლამენტია, პარლამენტი კი, „ჭრელი“ და შესაძლოა სამინისტროები ზედმეტ ხმაურს ერიდებიან. სხვა ამბავია, რა საქმეები „იფარცხება“ აუდიტში მანამდე, სანამ ის დასკვნაში მოხვდება, მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში არ ხდება, გამონაკლისები ყველა ქვეყანაში შეიძლება მოძებნო.

რა შეიძლება მოიმიზეზოს პარლამენტმა ამ კანონპროექტის კანონად ქცევაზე უარის სათქმელად? ზედმეტი ხარჯე-

2012 წლის შემდეგ ჩადენილი ყველა სახის დანაშაული. თუ შეიქმნება ეს მექანიზმი, ვერ ვხედავ სამართლებრივ არგუმენტს, რატომ არ უნდა გამოიძიოს ძველი დანაშაულები, თუ მტკიცებულებები იარსებებს საქმეში, თუ ბრალი იქნება არგუმენტირებული...

**— როცა ახალი ძალოვანი სტრუქტურა, მით უფრო საგამოძიებო სახისა იქმნება, ყოველთვის დამაბრკოლებელ გარემოებად იქცევა ხოლმე რაღაც ნათესაურ-კლანური კავშირები, რომლებიც ხელს უშლის**

ბიუროდ მის გადაქცევაზე არ მიფიქრია, სიმართლე გითხრათ. მომავალში რა მოხდება, არავინ იცის. 5-10 წლის შემდეგ, შესაძლოა, ძალიან ძლევამოსილი ორგანო გახდეს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი თანამშრომელი და რა დაფინანსება დასჭირდება ახალ სტრუქტურას. კანონპროექტის დახვეწაზე მუშაობა გაგრძელდება და პარლამენტს წარედგინება.

დაუჭერენ დეპუტატები კანონპროექტს მხარს?



# საქართველოში „ეფბიაი“-ს მსგავსი საგამოძიებო უწყება იქმნება?

## რას აცხადებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თამჯდომარე...

რომელშიც შემუშავებაშიც არასამთავრობო ორგანიზაციებიც იყვნენ ჩართული. პროექტის მიხედვით, ახალი საგამოძიებო ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს და პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული.

შეუძლებელია, უჩა ნანუაშვილის ამ ინიციატივას არ დაეთანხმო, როდესაც ხედავ, რომ პროკურატურასა და პოლიციაში, მავანთა ინტერესების გამო, საქმეების გამოძიება თვეობით იწელება, ან საერთოდ არ იხსნება. „ალია“ ჯერ კიდევ წლების წინ წერდა, რომ დამოუკიდებელი, „ეფბიაი“-ს მსგავსი საგამოძიებო სტრუქტურის შექმნა აუცილებელია. ეს რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. 1. ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს სათანადოდ არ იძიებენ ამ უწყებების გენინსპექციები. შესაბამისად, ხელს აფარებენ საკუთარი თანამშრომლების დანაშაულს. ეს ხან ნაცნობ-მეგობრობის წყალობით ხდება და ხან – უწყების მუნდირის მოფრთხილებით. 2. პროკურატურაში უამრავი დამტვერილი საქმეა, რომელთაც წლების მანძილზე არ იძიებენ. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი, როგორც ადვოკატები აცხადებენ, ის არის, რომ ამ საქმეებში თავად პროკურორები და გამომძიებლები არიან გარეულნი. ცხადია, პროკურორები არც საკუთარ თავს დასჯიან და არც საკუთარ კოლეგებს იმეტებენ საციხედ.

თუ უჩა ნანუაშვილის და არასამთავრობოების ინიციატივა საქმედ იქცევა, მაშინ, გამოძიების მხრივ, ბევრად ეფექტურ შედეგებს უნდა ველოდოთ, ვიდრე დღეს არსებული საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. ანალოგიისთვის შეგვიძლია, აუდიტის სამსახურის ეფექტური მუშაობა გავიხსენოთ. აუდიტის მიერ დასკვნების გამოქვეყნების შემდეგ, როგორც წესი, სამინისტროები და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები თავის მართლების რეჟიმში დგებიან ხოლმე და მე პირადად ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომელიმე სტრუქტურას გაეპროტესტებინოს, აუდიტი იტყუებაო. ეს ძირითადად იმიტომ, რომ აუდიტის

ბი? გაასუფთავეთ პროკურატურა უმაქნისი პროკურორებისგან, რომელთა გამოც თაროები ათასობით დამტვერილი საქმეებით გაივსო და მათთვის მისაცემი თანხა ახალ სტრუქტურას გადაეცით.

**რა წერია კანონპროექტში? როგორ შეირჩევიან სამსახურის ხელმძღვანელი და თანამშრომლები?**

**„ალიას“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ანა ნაცვლიშვილი ესაუბრა:**

**„ორივე ხელით მხარს ვუჭერ, რომ ამ ორგანომ გამოიძიოს როგორც 2012 წლამდე, ასევე 2012 წლის შემდეგ ჩადენილი ყველა სახის დანაშაული. თუ შეიქმნება ეს მექანიზმი, ვერ ვხედავ სამართლებრივ არგუმენტს, რატომ არ უნდა გამოიძიოს ძველი დანაშაულები, თუ მტკიცებულებები იარსებებს საქმეში, თუ ბრალი იქნება არგუმენტირებული...“**

**— ანა, საგამოძიებო ორგანო პარლამენტს უნდა დაექვემდებაროს. მის ხელმძღვანელს რა უფლებამოსილებები ექნება, რამდენად იქნება დაცული ზეწოლებისგან?**

– პარლამენტი აირჩევს ამ საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელს – კომისარს და შესაბამისად, მხოლოდ პარლამენტის მიმართ იქნება ანგარიშვალდებული. თუმცა, საკმაოდ რთული პროცედურა ჩაიდება მის დანიშვნა-მოხსნასთან დაკავშირებით, არც კომისრის დანიშვნა იქნება იოლი და მარტივი და არც მისი განთავისუფლება.

კანონპროექტში საუბარია იმაზე, რომ ეს ორგანო აღიჭურვება უფლებამოსილებით, გამოიძიოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულები, ასევე წამება.

**— უფრო რომ გაფართოვდეს ამ უწყების ფუნქცია და დავუშვათ, პროკურატურის მიერ გამოუძიებელი ძველი საქმეები, თაროზე რომ აქვთ შემოდებული, ისინიც გამოიძიოს, ურიგო ნამდვილად არ იქნება.**

– ორივე ხელით მხარს ვუჭერ, რომ ამ ორგანომ გამოიძიოს როგორც 2012 წლამდე, ასევე

**ეფექტურად გამოძიებას. ამის გამორიცხვას როგორ აპირებთ, რომ სუბიექტურმა ფაქტორებმა ან არ შეაფერხოს, ან არ დაბლოკოს გამოძიება?**

– ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს მრავალმხრივ კრიტერიუმს, რომ დაიწყოს ამ სამსახურში მუშაობა. შერჩევა იქნება მკაცრი, პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების ნიშნით. ეს უკვე ამ, პირობითად, კომისრის პიროვნებაზეც იქნება დამოკიდებული, რამდენად შედგება ეს მექანიზმი.

**— საიდან აპირებთ ახალი კადრების მოძიებას და ვინ იქნება ეს ხალხი — ისევ ყოფილი ძალოვანები, ადვოკატები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თუ გამოუცდელი უნივერსიტეტდამთავრებული სტუდენტები, რომელთაც შემდეგ ეს სამსახური გადაამზადებს და დაასაქმებს?**

– სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ კანონპროექტში ჩანაწერი ჯერ არ არის, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გამოცდილებაა და ამის მიხედვით დაკონკრეტდება. კონფერენციაზე ითქვა, რომ ამ სამსახურში არ უნდა იყვნენ საპოლიციო ბეგრაუნდის მქონე პირები. ქვედა დონეზე, თუნდაც გამომძიებლები და ექსპერტები შეიძლება იყვნენ, ასე ვთქვათ, ძველი კადრები, ახლებს ასე უცებ ვერ მოიყვან, მაგრამ ზედა მმართველ რგოლებში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც მეგობრებსა თუ სხვა ახლობლებს ხელს არ დააფარებენ.

**— რას იტყვით, რომ ეს ახალი სტრუქტურა ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს მსგავსი ორგანოს ჩანასახი იყოს და შემდეგ, ნელ-ნელა, მსხვილ და სერიოზულ საგამოძიებო ორგანოდ იქცეს?**

– გამოძიების ფედერალურ

**„ალიას“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ვახტანგ ხმალაძე ესაუბრა:**

**— ბატონო ვახტანგ, მხარს უჭერთ სახალხო დამცველის ინიციატივას, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო?**

– უნდა დაკონკრეტდეს, რისთვის უნდა შეიქმნას ეს ორგანო, რა საქმეებისთვის. მაგალითად, ეს რომ იყოს სამართალდამცავ ორგანოებში წამების, ან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების დანაშაულების გამოსაძიებლად, ამას მხარს ვუჭერ. მაგრამ არა, ზოგადად, სამართალდამცავ ორგანოებში ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად. მაშინ გამოვა, რომ უნდა შევქმნათ პროკურატურის პროკურატურა და გამოძიების გამოძიება. მერე, ამ დამოუკიდებელ საგანგებო ორგანოს თანამშრომელთა ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად უნდა შევქმნათ კიდევ ახალი საგამოძიებო სტრუქტურა. თუ ამ დამოუკიდებელმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება უნდა დაიწყოს, დავუშვათ, პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულზე და ზედამხედველობას გამოძიებაზე განახორციელებს პროკურატურა, აქ ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი. მაშინ დგება საკითხი – ხომ არ გავიტანოთ პროკურატურიდან გამოძიება?

**— ურიგო საქმე არ იქნება, თუ შეიქმნება ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს მსგავსი საგამოძიებო, მობილური და ეფექტური სტრუქტურა.**

– მარტო სურვილი, რომ ამდაგვარი რამ გაკეთდეს, საკმარისი არ არის. აუცილებლად შესამუშავებელი და შესათანხმებელია სრული მოდელი, რომელშიც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ინტერესთა კონფლიქტები და რისკები. პროექტი არ მინახავს, ვერ დავრჩი კონფერენციაზე ბოლომდე. თუ ეს ყველაფერი გააზრებული იქნება, რატომაც არა?! იდეა კარგია, ახლა უნდა იყოს სწორი რეალიზაცია.

## პრესისთვის თავისუფლება გადასარევია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია რეკლამა, რაც არ ესმის „ოცნებას“ — მიდის და მილიონებს უცხოურ გამოცემებში ყრის!



ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2015 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, პრესის თავისუფლების ინდექსში, საქართველომ პოზიცია 15 საფეხურით გაიუმჯობესა.

ანგარიშის მიხედვით, საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით 69-ე ადგილზეა, გასულ წელს კი, საქართველო 84-ე ადგილზე იყო.

პრესის თავისუფლების თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველო მხოლოდ ბალტიის ქვეყნებს ჩამორჩება. (pia.ge)

## დამლაგებლების წერილი ნარმანიას — 350 ლარი 2 მილიონის წინააღმდეგ



„მედიატორის“ დამფუძნებელ ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციით, მერიაში დამლაგებლების ანაზღაურება 350 ლარიდან 220 ლარამდე შემცირდა.

თბილისის მერიაში დასაქმებულმა დამლაგებლებმა 2015 წლის 9 დეკემბერს კოლექტიური წერილით დედაქალაქის მერს თხოვნით მიმართეს, რომ მათი ანაზღაურება, რომელიც მხოლოდ 220 ლარია, მინიმალურად მაინც გაზრდილიყო 2016 წლიდან. თანამშრომლების თხოვნა ეფუძნებოდა შემდეგ არგუმენტებს, რომ ლარი გაუფასურდა, პროდუქტებზე ფასმა მოიმატა და მათი 220 ლარი აღარ იყო ისეთი მსყიდველუნარიანი, როგორიც მანამდე.

– 2016 წლის თებერვალია და დამლაგებლების ანაზღაურება კვლავ იგივეა.

P.S. ამ ფონზე მხოლოდ დეკემბრის თვეში მერიაში სხვა თანამდებობის პირებზე და თანამშრომლებზე გაცემულმა დანამატმა და პრემიამ 2 000 000 ლარს გადააჭარბა, – აცხადებს ხაბეიშვილი. (პირველი რადიო)

## სირიის ომში 5 წლის განმავლობაში 370 ათასი ადამიანი დაიღუპა



ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში სირიის სადამკვირვებლო საბჭოს მონაცემებით, სირიის ომში, რომელიც 5 წელია გრძელდება, დაღუპულთა რაოდენობამ 370 ათას ადამიანს გადააჭარბა.

ოფიციალურად მსხვერპლის რაოდენობად დოკუმენტირებულია 270 ათასი ადამიანი, რომელთაგან 123 ათასი მშვიდობიანი მოსახლეა. (ინტერპრესნიუსი)

## კადიროვმა „ჩეჩნეთის ხალიფატი“ შექმნა და შესაძლოა, ჩეჩნეთის რუსეთიდან გასვლის საკითხი დააყენოს



ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა „ჩეჩნეთის ხალიფატი“ შექმნა და რუსეთში პოლიტიკური არასტაბილურობის შემთხვევაში, შესაძლოა, ჩეჩნეთის რუსეთის შემადგენლობიდან გასვლის ინიციატივა დააყენოს, რაც ახალ მასშტაბურ ომს გამოიწვევს. ამის შესახებ წერია დამოუკიდებლად მომზადებულ დოკუმენტში – „ნაციონალური უსაფრთხოების საფრთხეები“, რომლის პრეზენტაცია რუსული ოპოზიციური პარტია „პარნასის“ თავმჯდომარე ილია იაშინმა გამართა.

– ცოტამ თუ შენიშნა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი ისლამური სახელმწიფო. „ჩეჩნეთის ხალიფატი“ ცხოვრობს თავისი ტრადიციებითა და კანონებით, თანაც მილიარდობით სუბსიდიებს იღებს რუსეთის ბიუჯეტიდან. ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ფუფუნებაში ცხოვრობს, პარალელურად შარიათის კანონებს რუსულზე მაღლა აყენებს და სამხედრო ძალებს იკრებს. ჩეჩენი ბოევიკები კადიროვის მოწინააღმდეგეებს ანადგურებენ, როგორც მოსკოვში, ასევე, რუსეთის გარეთ, – წერია დოკუმენტში.

როგორც დოკუმენტში წერია, კადიროვმა იცის, რომ მის ზურგს უკან ჩეჩნეთის ჯარი დგას, რომელიც პირადად მისი ერთგულია. რაც მთავარია, მისკენ არის რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.

– არც ძალოვან სტრუქტურებს, არც მთავრობას არ შეუძლიათ კადიროვის რუსული კანონებისთვის დამორჩილება და ჩეჩნეთის დაბრუნება რუსულ სუვერენულ სივრცეში, – წერია დოკუმენტში. (news.ge)

## პაპუაშვილი „რესპუბლიკელებზე“: „20-25 წელია პოლიტიკაში ხარ, მაგრამ არანაირი ავტორიტეტი ხალხში არ გაქვს, ხალხს არ უნდიხარ“



„რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის დაპირისპირება იმ ვითარებამდე მივიდა, რომ პროცესში პრემიერ-მინისტრი ჩაერთო. გიორგი კვირიკაშვილისთვის მიუღებელია ბრალდებები თავდაცვის მინისტრის მიმართ. თავის მხრივ, პოზიციას არ იცვლის მრეწველთა ლიდერი და პრემიერის განცხადებას ემიჯნება.

„ქართული ოცნების“ წევრ ზაზა პაპუაშვილის განცხადებით, როცა ასეთი შეუთავსებლობა დგება, უნდა მიიღო გადაწყვეტილება და დატოვო კოალიცია.

**— „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის არსებული დაპირისპირება გახდება კოალიციის დაშლის მიზეზი? მით უფრო პრემიერ-მინისტრი ემიჯნება თოფაძის განცხადებას...**

– კოალიციიდან გავიდა ერთი სუბიექტი, მაგრამ რამე ტრაგიკული არ მომხდარა. რასაკვირველია, „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის მედიატორად ვერ გამოვდგები. რაღაცნაირად დალაგდებიან, მაგრამ თუ დაიშლება, ამის მიზეზებსაც გავიგებთ. თუ დაიშლება, იქნება და სჯობდეს, ან პირიქით. მარჩიელობას არ ვაპირებ. ვფიქრობ, რომ ჩიხური სიტუაცია არ იქნება, გამოსავალი ყოველთვის გამოჩნდება.

რაც შეეხება ბატონი პრემიერის განცხადებას, ის მართალი ადამიანია, არავითარ შემთხვევაში ხელს არ შეუწყობს კონფრონტაციას, ყოველთვის იქნება ურთიერთგატანისა და მშვიდობის მომხრე...

მომხრე ვარ, რომ საუბარი იყოს არგუმენტებით და ფაქტებით და არა ისე, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი კადრულობს მხოლოდ იმის გამო, რომ ნიუსებში იყოს და ბარაქა ნახოს. ასეთი ადამიანები ყოველთვის მაღიზიანებდნენ, როგორც ცხოვრებაში, ასევე, პოლიტიკაში. მე არ ვარ კონფლიქტის მომხრე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რაღაცა თემაზე არ ვილაპარაკოთ.

**— თქვენ იზიარებთ პრემიერის განცხადებას, მაგრამ მას ემიჯნებიან „მრეწველები“. როცა ემიჯნები მთავრობის მეთაურს, ალბათ, უნდა დატოვო კოალიცია — არა?**

– როდესაც პრინციპული შეუთავსებლობაა, როდესაც არ იზიარებენ შენს პოზიციას, რასაკვირველია, გასვლა სჯობია. ნუ დავდგებით იმ პოზაში, რომ ყველაზე უკეთესად შეგვიძლია გავაკონტროლოთ საკუთარი ნერვები. ჩვენც ვუშვებთ შეცდომას, მაგრამ, როცა ასეთი შეუთავსებლობა დგება, მაშინ გადაწყვეტილება უნდა მიიღო და უნდა დატოვო კოალიცია...

მეტსაც ვიტყვი, ვფიქრობ, რომ პოლიტიკურ სივრცეში კრიზისია. აუცილებელია და მხარს ვუჭერ ახალი სახეების გამოჩენას. ახალი სახეები, რომლებიც გაიზიარებენ სამ პრინციპს – ქვეყნის ერთგულება, თავგანწირული შრომა და საკუთარი მოსახლეობის სიყვარული. ბევრმა პოლიტიკოსმა საკმაოდ მოაბეზრა ხალს თავი. სიმართლე უნდა ითქვას, შეიძლება კოალიციაში იყოს პარტია, რომელიც მაინცდამაინც არ სარგებლობს პოპულარულობით.

**— „რესპუბლიკურ პარტიას“ გულისხმობთ?**

– დიახ და თვითონაც იციან, რომ საზოგადოებაში არ სარგებლობენ ავტორიტეტით. მე არ ვლაპარაკობ, რომ სხვა პარტიები „გლიჯავენ“, მაგრამ ეს რეალობაა. თავს თუ მოიტყუებენ, თორემ არ მგონია, თვითონ არ ესმოდეთ, რომ არ არიან რეიტინგული და ავტორიტეტულები მოსახლეობის თვალში.

20-25 წელი რომ ამ პროცესში ხარ, არანაირი ავტორიტეტი ხალხში არ გაქვს, ხალხს არ უნდიხარ, მაგრამ ამის მიუხედავად გამოდიხარ და ატყუებ მათ, არა ბატონო, თქვენ ვერ ხვდებით, მე უნდა გმართოთო, ეს არის ხალხზე ძალადობა. ზოგიერთ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ სადღაც სხვაგან წყდება ქვეყნისა და მათი პარტიის ბედი. მე კიდევ ვფიქრობ, რომ ქვეყნის ბედი წყდება ქვეყანაში, ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად. არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც არაფრად მიაჩნიათ მოსახლეობის აზრი და უნდათ, რომ თავიანთი აზრებით მართონ ქვეყანა.

**— რაც შეეხება საარჩევნო სიის დაკომპლექტებას, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი ამბობს, რომ სიაში ვერ მოხვდებიან სპორტსმენები და მსახიობები. შეგახსენებთ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ დავით უსუფაშვილმა უსაყვედურა იმასთან დაკავშირებით, პარლამენტში არ ჰყავს ჯგუფი, რომელიც კანონპროექტებზე იმუშავებს. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე?**

– უსუფაშვილს არ ვიცნობ, როგორც უზრდელს და უტაქტო ადამიანს. ამიტომ ამაზე რეაქცია არ მქონია, საკუთარ თავზე არ მიმიღია. ვეთანხმები იმ აზრს და მეც ვამბობ, რომ უმრავლესობა ნუ ვიქნებით ხელოვანები და სპორტსმენები, მაგრამ სულ აკრძალვა, ეს სხვა თემაა. ასეთი უტაქტო და შეურაცხმყოფელი განცხადება, რაც გააკეთა აღმასრულებელმა მდივანმა და მერე ბოდიშიც კი მოიხადა, ამაზე რეაქცია არ მქონია. იმიტომ, რომ ამ განმცხადებლის წონა დუბინკები მხვდებოდა თავში.

**— ბატონო ზაზა, როგორ ფიქრობთ, იქნებით საარჩევნო სიაში? ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, რომ თქვენ მსახიობი ხართ...**

– არ მგონია, რომ ვინმეს ტვინში აზრად მოუვიდეს და გაბედოს იმის თქმა, მოდი, ზაზა ნუ იქნება სიაში, რადგან მსახიობიაო. არა მგონია, ვილაცამ პირში მითხრას, იცით, თქვენ სიაში ვერ იქნებით, იმიტომ, რომ მსახიობი ხართო. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ციხისძირის 9 ჰექტარი მიწა სახელმწიფოს დაუბრუნდა — გიგანტური ხეების ისტორიის გაგრძელება



ციხისძირში წინა ხელისუფლების დროს 1 ლარად გასხვისებული 9 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სახელმწიფომ მფლობელს ჩამოართვა და ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში დააბრუნა.

როგორც ცნობილია, 9 ჰექტარი მიწა ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია REDMAN FEDERATION მფლობელობაში იყო. ეს მიწის ნაკვეთი ყოფილი დენდროლოგიური პარკის მომიჯნავე ტერიტორიაა და სწორედ ამ მიწის ნაკვეთზე უნდა გაიაროს მარშრუტმა, რითიც გიგანტურ ხეებს ურეკში გადაიტანენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ხეების გადარგვის სამუშაოების შეჩერების მიზეზი ის იყო, რომ კერძო საკუთრებაზე გზის გაყვანის ნებართვა შპს „ზიმოს“ არ ჰქონდა.

ციხისძირის ყოფილი დენდროლოგიური პარკიდან სამი ხის გადარგვა ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით ხდება. ოფიციალური ინფორმაციით, ხეები ოზურგეთის დენდროლოგიურ პარკში უნდა გადარგონ. ხეების გადარგვას „პარტიზანი მებაღეობა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ეწინააღმდეგებიან და საპროტესტო აქციებსაც მართავენ. აქციის მონაწილეები პოლიციამ რამდენიმე დღის წინ დააკავა, თუმცა ამის მიუხედავად, კარვების აქცია ხეების სიახლოვეს მაინც გრძელდება.

უცნობია, რა ბედი ელის კარვებს იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა, რომ მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდა. ასეთ შემთხვევაში აქციის გამართვას შესაძლოა, ნებართვაც დასჭირდეს. ნებართვის არარსებობის პირობებში კი შესაძლოა, პოლიციამ მონაწილეებს კარვების დაშლა მოსთხოვოს.

ჩამოერთვა თუ არა მფლობელს და დაუბრუნდა თუ არა 9 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს, ინფორმაციის გადამოწმება ეკონომიკის სამინისტროში ვცადეთ, თუმცა უწყებასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. (პირველი რადიო)

## „კოალიციაში რომელი პარტია იქნება, ერთი ადამიანის გადასაწყვეტი არ არის“ — თამარ კორძაია



„მრეწველების“ „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვის საკითხზე, კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომაზე იმსჯელებენ. „რესპუბლიკელები“ გოგი თოფაძეს, „მრეწველებისა“ და კოალიციის რიგების დატოვებისკენ მოუწოდებენ. ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილე თამარ კორძაიას თქმით, კოალიციაში რომელი პარტია იქნება და რომელი – არა, ეს ერთი დეპუტატის გადასაწყვეტი არ არის.

– „რესპუბლიკელებმა“ წამოწიეს პრობლემა, რომელიც არ ეხება „რესპუბლიკელებს“ და არ ეხება არავითარ შემთხვევაში „მრეწველებს“. ეს პრობლემა წამოწიეს, რომ ერთი დეპუტატის პოზიცია არ შეესაბამება კოალიციის პოზიციებს. კოალიციის ყოფნა-არყოფნის საკითხი ნამდვილად ამ თემასთან კავშირში არ არის, კოალიციას საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. კოალიციაში რომელი პარტია იქნება და არ იქნება, ეს ასევე ერთი დეპუტატის გადასაწყვეტი არ არის, – განაცხადა თამარ კორძაიამ. (პირველი რადიო)

## ინგა გრიგოლია მამუკა ახვლედიანზე: აი, ამ ტყუილის მერე რატომ უნდა დავუჯერო?!



– საოცარი კაცი ყოფილა ეს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი... – წერს ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ფეისბუკ“-გვერდზე.

– საოცარი კაცი ყოფილა ეს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი... მთელი დღეა მეუბნება, ავად ვარ და ვწევარო, კომენტარსაც ვერ გავაკეთებო, ისე ცუდად ვარო და არ გამოიჭიმა უცებ „არჩევანის“ ანონსში? არ მაქვს პრეტენზია, რომ ჩემი პატარა არხისთვის უნდა მიეცა ინტერვიუ და არა დიდი, ნაციონალური არხისთვის, მაგრამ რას იტყუები, რომ იტყუები, შე კაი კაცო... მთლად ანონსში რომ გამოგჭიმეს და რომ გნახავდით, არ გიტყდება? ავად ვარო, ნუღარ იტყუები.

აი, ამ ტყუილის მერე რატომ უნდა დავუჯერო? – წერს გრიგოლია. (რეპორტიორი)

## ნატო აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო კონტინგენტს ზრდის




ნატოს სამხედრო კომიტეტის წარმომადგენელი, გენერალი პეტრე პაველი აცხადებს, რომ ალიანსის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყნების ერთიანობის საჩვენებლად აუცილებელია.

გენერლის თქმით, კონტინგენტის გაზრდა მიმართულია იმის საჩვენებლად, რომ ალიანსი მზად არის, პარტნიორები ნებისმიერი საფრთხისგან დაიცვას.

მისივე განცხადებით, კონტინგენტის გაზრდა ალიანსის ერთიანობის დასტურია და არ წარმოადგენს სამხედრო საფრთხეს რუსეთისთვის. ამასთანავე, როგორც გენერალმა აღნიშნა, იმ სამხედრო შემადგენლობას, რომელიც რუსეთის საზღვრებთან განლაგდება, მძიმე შეიარაღება არ ექნება. (pia.ge)

## ჟირინოვსკი თურქეთს ლიკვიდაციით ემუქრება



რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვლადიმერ ჟირინოვსკი თურქეთის სახელმწიფოს გაქრობით და განადგურებით ემუქრება. ჟირინოვსკის განცხადებით, ის მზად არის, გახდეს თურქეთის ტერიტორიების გამათავისუფლებელი კომენდანტი, როგორც მარშალი ჟუკოვი, 1945 წელს ბერლინის განმათავისუფლებელი გახდა.

– გადავარქვათ სტამბულს სახელი და კონსტანტინეპოლი დავარქვათ, აღვადგინოთ მართლმადიდებლური ტაძრები და მეორე ენად რუსული გამოვაცხადოთ... აუცილებელია თურქეთი, როგორც სახელმწიფო, ლიკვიდირებულ იქნას, მისი ტერიტორიები ქურთებს, სომხებს, ბერძნებსა და ბულგარელებს გადაეცეთ, – აცხადებს ჟირინოვსკი.

მისივე თქმით, რუსეთს შეუძლია, ამაში სამხედრო მონაწილეობა მიიღოს. ჟირინოვსკი იმედოვნებს, რომ ქურთები ანკარას 2 კვირაში აიღებენ და სომხებიც „ოცნებობენ, შური იძიონ გენოციდზე“.

ჟირინოვსკის აზრით, ამ გეგმის განხორციელება ახალ ომამდე არ მიიყვანს, რადგან ევროკავშირი არ დაიცავს თურქეთს და ნატო არ ჩაერთვება, რადგან მას არ სურს, „თურქეთი ასე ახლოს ჰყავდეს“. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რა ცვლილებები შედის ბავშვთა გაშვილების წესში და რა კანონს არღვევს მინისტრი წულუკიანი





სუროგაციის გზით საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანაზე კანონი მკაცრდება. კანონპროექტის მიხედვით, სუროგაციის გზით საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ დაბადების მოწმობაში ორივე მშობლის ვინაობა იქნება მითითებული. ბავშვის საქართველოდან გასაყვანად საკმარისი არ იქნება მხოლოდ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასოციაცია „მომავლის იმედი“ საკანონმდებლო პროექტში ბავშვებისა და მათი მშობლების უფლებების უხეშად დარღვევის საფრთხეს ხედავს.

რა ხარვეზებია იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტში? სად ირღვევა ადამიანის უფლებები? რატომ არ ცვლის მინისტრი წულუკიანი ბრძანებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს?

**„ალიას“ ასოციაციის თავმჯდომარე, თამარ ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

– საქმე ისაა, რომ ეს ცვლილებები ვერ მოხსნის იმ პრობლემებს, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს. ეს კანონპროექტი ვერ იმუშავებს იმ სქემის წინააღმდეგ, რომლითაც უკანონოდ გაიყვანეს ქვეყნიდან ბავშვები, იმიტომ, რომ ის სულ სხვა შემთხვევებია, ამ კანონპროექტში კი საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სუროგაციის მეთოდით იბადება ბავშვი და რაღაც დოკუმენტი არ არის წესრიგში, რაც შესაძლოა, შემთხვევითაც მოხდეს და არა გამიზნულად – ასეთია შემთხვევათა უმრავლესობა. ასეთ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო აფერხებს დაბადების მოწმობის გაცემას. არის ისეთი შემთხვევებიც, რაზედაც პროკურატურაში ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება, როდესაც ბავშვებს აქვთ დაბადების მოწმობები, მაგრამ გაიყვანეს საზღვარგარეთ, თუმცა საქმე ისაა, რომ ამ დაბადების მოწმობებში მშობლების შესახებ ინფორმაცია არასწორია, ანუ მშობლებად ის პირები იყვნენ დარეგისტრირებული, ვისაც არ ჰქონდათ ამის უფლება. კერძოდ, მშობლებად დარეგისტრირებული იყვნენ სუროგატი დედები, რომლებიც მამებად ასახელებენ უცხოელ პირებს, ვის მიერაც იყვნენ გაყვანილი შემდეგ ეს ბავშვები საზღვარგარეთ. ამ კანონპროექტში წერია, რომ სასაზღვრო სამსახურს ექნება ბაზა, სადაც მითითებული იქნება სუროგაციის მეთოდით დაბადებული ყველა ბავშვი აბსოლუტურად და თუ რომელიმე მათგანს არ ექნება იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დაბადების მოწმობა, სადაც ორივე მშობელი ეწერება, ამ შემთხვევაში მათ არ გადაუშვებდნენ საზღვარზე. ეს კანონი იმ ბავშვების სტიგმატიზაციას მოახდენს, რომლებიც სუროგაციის მეთოდით იბადებიან, რაც არღვევს მათი მშობლების უფლებებს, ვინაიდან საზღვრის მონაცემებით ცნობილი გახდება, რომ ეს ბავშვები დაიბადნენ სუროგაციის მეთოდით, რაც ყოფილი პაციენტების უფლებებს არღვევს, ვინაიდან პაციენტებს, რომლებმაც უნაყოფობის მკურნალობის მეთოდად გამოიყენეს სუროგაციის მეთოდი, გარანტირებული უნდა ჰქონოდათ ამ მონაცემები დაცვა. გამოდის, რომ მრავალი წლის მერეც, პირი, რომელმაც მიიღო დაბადების მოწმობა და ყველა დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდა, იქნება სტიგმატიზებული, რომ ის დაიბადა სუროგაციის მეთოდით და ამის თაობაზე ინფორმაცია იარსებებს საზღვრის მონაცემებში, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მე შევთავაზე იუსტიციის სამინისტროს ალტერნატიული ვარიანტი – კონკრეტულად საზღვრის დაცვის მონაცემებში ჩაწერილიყო ინფორმაცია მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებზეც არ გაიცა დაბადების მოწობა და ამ ბავშვებზეც არ ყოფილიყო მითითებული, რომ ისინი დაბადებული იყვნენ სუროგაციის მეთოდით. სუროგაციის ყოველგვარი აფიშირების გარეშეც არის შესაძლებელი ამ ყველაფრის გაკეთება. ამ სახით უნდა ყოფილიყო კანონპროექტში შესული ეს ნაწილი. თუმცა, ეს არ გაიზიარა იუსტიციის სამინისტრომ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის მინისტრის ბრძანებაზეც ვისაუბრე, რომელიც შესაცვლელია და ეს შეუძლია გააკეთოს მინისტრმა, ყოველგვარი განხილვების გარეშე.

**— რომელ ბრძანებაზეა საუბარი?**

– საუბარია 2012 წელს მიღებულ ბრძანებაზე, რომლის თანახმადაც თურმე კვერცხუჯრედის დონორი ქალი, ასევე, სპერმის დონორი მამაკაცი და უშვილო წყვილი ერთ, საერთო ხელშეკრულებაზე უნდა აწერდნენ ხელს. ასეთი რამ არ არსებობს მსოფლიო პრაქტიკაში. ეს არის პერსონალურ მონაცემთა უპრეცედენტო დარღვევა.

**— დარღვევა რაში მდგომარეობს?**

– არაფრით არ შეიძლება სპერმის დონორი იგებდეს კვერცხუჯრედის დონორის შესახებ და პირიქით. ზოგადად დონაცია ყველა სახელმწიფოში ანონიმურია, მაგრამ ჩვენთან, თურმე ერთმანეთთან უნდა გააფორმონ ხელშეკრულებები და მიიღონ ინფორმაცია ერთმანეთზე. ასევე, აქ არ არის გათვალისწინებული ისიც, რომ ზოგჯერ დონაციის პროცესი, დროში არ ემთხვევა სუროგაციის პროცესს. დონაცია რომ შედგება და მიიღებენ ემბრიონებს, ეს ებრიონები საშვილოსნოში 3 და 5 წლის მერე გადადის და სად უნდა ეძიონ მერე დონორი? იქნებ სულ აღარ არის ცოცხალი, ან სხვა ქვეყანაში წავიდა საცხოვრებლად. უამრავი მიზეზი შესაძლოა იყოს. ან რატომ უნდა ეძიოს ამ ადამიანმა ის პირი?

ამასთანავე, ბავშვების გაყვანაზე ისეთ წყვილებსაც აქვთ შექმნილი პრობლემები, რომლებსაც აბსოლუტურად კანონიერად აქვთ გამოყენებული დონაციის მეთოდი, სუროგაციის მეთოდი, წესრიგში აქვთ ყველანაირი დოკუმენტაცია, იუსტიციის სამინისტროს მოუგეს კიდეც სასამართლო პროცესი, რომრლიც სამინისტრომ ზემდგომში გაუსაჩივრა. ასეთ წყვილს, 6 თვეა ვერ გაყავს ბავშვი ქვეყნიდან. იმის გამო, რომ მშობლები არიან უცხოელები, მუშაობენ უცხო ქვეყანაში და ბავშვი იზრდება ნაქირავებ ბინაში ძიძასთან ერთად. ეს არის, ერთი მხრივ, ბავშვის უფლებების შელახვა, ხოლო, მეორე მხრივ, მშობლის უფლებების შელახვა.

იმის ნაცვლად, რომ თეა წულუკიანი ამ ბრძანებას ცვლიდეს, მშობლები რომ უგებენ სასამართლოს, იმას უსაჩივრებს მერე ზემდგომში. ეს არის ადამიანის წამება, რომელიც, ალბათ, უხარიათ, თორემ ამით არანაირი კანონდარღვევის, კრიმინალის აღკვეთა არ ხდება, იმიტომ, რომ მსგავსს არაფერს არ აქვს ადგილი.

**— თუ ეს რეგულაციები უშედეგოა და მით უმეტეს ადამიანის უფლებებს აშკარად არღვევს, მაშინ რატომ ცვლიან, რა ინტერესი აქვთ?**

– იუსტიციის სამინისტრო ცდილობს საზოგადოების მოტყუებას, რომ ვითომ რაღაც რეგულაციებს იღებს, შემოაქვს რაღაც კანონპროექტები, რომ სუროგაციის მეთოდით დაბადებული ბავშვები აღარ გადიოდნენ ქვეყნიდან უკანონოდ. სინამდვილეში, ეს კანონპროექტი, სულაც არ იმოქმედებს იმ შემთხვევებზე, რომლებზეც პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

**— თუ ადამიანის უფლებების ტოტალურ შელახვასთან გვაქვს საქმე, რას აკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი და ქალბატონი ეკა ბესელია? არ ჩააყენეთ საქმის კურსში?**

– როცა შოთაძე უნდა დანიშნულიყო მთავარ პროკურორად, ეკა ბესელია აცხადებდა, რომ ჩვენს ორგანიზაციასთან მჭიდროდ ითანამშრომლებდა. ამბობდა, წერილებიც მაქვს გაგზავნილი პროკურატურაში და პასუხებიც მაქვს მიღებულიო. მაშინ დარბაზში არ ვიმყოფებოდი. ბესელიას კომიტეტიდან გვაქვს მიღებული წერილი, სადაც წერია, რომ წინა სამ წერილზე პროკურატურამ არ გვიპასუხაო ჯერჯერობით.

**— თქვენ, დაახლოებით ორი თვის წინ, ჩვენთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ პროკურატურას ბავშვთა უკანონოდ გაყვანის მტკიცებულებები გადაეცით. ხომ არ იცით, ამას რამე შედეგი მოჰყვა?**

– რაც შეეხება შოთაძეს და მის პროკურატურას, მოხდა ასეთი რამ: ერთ-ერთ ორგანიზაციაში, რომლის თანამშრომლებზეც თავის დროზე პროკურორის დადგენილება იყო მიღებული, რომ მათ გააყალბეს ჩვილ ბავშვთა დოკუმენტები, შევიდა პროკურატურა და ამოიღო დოკუმენტები, კომპიუტერები და ახლა განმარტავენ, რომ ამ ამოღებულ მასალას სწავლობენ. ჩემთვის გაუგებარია, როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ საქმის შესწავლა, ჯერ კიდევ ორი თვის წინ აცხადებდა პროკურატურა, დასკვნით ეტაპზე ვართო და აღარ დასრულდა ეს ეტაპი? ზოგადად, ასეთი პასუხები აქვთ – მიმდინარეობს გამოძიება, გამოძიება დასკვნით ფაზაშია და ა.შ. მათ მიერ საქმის ძიებას არ გააჩნია ვადები და ვიდრე ვადა არ ამოეწურებათ, შეუძლიათ იმეორონ ეს ფრაზები.

**„იმის ნაცვლად, რომ თეა წულუკიანი ამ ბრძანებას ცვლიდეს, მშობლები რომ უგებენ სასამართლოს, იმას უსაჩივრებს მერე ზემდგომში. ეს არის ადამიანის წამება, რომელიც, ალბათ, უხარიათ, თორემ ამით არანაირი კანონდარღვევის, კრიმინალის აღკვეთა არ ხდება, იმიტომ, რომ მსგავსს არაფერს არ აქვს ადგილი“**

**რატომ არ გაითვალისწინა იუსტიციის სამინისტრომ ასოციაცია „მომავლის იმედის“ შენიშვნები? ამ კითხვაზე პასუხის მიღება „ალიამ“ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურისგან სცადა. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, მარიამ სხილაძემ არც ჩვენს სატელეფონო ზარს უპასუხა და არც მოკლე ტექსტურ შეტყობინებას.**

## ფუნტი სტერლინგი გაუფასურდა



ლონდონის მერის ბორის ჯონსონის განცხადების შემდეგ, რომ დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი უნდა დატოვოს, ბრიტანეთის ეროვნული ვალუტა გაუფასურდა. ბლუმბერგის ინფორმაციით, ბოლო 11 თვის მანძილზე 1 საათის განმავლობაში ფუნტი სტერლინგი დოლართან მიმართებაში 1,45 პროცენტით დაეცა და შემდეგი კურსი შეადგინა – 1 ფუნტი სტერლინგი 1,42 დოლარი ღირს. (პირველი რადიო)

## „აქოშინებულმა ტაქსისტმა, თქვენ დაგრჩათ საფულე, გულმა მიგრძნო, თქვენ იქნებოდითო“




სოციალურ ქსელში უანგარო სიკეთისა და კეთილი ადამიანების შესახებ ისტორიები ხშირად ვრცელდება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, თუკი ისტორია ქართულია.

„ფეისბუკის“ მომხმარებელი ნათია ზარანდია სოციალურ ქსელში ისტორიაზე წერს, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა:

– ერთი ულვთისნიერესი ტაქსისტის ამბავი:

გუშინ დედა, გიო და მეგობარი მგზავრობდნენ ტაქსით და მანქანაში დარჩათ საფულე ყველანაირი საკონტაქტო ინფორმაციის გარეშე, 200 ლარით. ეგ ამბავი როცა აღმოაჩინეს, ეგრევე ხელი ჩაიქნიეს – მშენებარე კორპუსის მეათე სართულზე იყვნენ, უკვე 4 საათი იყო გასული, საფულეში მხოლოდ ფული იდო და არაფერი ხელმოსაჭიდი სხვა და ასე... ჰოდა, ოთხი საათის მერე ბინის კარზე კაკუნია, გაალეს – აქოშინებული ეს ჩვენი ტაქსისტი, – თქვენ დაგრჩათ საფულეო?

წარმოიდგინეთ, როცა საფულე იპოვა, გახსენებია, გზად რომ საუბარში ახსენეს ჩემებმა – ლიფტი თუ არ ამუშავებულა ჯერაც, მეათე სართულზე საწოლს რა აიტანსო, გაუხსენებია ადგილი, დამდგარა კორპუსის წინ, შეუთვალიერებია მეათე სართულები (შუქი მარტო ამ სადარბაზოს მეათეზე ენთოო და გულმა მიგრძნო, თქვენ იქნებოდითო), თან ამ სადარბაზოს ლიფტი არ მუშაობდა მარტოო. ამოვიდა ფეხით მეათეზე და ისიც დაამატა, – ფული ნახეთ, თუ მეტი გედოთ, ისიც ვიცი, თქვენს შემდეგ სად ჩამოვსვი სხვა მგზავრი, და მივადგებიო...

სიხარულისგან თვითონ ეტირებოდა. ჩემების რეაქციაზე არაფერს ვამბობ, – წერს ნათია.

## სოციალურად დაუცველთა აქცია ფოთში — დევნილებს ელექტროენერგია გაუთიშეს



მალთაყვაში სოციალურად დაუცველებს რამდენიმე დღეა ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. ამის გამო მათ აქცია გამართეს და გზა გადაკეტეს.

აქციის მონაწილეთა თქმით, ისინი ყოფილი სასტუმროს შენობაში გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ, ელექტროენერგიის საფასურის გადახდას ვერ ახერხებენ და „ენერგო-პრო ჯორჯიას" დახმარებას სთხოვენ.

აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ შენობაში მაცხოვრებლები ერთი მრიცხველით სარგებლობენ. ისინი კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას" ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას სთხოვენ.

გასულ თვეში მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურმა 1000 ლარს გადააჭარბა, რისი გადახდის ფინანსური საშუალება, როგორც მოსახლეობა აცხადებს, არ აქვთ.

აქციის მონაწილეებს ფოთის ვიცე-მერი ლევან ჩოჩია შეხვდა და სოციალურად დაუცველებს დახმარებას დაჰპირდა, თუმცა გამართულ აქციას „მართული" უწოდა. (ნიუპოსტი)

## „ცდილობდა, ჩემი შვილი სასაკლაოზე გაეგზავნა" — ბორჩაშვილს ერთ-ერთი დაკავებულის დედა დაუპირისპირდა



საქალაქო სასამართლოში უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტულ ორგანიზაციებში ადამიანების გაწევრიანების ორგანიზებას და დახმარებაში ბრალდებული აიუფ ბორჩაშვილის და მასთან ერთად დაკავებული რამდენიმე პირის სასამართლო პროცესი გაიმართა. სხდომაზე ერთ-ერთი დაკავებულის გიორგი კუპრავას დედა დაიკითხა, რომელმაც აიუფ ბორჩაშვილს პირდაპირ დასდო ბრალი სირიაში ახალგაზრდების საომრად გაგზავნაში. მისი თქმით, ბორჩაშვილმა მის შვილს სარწმუნოებაც შეაცვლევინა და ისლამი მიაღებინა:

– რაც სიმართლეა ის ვთქვი, რა თქმა უნდა, ცდილობდა, გაეგზავნა ჩემი შვილი საბრძოლო მასალად სასაკლაოზე, – განაცხადა გიორგი კუპრავას დედამ, ელენე დენისოვამ.

აიუფ ბორჩაშვილი სპეცოპერაციის შედეგად 2015 წლის ზაფხულში დააკავეს. (ნიუპოსტი)

უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ საბჭო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებისას კანონის შესაბამისად მოქმედებდა. ნინო გვენეტაძის თქმით, მამუკა ახვლედიანს სრული უფლება აქვს, იდავოს გადაწყვეტილების თაობაზე.

– იუსტიციის საბჭომ გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად მიიღო. გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, ის არის კანონიერი, აქვს საფუძველი და მამუკა ახვლედიანს აქვს სრული უფლება, იდავოს გადაწყვეტილების თაობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი, რაც უკავშირდება პრობლემას, რომელიც საქალაქო სასამართლოში საქმეთა განაწილების წესთან მიმართებით იქნა საბჭოს მიერ დაფიქსირებული, – განაცხადა გვენეტაძემ.

მამუკა ახვლედიანის განთავისუფლებასთან დაკავშირებით საუბრისას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი შონიამ განაცხადა, რომ მამუკა ახვლედიანი გვერდში დგომას არ იმსახურებდა. შონიას თქმით, სასამართლოში მენეჯერული პრობლემები იყო. როგორც შონიამ აღნიშნა, ახვლედიანი მუდმივად მივლინებაში იყო და არასწორად ანაწილებდა საქმეებს.

– ჩვენმა ყოფილმა თავმჯდომარემ არ დაიმსახურა ის, რომ ჩვენ მის გვერდით ვყოფილიყავით. მე ისე დამაწერა საქმე, რომ შვებულებაში ვიყავი, – განაცხადა შონიამ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მერაბ გაბინაშვილი კი აცხადებს, რომ ახვლედიანის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება სწორი იყო.

– არც ისე არის სიტუაცია, როგორც მამუკა ახვლედიანი ხატავს, – ეს განცხადება მოსამართლე ირაკლი კოპალიანს ეკუთვნის.

– პირადად მე და ბევრი სხვა ჩემი კოლეგა საქმიანობის პერიოდში ამა თუ იმ მენეჯერულ პრობლემებს ვაწყდებოდით. კონკრეტული საფუძვლები, რის გამოც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაათავისუფლა ბატონი მამუკა თანამდებობიდან, მე არ ანის თანამდებობიდან განთავისუფლებას კანონდარღვევად აფასებს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების" კონსულტანტი სამართლებრივ საკითხებში ნინო ლომჯარია. მისი განცხადებით, საბჭომ არსებული ნორმა ძალიან ბოროტად გამოიყენა.

– ეს გადაწყვეტილება ნამდვილად არის უკანონო. საბჭომ გამოიყენა არსებული ნორმა, გან-

## მამუკა ახვლედიანის განთავისუფლებით მოსამართლეები კმაყოფილები არიან, არასამთავრობოები — შეშფოთებულები



ნის შესაბამისად მიიღო. გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, ის არის კანონიერი, აქვს საფუძველი და მამუკა ახვლედიანს აქვს სრული უფლება, იდავოს გადაწყვეტილების თაობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი, რაც უკავშირდება პრობლემას, რომელიც საქალაქო სასამართლოში საქმეთა განაწილების წესთან მიმართებით იქნა საბჭოს მიერ დაფიქსირებული, – განაცხადა გვენეტაძემ.

მამუკა ახვლედიანის განთავისუფლებასთან დაკავშირებით საუბრისას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი შონიამ განაცხადა, რომ მამუკა ახვლედიანი გვერდში დგომას არ იმსახურებდა. შონიას თქმით, სასამართლოში მენეჯერული პრობლემები იყო. როგორც შონიამ აღნიშნა, ახვლედიანი მუდმივად მივლინებაში იყო და არას-

– პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს იყო არაეფექტური მენეჯმენტი. ნიშანდობლივია, რომ შეხვედრაზე 100 მოსამართლიდან არ გამოჩნდა არც ერთი, რომელიც იტყოდა, რომ მამუკა ახვლედიანის მენეჯერულმა სვლამ, ან რაიმე გადაწყვეტილებამ შვება მოჰგვარა მას, როგორც მოსამართლეს, რთული მუშაობის პროცესში.

ყველა მოსამართლემ დაადასტურა, რომ მამუკა ახვლედიანთან ურთიერთობა იყო ძალიან პრობლემური, გამომდინარე იქიდან, რომ ის პრაქტიკულად არ იყო სამსახურში. ის არ წყვეტდა საკითხებს, რომლებიც აუცილებელი იყო მოსამართლეებისთვის. მოსამართლეებს არ ჰქონდათ მასთან კომუნიკაციის საშუალებაც კი. ამიტომაც მივიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ გადაწყვეტილებამდე, – განაცხადა გაბინაშვილმა.

ვიცი, თუმცა ვადასტურებ, რომ მენეჯერული პრობლემები სასამართლოში ნამდვილად არის. ჩვენ ისედაც თავზესაყრელი გვაქვს პრობლემები, ამას რომ მენეჯერული პრობლემები არ დაემატოს. სიმცირე გვაქვს დარბაზების, მოსამართლეების... პირადად მე ვაწარმოებ 300-მდე სამოქალაქო საქმეს. ბევრ ჩემს კოლეგას აწერია 500-600 საქმე. ამ პირობებში მენეჯერული გადახვევები და პრობლემები ჩანს დიდად და ვრცლად. დამიჯერეთ, რომ უცეცხლოდ კვამლი ნამდვილად არ გაჩენილა, – აცხადებს ირაკლი კოპალიანი.

ეს, რაც შეეხება მოსამართლეების პოზიციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებში კი მომხდართან დაკავშირებით სულ სხვა შეხედულებები აქვთ. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მამუკა ახვლედი-

მარტა ძალიან ბოროტად და თვითონ ამ პირის ჩართულობის გარეშე და დისციპლინური პროცედურების გვერდის ავლით, მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც ხაზს უსვამს ინდივიდუალური მოსამართლეებისა და ზოგადად სასამართლოს დამოუკიდებლობას, – განაცხადა ლომჯარიამ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" თავმჯდომარე ეკა გიგაური კი აცხადებს, რომ ეს არის გზავნილი მოსამართლეებისთვის, რომ, თუკი ისინი ხმას ამოიღებენ, მათაც გაათავისუფლებენ.

– ეს არის, ფაქტობრივად, გზავნილი ყველა მოსამართლესთან მიმართებაში, რომ, თუკი ისინი ხმას ამოიღებენ, ამ შემთხვევაში მათი განთავისუფლება შეიძლება მოხდეს და რა თქმა უნდა, ეს არის არასწორი და საგანგაშო, – განაცხადა გიგაურმა. (news.ge; reportiri.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო საცხოვრებლად ყველაზე იაფ ქვეყნებს შორის მოხვდა



საერთაშორისო სააგენტო GoBankingRates-მა საცხოვრებლად ყველაზე იაფი ქვეყნების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც მსოფლიოს 112 ქვეყანას შორის საქართველო 29-ე პოზიციაზე აღმოჩნდა.

რეიტინგის შედგენისას ავტორები ოთხ კომპონენტს დაეყრდნენ: ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას, იჯარის ფასს, სასურსათო ინდექსსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს. ოთხივე კომპონენტი ნიუ-იორკში არსებულ ცხოვრების დონესთან არის შედარებული.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, ნიუ-იორკთან შედარებით, საქართველოში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა 69,3 პროცენტით იაფია, იჯარის ფასი – 88,6 პროცენტით, საკვები – 74,4 პროცენტით, ადგილობრივი პროდუქტი და მომსახურება კი 70,4 პროცენტით იაფი ღირს.

– საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი სამომხმარებლო და სასურსათო ფასებია. თბილისში ერთი ადამიანის ყოველთვიური დანახარჯი დაახლოებით 360 დოლარია. თუმცა ასეთი დაბალი ფასი დაბალი შემოსავლით არის განპირობებული. ფოლადისა და ელექტრომოწყობილობების წარმოების მიუხედავად, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ დაბალია და 3,670 დოლარს შეადგენს, – ნათქვამია სააგენტოს ანგარიშში.

რეიტინგის თანახმად, საცხოვრებლად ყველაზე იაფი ქვეყანა სამხრეთ აფრიკაა. პირველ ხუთეულში ასევე მოხვდნენ ინდოეთი, კოსოვო, საუდის არაბეთი, ყაზახეთი. ბოლო პოზიციებს კი განა, შვეიცარია, ჰონკონგი, ბაჰამისა და ბერმუდის კუნძულები იკავებს.

ასევე, ცნობილი ხდება, რომ აზერბაიჯანი რეიტინგში – 23-ე, სომხეთი – 42-ე, რუსეთი – 39-ე, თურქეთი – 31-ზე, უკრაინა კი 24-ზე პოზიციაზეა. (bpn.ge)

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაცმოძრაობას" როცა აწყობს, სასამართლო მიკერძოებულია, როცა აწყობს — სამართლიანი!



სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიგი უგულავას 50-ათას ლარიანი გირაო მოუხსნეს, ასევე, უნდა გაუქმდეს ყადაღა დედაქალაქის ყოფილი მერის საცხოვრებელ ბინაზე, რომელიც გირაოს უზრუნველსაყოფად იყო გამოყენებული.

პროკურორი გირაოს შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს. ბრალდების წარმომადგენლები ითხოვდნენ, ბინა, რომელიც გირაოსთვის ბანკში ჩაიდო, სახელმწიფო საკუთრებაში გადასულიყო.

უგულავას საქმეზე პროცესი 1-ელ მარტს განახლდება.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო.

– სამწუხაროდ, „ნაციონალურ მოძრაობას" როცა აწყობს, სასამართლო არის მიკერძოებული, ექვემდებარება ხელისუფლების დიქტატს და ხელისუფლებისგან იმართება და როცა აწყობს – სამართლიანი. ამ შემთხვევაში როგორ უნდა გავიგოთ? ჩემთვის ცოტა მოულოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება, რადგან პროკურატურამ განაცხადა, რომ საკმაოდ ბევრი მტკიცებულება იყო ამ საქმესთან დაკავშირებით. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სასამართლო არ კონტროლდება ხელისუფლების მიერ იმიტომ, რომ ჩვენ ვნახეთ ბევრი შემთხვევა, იმავე ბაჩანა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის საქმეზე, როცა მათ მოეხსნათ გარკვეული ბრალდებები, – აცხადებს მჟავანაძე.

მჟავანაძემ პარალელი გაავლო მამუკა ახვლედიანის საქმესთან და აღნიშნა, რომ ეს საკითხიც გარკვეულწილად იმართება „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან, ხოლო სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია გამოიწვევს სახელმწიფოს პარალიზებას. (რეპორტიორი)

## დიდი ბრიტანეთის მსხვილი კომპანიების ნახევარი ქვეყნის ევროკავშირში დარჩენის მომხრეა



დიდი ბრიტანეთის მსხვილი კომპანიების ნახევარი ქვეყნის ევროკავშირში დარჩენის მომხრეა. ამის შესახებ Financial Times წერს.

გამოცემის თანახმად, 100 ყველაზე მსხვილი კომპანიის ლიდერები დიდი ბრიტანეთის ბლოკიდან გასვლას ეწინააღმდეგებიან. მათ მიერ გავრცელებულ წერილში აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთი იქნება „უფრო ძლიერი, დაცული და აყვავებული" რეფორმირებულ ევროკავშირში. აღნიშნულ კომპანიებს შორის არის კომპანიები Shell, BP და Vodafone.

დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმი ევროკავშირიდან გასვლის შესახებ ივნისში ჩატარდება. ამ ინიციატივით პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი გამოვიდა. ევროკავშირიდან გასვლას მხარს უჭერს ლონდონის მერი ბორის ჯონსონი, თუმცა, პრემიერმა მას მოუწოდა, არ ჩაებას ქვეყნის ბლოკიდან გასვლის კამპანიაში. (bpn.ge)

## უკრაინაში ქალაქ სტარობელსკის მერი მოკლეს



უკრაინაში ქალაქ სტარობელსკის მერი ვლადიმერ ჟივაგი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. იგი მერიის ეზოში დაჭრილი იპოვეს. მერი საავადმყოფოში მიყვანამდე სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა. ინფორმაცია ამის შესახებ უკრაინის შსს-ს ლუგანსკის ოლქის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის უფროსმა გაავრცელა.

მისი თქმით, ვლადიმერ ჟივაგი მერიის შენობის დაცვამ, დაახლოებით 22:00 საათზე, ტერიტორიის შემოვლის დროს აღმოაჩინა. ჭრილობა მას თავის არეში ჰქონდა მიყენებული. „უნიანის" ინფორმაციით, სამართალდამცველებმა უკვე დაიწყეს საქმის გამოძიება. (news.ge)

## ქუთაისში „ვისოლის" ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს




ქუთაისში „ვისოლის" ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს. ყაჩაღობა გამთენიის 5 საათზე მოხდა. წაღებულია 275 ლარი. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. პოლიციას საქმე ყაჩაღობის მუხლით აქვს აღძრული. (პირველი რადიო)

## „მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილება მიიღო ვოლსკიმ, გადაწყვეტილება ჯერჯერობით მე მივიღე"




„ქართული ოცნების" ყოფილმა აღმასრულებელმა მდივანმა არმაზ ახვლედიანმა პარტიაში მიმდინარე პროცესებზე „არჩევანის" ეთერში განაცხადა.

„პარტია „ქართული ოცნება" არის ყველაზე გავლენიანია კოალიციაში. ოთხი წლის თავზეც ვერ მოხერხდა ის, სამწუხაროდ, რომ პარტია „ქართული ოცნება" გამხდარიყო ევროპული ტიპის, დემოკრატიული ყალიბის პარტიულ სივრცედ. ხარვეზები დაკავშირებულია იმასთან, რომ ერთი ხრივ პარტია ვერა და ვერ გადავიდა მართვის დემოკრატიულ სტილზე, პარტიის რეგიონული ოფისები, განყოფილებები თუ ორგანიზაციები ინერციით მოძრაობენ ჯერ კიდევ. ასე იყო თავიდანვე, პირველ წელს, მეორე წელს და, რ თქმა უნდა, რაღაც დრო უნდა დადგეს, რომ ვისაუბროთ მკვეთრ, ან მეტნაკლებად სასურველ გაუმჯობესებაზე პროცესისა. რომ არა მავანთა ხელის შეშლა, მე ვფიქრობ, რომ 2013-ში შესაძლებელი იქნებოდა, რომ პარტია „ქართული ოცნება" დამდგარიყო ისეთ რელსებზე, რომ ნაკლებად იქნებდა დამოკიდებული იმაზე თუ ვინ იქნებოდა პარტიის თვმჯდომარე, როგორი იქნებოდა პოლიტსაბჭოს შემადგენლობა. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი ამოიცნეს ბებერ ნიანგებში. მე არ ვიცი რა გადაწყვეილება მიიღო ვოლსკიმ, გადაწყვეტილება ჯერჯერობით მე მივილე. დიახ, მე ისე მართვა არ ვიცი, როგორც ბატონმა ვოლსკიმ იცის, იმიტომ, რომ ჩემთვის ერთადერთი მართვის სტილი არის ის, რომ სხვებთან ერთად მოახერხო პასუხისმგებლობის აღება და იცოდე, რომ შესაძლოა შენ, შეცდომების გამო მოგთხოვენ პასუხს და მოვა სხვა – უკეთესი", – განაცხადა ახვლედიანმა. (news.ge)

## საქართველოს მოქალაქეები თურქეთიდან პროსტიტუციის ბრალდებით გამოაძევეს



თურქეთის ხუთ რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად, პროსტიტუციის ბრალდებით 60 ქალის დეპორტაცია მოახდინეს. მათ არიან შორის უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ქართველები და სირიელები.

თურქული მედიის ინფორმაციით, ქალაქ ვანში ჩატარებული სპეცოპერაციების ფარგლებში, ასევე, დაკავებულია 41 ექვმიტანილი, რომელთაგან 12 გაათავისუფლეს, ხოლო 29 პატიმრობაში დატოვეს, რომელთა შორის ქართველებიც არიან. (ნიუპოსტი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ისტორიკოსი, ტელემაყურებლებისთვის „ციყვის" მეტსახელით ცნობილი დათო გოგიშვილი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე სკანდალურ მიმართვას ავრცელებს:

„საგანგებო მიმართვა აშშ-ს საელჩოს და პირადად ელჩს იან კელს! ერთ-ერთი ქართული ტელეარხის საშუალებით შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებულია საქართველოში მომძლავრებული რუსული პროპაგანდით და ანტირუსული პროპაგანდის გასაძლიერებლად გამოყო 65 ოვნინეთ მილიონები. აი, სწორედ ეს „ელიტაა", რომელიც აღრმავებს საქართველოში ანტი-ამერიკულ განწყობილებებს. შეიგნეთ და გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ მრავალგზის ამერიკულ ფერებში დახატული სანეტარო საქართველოს ოცნებით გამოკვებილ გაცუცურაკებულ, მოტყუებულ, სულში ჩაფურთხებულ ქართველ ხალხს უკიდურესი პროტესტი აქვს იმ „ელიტის" მიმართ, რომელსაც თქვენ დაახარჯავთ მაგ 65 მილიონ დოლარს. გია კორკოტაშვილი მოსკოვში წავა და ჩვენს თანამემამულე ერთ მილიონ ემიგრანტ ქართველს მოეფერება ეკრანიდან, მე აქ ლური პოლიტიკური ძალების, ხელისუფლებების, არასამთავრობო სექტორისა და მედიის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი. როდესაც ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია თუ მედიასაშუალება არ ცხოვრობს უბრალო მოქალაქეთა სოციალური ცხოვრების რიტმით, არ აფასებს მოვლენებს ამ გადასახედიდან და ცდილობს, ხელოვნურად შექმნილი მიკრორეალობა მოახვიოს თავს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, სწორედ ეს აჩენს საზოგადოებაში უდიდეს პროტესტს. ამას ემატება ნატო-ს ალიანსის ხელმძღვანელობის არაფრისმთქმელი და იმგამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფით უნდა იყოს გაწერილი თანხის მიზნობრიობა, ჯერ მომწოდებელი მხარე ვალდებულია, ზუსტად განმარტოს, რას მოიაზრებს ტერმინში „ანტირუსული პროპაგანდა"? თუ ამ ანტირუსულ პროპაგანდაში მოიაზრება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება აშშ-ს, როგორც „დემოკრატიის შუქურის" იმიჯი და სტატუსი. სხვა ყველა შემთხვევაში, ეს 65 მილიონი დოლარი დიდი შანსია, გახდეს მასტიმულირებელი ფაქტორი ქართული ეროვნული კორუფციისა და ხელოვნებისა და მედიის სფეროში ახალი ჩრდილოვანი ბუღალ-



# ვინ და რატომ მიიყვანს ქართველ ხალხს ამერიკული დროშების დაწვამდე?

მილიონი დოლარი! ცდებით, ბატონებო! მწარედ ცდებით! საქართველოში სინამდვილეში იოტისოდენადაც არ გაძლიერებულა რუსეთისადმი ნოსტალგია და ტრფიალი! ქართველი ხალხი ობიექტურად აფასებს რუსეთთან ურთიერთობების ყველა ნეგატიურ თუ დადებით მხარეს, მათ შორის ქართული ტერიტორიების ოკუპაციას. უბრალოდ, ანტიამერიკული განწყობილება გაიზარდა! იცით, რატომ? თქვენი ხელისუფლებების (და არა ამერიკელი ხალხის) საგარეო პოლიტიკის ჭეშმარიტი ზრახვები და მიზნები ამოიცნო. რა გააკეთეთ საიმისოდ, რათა საქართველო რუსეთის აგრესიისგან დაგეცვათ? რა გააკეთეთ საიმისოდ, რათა თქვენ მიერ გადმორიცხული მილიარდები წლების განმავლობაში ერთეულებს არ მოხმარებოდათ და ამერიკული ფული სრულიად საქართველოს მატერიალური კეთილდღეობის საშუალება გამხდარიყო? გამოზარდეთ თქვენი დასაყრდენი, თქვენს „კარმუშკაზე" მყოფი ელიტა და მხოლოდ იმათი გამოკვებით შემოიფარგლებით, იმათ აშ„ფეისბუკზე" პოსტს დავწერ და მერე თქვენ, სახელმწიფო დეპარტამენტმა, ეს 65 მილიონი დოლარი დაახვიეთ და თქვენს დედებს გაუკეთეთ უკნიდან სათითაოდ! ბეჭებზე დაგდებთ! ოღონდ ეს იქნება არა რუსული პროპაგანდა, არამედ ანტი-ამერიკული და თავისი არსით ყველაზე პროქართული!"

**„ალია" დათო გოგიშვილს დაუკავშირდა:**

**— ვის გულისხმობთ „კარმუშკაზე" მყოფ ელიტაში, ვის მიუვა ის 65 მილიონი?**

– სანამ უშუალოდ შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა რამდენიმე დეტალი დავაზუსტო. იმას, რასაც თანამედროვე ქართულ მედიასა თუ პოლიტიკურ წრეებში ეძახიან ან ,,რუსულ პროპაგანდას", ან პროამერიკულ აგიტაციას, არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ნაწილი. ის, რასაც საქართველოში „რუსულ პროპაგანდას" ეძახიან, სინამდვილეში თავისი არსით არის საქართველოში ათწლეულების განმავლობაში ე.წ. პროდასავედგაცრუების ქვეტექსტის შემცველი განცხადებები საქართველოს ალიანსში მიღების პერსპექტივებთან დაკავშირებით. რომელმა რუსეთიდან გადმორიცხულმა დაფინანსებამ უნდა მოახდინოს იმდენი ეფექტი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, როგორსაც ახდენს „გამჭვირვალობა", „იდენტობა", „ტოლერანტობის სახლი" და ასე შემდეგ? ასე რომ, სანამ ევროატლანტიკური ღირებულებების რუპორი და სახე საქართველოში არიან ალასანია, ხიდაშელი, ბერძენიშვილები, „რუსთავი 2", „ტაბულა" და მსგავსი „მარგალიტები", იმას, რასაც მავანნი „რუსულ პროპაგანდას" ეძახიან, მოსკოვს თეთრებიც კი არ უჯდება სინამდვილეში.

**— 65 მილიონზე გკითხეთ. ვისთან წავა ეს ამდენი მილიონი?**

– ამა თუ იმ მიზნით ტრანშისა თუ დახმარების შემოსვლას აქვს თავისი სამართლებრივ-პოლიტიკური ნორმები და წესები. როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს გარკვეული თანხით ეხმარება წინასწარ, მაქსიმალური ტერიის გაჩენისა. ამის მერე ნულარავის გაუჩნდება კითხვები, რატომ არის იმედგაცრუებისა და ნიჰილიზმის გაღრმავების ტენდენცია ევროატლანტიკური ღირებულებების მიმართ საქართველოში!

**— ბეჭებზე დაგდებთ — ეს ემოციური განცხადებაა, თუ მართლაც აპირებ რაიმე კონკრეტული ღონისძიებების გატარებას? მაგალითად, აქციებს, თუნდაც ამერიკის საელჩოსთან?**

– „ბეჭებზე დაგდებთ"-ში მე ვგულისხმობ საზოგადოებრივი აზრის შესაძლო განვითარების ტენდენციებს. ჩემ მიერ ჩამოთვლილი ყველა ის პოლიტიკური, მედია თუ არასამთავრობო სექტორი მიიყვანს ქართველ ხალხს ამერიკის დროშების დაწვამდე. ქართველ ხალხს ეზიზღება და ძალიან დიდი პროტესტი აქვს შარდენიდან დანახული საქართველოს მიმართ... ამას მალე დაინახავთ ყველანი. ჩემი პოლიტიკური და საპროტესტო აქტივობა დამოკიდებული იქნება მოვლენათა განვითარებაზე და ამ ე.წ. „პრადვინუტი" სოფლის ორლობის ტუჩებატყორცნილთა სიტუტუცის კოეფიციენტზე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ,,თედო კობახიძემ ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდადებულებისგან 75 000 ევროს მოთხოვნა მირჩია"



ადვოკატ კობა კობახიძის მტკიცებით, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის ძმამ, თედო კობახიძემ ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულებისგან საადვოკატო ჰონორარის სახით 6250 ევროს აღება, გამარჯვების შემთხვევაში კი, თითოეულისგან 75 000 ევროს მოთხოვნა ურჩია.

კობა კობახიძემ გადაცემა „არჩევანში" აღნიშნული საქმის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ მსჯავრდებულებს მისი ადვოკატად აყვანა პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის ძმამ, თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ თედო კობახიძემ ურჩია.

„ზოგს ეგონა, რომ მე მათ სახელებს ვიყენებდი. პირიქით, როცა მათ სჭირდებოდათ, როცა ახლობლები მიმართავდნენ, თუნდაც „ქართული ოცნებიდან", ჩემს თავს ურჩევდნენ. ასე მოხდა ანასტასია ზაუტაშვილის შემთხვევაშიც. გარკვეული მოქალაქეობრივი პოზიციაც მალაპარაკებს. ელისაშვილი ამ საქმიდან დაჩაგრული გამოდის და მინდა საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს გარემოებები, რომ სიტუაციაზე წარმოდგენა შეექმნას", – აღნიშნა კობა კობახიძემ.

„თედოს ვუთხარი, რომ ეს ძალიან დიდი თანხა იყო. როცა ანასტასიას დედას ვუთხარი, მეც ვიუხერხულე. მერე ჩემს თავზე ავიღე, ხუთივეზე 75 000 იქნებოდა და ამაზე წამომყვნენ. თედოს ისე ვუთხარი, ალბათ დღესაც ჰგონია, რომ ხუთივესთვის ცალ-ცალკე 75 000 მაქვს ნათქვამი. რადგან ჩემი აზრით, ძალიან შეუსაბამო რიცხვი იყო. მათ ჩამირიცხეს „ქართუ ბანკის" ანგარიშზე 6250, საშემოსავლო გადავიხადე 1250 და დარჩა 5 000", – აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე ინფორმაციით, ანასტასია ზაუტაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტს მიმართა, თუმცა მსჯავრდებული ვერ გათავისუფლდა, რის შემდეგაც ანასტასია ზაუტაშვილის ქმარმა გაბრაზებულმა დაურეკა და ჰონორარის დაბრუნება მოითხოვა.

„თედომ 5000 დოლარი მთხოვა და ვასესხე. ადრეც მთხოვა 3000 დოლარი, ადამიანურად დამიბრუნა. ესეც ასე, იცოდა 5 000 დოლარი. ფული ვასესხე თედოს. როცა ქმარმა ფულის დაბრუნება მომთხოვა, გადავამისამართე თედოსკენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრე მუსელიანის ძმას და მითხრა, რომ ფული დაუბრუნა. ანასტასიას დედასაც ველაპარაკე და მითხრა, რომ 6250 მისცა მანანა და თედო კობახიძეების მამამ არჩილ კობახიძემ", - განაცხადა კობა კობახიძემ და პრეზიდენტს ანასტასია ზაუტაშვილის გათავისუფლებისკენ მოუწოდა. (ინტერპრესნიუსი)

## კასპში მამაკაცი დაჭრეს და მის გატაცებას ცდილობდნენ




თბილისი-ბათუმის ჩქაროსნულ ტრასაზე მამაკაცი სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრეს. შემთხვევა კასპში მაშინ მოხდა, როდესაც სატვირთო ავტომობილის მძღოლი საბურავის შეკეთებას ცდილობდა.

დაჭრის შემდეგ ბრალდებული მძღოლის გატაცებას შეეცადა.

მამაკაცს ცეცხლსასროლ ჭრილობასთან ერთად დაზიანებები ყბა-სახის მიდამოებში აღენიშნება. ექიმების განცხადებით, დაშავებულს კბილები აქვს ჩამტვრეული, რაც ბლაგვი საგნის ჩარტყმით არის გამოწვეული.

როგორც შს სამინისტროს პრესცენტრში აცხადებენ, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით. (ნიუპოსტი)

## ზაზა ხატიაშვილი: ახვლედიანის დასჯა სურთ, რომ სხვა მოსამართლეებმა ურჩობა ვერ გაბედონ



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თქმით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახვლედიანის დასჯა უნდა, იმისთვის, რომ სხვა მოსამართლეებმა ურჩობა ვერ გაბედონ.

– იუსტიციის საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა, რომელსაც სურს, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა დარჩეს ჭაობში, მათ უნდათ, როგორმე მოიშორონ ახვლედიანი, დასაჯონ, რომ სხვა მოსამართლებმა ველარ გაბედონ, რომ იყოს ურჩი და დაემორჩილოს კოლექტიური მურუსიძის გადაწყვეტილებას. ეს არის ძალიან ცუდი ამ ქვეყნის განვითარებისთვის და ეს არის სასამართლო სისტემის სრული იზოლაცია სამოქალაქო საზოგადოებისგან, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. (ipress.ge)

## რატომ არ ხვდება კვირიკაშვილი ,,ნაციონალებს"?

ამ დრომდე უცნობია, მიიღებს თუ არა პრემიერ-მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის" შეთავაზებას და შეხვდება თუ არა ის საპარლამენტო უმცირესობას. ამ ფონზე კი ცნობილია, რომ პრემიერი ახალი პოლიტიკურ ცენტრთან „გირჩთან" შეხვედრას აპირებს. „პირველი რადიოს" ინფორმაციით, „ნაციონალებთან" ქვეყანაში არსებლ ეკონომიკურ მდგომარეობაზე სასაუბროდ შეხვედრის საკითხი პრემიერ-მინისტრის ბიზნესმენებთან დახურულ შეხვედრაზე იქნა განხილული. ინფორმაციის თანახმად, პრემიერ-მინისრტმა ოპოზიციასთან შეხვედრსთან დაკავშირებით ასეთი რამ განაცხადა – „თან მაკრიტიკონ და თან შევხდე?". (პირველი რადიო)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სენი, რომლითაც 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი დაავადდება



თუ თქვენ ჯერ არ ატარებთ სათვალეს, დიდი შანსია, რომ მისი გამოყენება საუკუნის მეორე ნახევარში დაგჭირდეთ.

ახალი კვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი, დაახლოებით 4,8 მილიარდი ადამიანი 2050 წლისთვის ახლომხედველობით, ანუ მიოფიით დაავადდება. ამ დროს, ადამიანები შორს არსებულ საგნებს გაბუნდებულად ხედავენ, ახლომდებარეს კი წმინდად.

აღნიშნული ტენდენცია 2000 წლიდან გასამმაგდა. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ ყოველი 10 ადამიანიდან ერთი დაბრმავდეს.

კვლევის მიხედვით, რომელიც ჟურნალ Opthalmology-ში გამოქვეყნდა, მსოფლიოს დიდ ნაწილში, ახლომხედველობაში დამნაშავე კომპიუტერთან ჯდომა და სმარტფონის ეკრანის დიდხანს ყურებაა.

როგორც კვლევის ერთ-ერთმა თანაავტორმა კოვინ ნაიდუმ ინტერვიუში განაცხადა, შედეგები საგანგაშოა და სერიოზულად უნდა აღვიქვათ

„საქმე გვაქვს გლობალური ჯანმრთელობის ნამდვილ კრიზისთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა გაქვთ თუ აფრიკაში ან ავსტრალიაში ცხოვრობთ", – აცხადებს ნაიდუ.

კვლევაში, რომელსაც ბრაინ ჰოლდენი უძღვებოდა, მონაცემები აღებულია 145 სხვადასხვა კვლევიდან, რომლებშიც სულ 2,1 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. შედეგებმა აჩვენა, რომ 2050 წლისთვის, 4,8 მილიარდი ადამიანი (დედამიწის მოსახლეობის 49,8 პროცენტი) ახლომხედველობით, ანუ მიოფიით იქნება დაავადებული. 2000 წელს ეს რიცხვი 1,4 მილიარდ ადამიანს (მოსახლეობის 23 პროცენტს) შეადგენდა.

„ახლომხედველობის მოსალოდნელი ზრდა დიდწილად მართული გარემო ფაქტორებით იქნება, ძირითადად ცხოვრების წესის შეცვლით, როცა ნაკლებ დროს ატარებენ გარეთ და მეტ დროს სამუშაოს უთმობენ", - წერენ კვლევის ავტორები.

რაც შეეხება გამოსავალს, ნაიდუს თქმით, დაავადების თავიდან აცილების საუკეთესო გამოსავალია დღეში ორი ან მეტი საათის სახლის გარეთ, ჰაერზე გატარება.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფიზიკურ ტკივილს ფინანსური პრობლემები იწვევს



ხომ გახსოვთ ის სიმღერა – „თუ ფული გაქვს, შენი ვარ". ვიღაც იტყვის, რომ ამ სიმღერაში ქალის სიხარბეზეა ხაზი გასმული, მაგრამ არა. აღნიშნული ფრაზით ქალი მომავალი ქმრის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ვინაიდან მეცნიერების მიერ დადასტურებული ფაქტია, რომ ფიზიკურ ტკივილს ფინანსური პრობლემების მქონე ადამიანები უფრო ხშირად განიცდიან, ვიდრე ფინანსურად უზრუნველყოფილები.

ფულთან დაკავშირებული პრობლემები ადამიანს ტკივილგამაყუჩებლის ხშირად მიღებას აიძულებს.

ასეთ დასკვნამდე მეცნიერები 6 ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგად მივიდნენ. ერთ-ერთი კვლევის შედეგად 2008 წელს სამსახურის დაკარგვასა და ტკივილგამაყუჩებლის გამოყენებას შორის დამოკიდებულება გამოვლინდა. მეორე ექსპერიმენტმა კი ფინანსური სტაბილურობისა და არასტაბილურობის დროს ექიმთან ვიზიტების სიხშირე გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ კრიზისის დროს სხვადასხვა ჩივილებით ექიმს უფრო ხშირად მიმართავდნენ.

ეკონომიკური დაუცველობის განცდა ისეთ მექანიზმს ააქტიურებს, რომელიც შფოთვასთან, შიშთან და სტრესთანაა დაკავშირებული. ის ადამიანს ტკივილის შეგრძნებას უჩენს.

ექსპერიმენტის სრულყოფისა და მეტი თვალსაჩინოებისთვის, მეცნიერებმა შეკრიბეს სტუდენტები, რომელთა ნაწილი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ნაწილს კი, ამ მხრივ, პრობლემა არ ჰქონდა. მათ ყინულებიან ჭურჭელში ხელის ჩადება სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ფულის უკმარისობას განიცდიდნენ, უფრო მალე ნებდებოდნენ და ექსპერიმენტს ეთიშებოდნენ.

მორალი – თუ გვინდა ჯანმრთელი მომავალი შევქმნათ, ხალხი დავასაქმოთ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრუკლინში მწვრთნელმა კლიენტის გამო 30 კილო მოიმატა



ყველა რომ თავისი საქმის პროფესიონალი უნდა იყოს, ცნობილი ფაქტია, მაგრამ გააჩნია, პროფესიონალიზმი რა რისკს მოითხოვს. როცა ფიტნეს-ინსტრუქტორი ხარ და ყოველდღე სხეულის ფორმაზე ზრუნავ, 30 კილოგრამის მომატება გმირობის ტოლფასია.

ადონის ჰილი კი, იმისთვის, რომ თავის კლიენტს გახდომაში დახმარებოდა და ქალს ამის ენთუზიაზმიც ჰქონოდა, დღეში 8000 კალორიას იღებდა და არ ვარჯიშობდა. ამ ხერხით სამი თვის განმავლობაში 30 კილო მოიმატა.

შემდეგ კი, 4 თვის განმავლობაში წყვილი ერთად ვარჯიშობდა, რის შედეგადაც ადონის კლიენტმა, ალისა კეინიმ 26 კილო დაიკლო.

ტრენერმა აღნიშნა, რომ წონის დაკლება იმაზე უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდა.

„ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ კიდევ მჭირდება დრო, რომ არასასარგებლო საკვებისგან გავთავისუფლდე", – განაცხადა პროფესიონალმა ტრენერმა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფულთან გადაღებული ფოტოების გამო 50 Cent სასამართლოში დაიბარეს



ამერიკელი რეპერი 50 Cent სასამართლოში ინსტაგრამზე ატვირთულ ფოტოებზე განცხადების გასაკეთებლად დაიბარეს. სურათებში რეპერი ფულის დასტებთან ერთად პოზირებს.

40 წლის რეპერი მოსამართლემ ახსნა-განმარტებისთვის იმ მიზეზით დაიბარა, რომ ფოტოების დაპოსტვამდე რეპერმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

„მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფულის დამალვასთან და გამჭვირვალობის ნაკლებობასთან. ჩვენი მიზანია, გაკოტრების პროცესის წარმართვა გამჭვირვალე იყოს", – განაცხადა მოსამართლემ.

სურათზე, რომელსაც 155 000 მოწონება აქვს, ასახულია მწოლიარე რეპერი 50 Cent, რომელსაც საწოლზე, გარშემო ფულის დასტები უწყვია.

რეპერმა თავი გაკოტრებულად მას შემდეგ გამოაცხადა, რაც სასამართლომ მას ზარალის ანაზღაურების მიზნით, რეპერ რიკ როსის ყოფილი მეგობარი გოგონასთვის თანხის გადახდა დააკისრა.

სასამართლო მოსმენის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

*okmagazine.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა სახელი გადაიკეთა და... ჩიზბურგერი დაირქვა



კულტურა და ღირებულებები დროის შესაბამისად იცვლება. თუ ადრე საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოდური სახელები ლესტანბერი და დრუჟბანაროდა იყო, დღეს ამერიკაში 33 წლის კაცს ორმაგი ჩიზბურგერი ბეკონით ჰქვია. ხელს კი ასე აწერს – ო.ბ. ჩიზბურგერი

სემ სმიტი ლონდონის ერთ-ერთ პაბში მეგობრებთან ერთად ერთობოდა, როცა ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლის მიღების შემდეგ, გადაწყვიტა, რომ მეგობრების დახმარებით რამე სასაცილო სახელი დაერქვა.

„ჩიზბურგერი ყველას უყვარს. თანაც ამაზე სასაცილო ვერაფერი მოვიფიქრე. მეგობრებმა კი, როგორც ნამდვილ მეგობრებს სჩვევიათ ყველა სისულელეში აყოლა და მხარდაჭერა, ჩემი იდეა ძალიან მოიწონეს", – აცხადებს ჩიზბურგერი.

კარგია, რომ ბეკონის სამსახურში კარგი იუმორი აღმოაჩნდათ და ახალ სახელს გართულებები არ მოჰყოლია. სახლში კი სხვადასხვანაირი რეაქცია დახვდა.

„დედა პირდაპირ გამძვინვარებული იყო ახალი სახელის გაგონებით, მამა კარგად გაერთო. საცოლე მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ არის, რომ ცოლად ჩიზბურგერს მიჰყვება. რომელი გოგო ოცნებობს ჩიზბურგერის ცოლობაზე, მაგრამ ქორწილამდე სახელს შევიცვლი", – პირობას დებს მხიარული საქმრო.

ორმაგი ჩიზბურგერი ბეკონით გასულ წელს 85 ათას სასაცილო სახელის მქონე ბრიტანელს შორის მოხვდა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფიზიკური დასჯა ბავშვის თვალებით – ყველა მშობლის საკითხავი



შვედმა მწერალმა ასტრიდ ლინდგრენმა, „კარლსონისა" და „პეპის" ავტორმა, 1978 წელს ერთი ამბავი მოყვა იმის დემონსტრირებისთვის, როგორ ხედავენ ბავშვები ფიზიკურ დასჯას.

„ერთხელ ერთ ქალს შევხვდი, პასტორის ცოლს. მასთან საუბარში გავარკვიე, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გადაუწყვეტია, არასდროს ეცემა ბავშვი, რადგან არ სჯეროდა აღზრდის ამ მეთოდის. სინამდვილეში იმ დროს ბავშვების გაროზგვა ძალიან გავრცელებული იყო. ერთხელ მის 5 წლის შვილს ძალიან უცელქია და ქალს, მიუხედავად თავისი შეხედულებებისა, მაინც გადაუწყვეტია ბიჭის გაროზგვა.

ქალმა ბიჭი ქუჩაში გაგზავნა, რომ თავადვე ეპოვა დასასჯელი წკეპლა. ბიჭი დიდხანს არ დაბრუნებულა, ბოლოს კი მთლად ცრემლიანი მოვიდა, ქვით ხელში. უთქვამს: „დედა, წკეპლა ვერ ვიპოვე, მაგრამ აი, ქვა, შეგიძლია, მესროლო".

უცებ ქალი მიხვდა, ბავშვის თვალებით ეს ყველაფერი ასე ჩანდა: თუ დედამ გადაწყვიტა, მცემოს, მაშინ არ აქვს მნიშვნელობა, რით გააკეთებს ამას, ქვითაც შეიძლება... დედა გაჩერდა, შვილს მოეხვია და ატირდა. მან ქვა შეინახა, რომ ხშირად გაეხსენებინა ეს ამბავი და ის ფაქტი, რომ ფიზიკური დასჯა გამოსავალი არ არის".

ასტრიდ ლინდგრენმა დასძინა, რომ, თუ სიტუაციას ბავშვის თვალებით შევხედავთ, შევძლებთ მას რაღაც სწორად ვასწავლოთ.

მწერლის ნაამბობ ამ ამბავს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება და განხილვა მოჰყვა. ერთი წლის შემდეგ კი შვედეთი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც სკოლასა და სახლში ბავშვების ფიზიკური დასჯა აკრძალეს.

*mshoblebi.ge*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი კვენტინ ...
2. სახუმარო სცენა
3. ბაღი, პარკი
4. თვითნასწავლი მხატვრობა
5. მგალობელი ფრინველი
6. მსხლის ჯიში
7. საწვავი აირი
8. საბერძნეთის დედაქალაქი
9. მწერი სამზარეულოში
10. ფედერიკო ფელინის ფილმი
11. 1000კგ
12. ქალაქი აჭარაში
13. ტენორი მარიო ...
14. ჩონჩხის ნაწილი
15. რუსი ილუზიონისტი
16. მაღაზია, ანუ ...
17. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
18. მთრიმლავი ნივთიერება
19. რეჟისორი ჯონ ...
20. ჭადრაკის სწრაფი პარტია
21. თევზის ჯიში
22. ბრტყელი თევზი
23. მწერალი ივანე ...
24. მსახიობი ... კრუზი
25. ან ..., ან არა
26. სასწორის ჯამი
27. სოფელი დუშეთის რაიონში
28. შექსპირის ტრაგედია
29. სირაქლემას სახეობა
30. მამითადი
31. მწერალი სომერსეტ ...
32. იტალიური ავტომობილი
33. მევიოლინე ვანესა ...
34. ნაგვის ასაღები
35. სახელმწიფო აფრიკაში
36. მოხარშული ხორცი
37. ... კუზანოვი
38. ძვ. ბერძენი ტრაგიკოსი
39. სუბტროპიკული მცენარე
40. ძუნწი და შურიანი
41. შეძახილი ტკივილისას
42. წრის ფორმის საგანი
43. მომღერალი ბობ ...
44. გადაბრუნებ. ასო დელტა
45. მისი დედაქალაქია დელი
46. ცხენების სადგომი
47. მხატვარი რაფაელ ...
48. თოვლის ბაბუა ... კლაუსი
49. დახლართული გასასვლელი
50. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
51. იაზონის გემი
52. დოსტოევსკის რომანი
53. მდინარე ქუთაისში
54. გერმანული ავტომობილი
55. სატირული მიბაძვა
56. ზამთრის სამოსი
57. ნილოსის რეპტილია
58. ქალაქი აშშ-ში
59. ბრმანაწლავის ანთება
60. ქალაქები ... და გომორა
61. წინაღობის ერთეული
62. ქეიფი
63. გეგა კობახიძის კინოროლი
64. ყველაზე მტკიცე მინერალი
65. კიპლინგის მოთხრობა
66. ხის ტოტი
67. მწვერვალი ყაზბეგი
68. სამკურნალო მცენარე
69. ძვლების დაავადება
70. თბილისის უბანი
71. დარდი, ვარამი
72. ხილი
73. ავადმყოფობის ფურცელი
74. თეთრი თიხის კერამიკა
75. მხ/ფ „მიმინო“ პერსონაჟი
76. ანცი
77. იაპონური თაიგული
78. კრილოვი „... და კრავი“
79. ესპანეთის დედაქალაქი
80. რას წერს პოეტი
81. მინდვრის ყვავილი
82. მსახ. ... საკანდელიძე
83. ნიშნავს სამს
84. ზღაპარი „12 ...“
85. წითელი მასა, რომელსაც წერილებს აწებებდნენ
86. გრძელი მათრახი
87. აბუ ალი იბნ სინა, ანუ ...
88. ტბა აფხაზეთში
89. დაუმუშავებელი მიწა
90. დაბალფასიანი
91. დაღუპული ცივილიზაცია
92. ბილიარდის ჯოხი
93. მისი დედაქალაქია ბუქარესტი
94. ქსოვილი ფანჯარაზე
95. ექსპრეზიდენტი ჯიმი ...
96. მწერალი ლუიჯი ...
97. კურორტი კრასნოდარის მხარეში
98. გარეული ფრინველი
99. გეომეტრიული ფიგურა
100. მდიდრული აგარაკი
101. ოტელოს ეროვნება
102. წყლის ტრანსპორტი
103. მსახიობი ... რივზი
104. თოვლის კაცი
105. სამშენებლო მასალა
106. ... ბედის მონახევრეაო
107. უმცროსი მედიცინ. მუშაკი
108. მსახიობი რიჩარდ ...
109. მეცნიერი ლუიჯი ...
110. ... ფიტცჯერალდი
111. ... ჭრის და ... კერავს
112. ქართ. ხალხური სიმებ. საკრავი
113. მსახიობი ნატო ...
114. 1000 ვატი
115. შურისძიება სიცილიურად
116. სიმინდის ყვავილედი
117. მსახიობი ჯულია ...
118. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
119. ბიზეს ოპერა
120. მწყემსის მოსასხამი
121. პოეტი ... ასათიანი
122. ზამბახი
123. ბერძნული ცეკვა
124. კომპოზიტორი ... კალმანი
125. მსახ. ... მახარაძე
126. პარიკმახერი, ანუ ...
127. მსახიობი .. აფლეკი
128. მსახიობი ... თბილელი
129. კავშირებითი სიტყვა
130. ... ძედუნი
131. ურემი ... გადაბრუნდება
132. ხორცის პროდუქტი
133. პირველი ორნიშნა რიცხვი
134. მხ/ფ „განგაში“ პერსონაჟი
135. ცივი იარაღი
136. რკინის საგანი ცხენის ფლოქვზე
137. მარჯნის კუნძული
138. ჭამის სურვილი
139. „... ხარ ვენახი“
140. იაპონური მულტიპლიკაცია
141. ანჩხლი
142. სუნიზმი და ...
143. მომღერალი ... ჯაგერი
144. შოტლანდიური ნაგაზი
145. მსახიობი ვივიენ ...
146. რეჟისორი ... სკოლა
147. რაზე აგებენ პარკეტს
148. მწერალი ... ტვენი

პასუხები: 1. ტარანტინო; 2. გასკონადა; 3. სკვერი; 4. ნაივი; 5. მოლაღური; 6. გულაბი; 7. მეთანი; 8. ათენი; 9. ტარაკანი; 10. „რვანახევარი“; 11. ტონა; 12. ქობულეთი; 13. ლანცა; 14. მენჯი; 15. კიო; 16. მარკეტი; 17. ქალამანი; 18. ტანინი; 19. ვუ; 20. ბლიცი; 21. იშხანი; 22. კამბალა; 23. ბუნინი; 24. ტომ; 25. ჰო; 26. პინა; 27. ბარისახო; 28. „ჰამლეტი“; 29. ემუ; 30. ნადი; 31. მოემი; 32. „ფიატი“; 33. მეი; 34. აქანდაზი; 35. ეთიოპია; 36. ხაშლამა; 37. ივა; 38. ევრიპიდე; 39. მაგნოლია; 40. ხარბი; 41. ვაი; 42. რგოლი; 43. მარლი; 44. ნაბლა; 45. ინდოეთი; 46. თავლა; 47. სანტი; 48. სანტა; 49. ლაბირინთი; 50. კოპოლა; 51. „არგო“; 52. „იდიოტი“; 53. რიონი; 54. „აუდი“; 55. პაროდია; 56. პალტო; 57. ნიანგი; 58. ბალტიმორი; 59. ტიფლიტი; 60. სოდომი; 61. ომი; 62. ნადიმი; 63. ლაზარე; 64. ალმასი; 65. „მაუგლი“; 66. რტო; 67. მყინვარწვერი; 68. ლენცოფა; 69. რაქიტი; 70. ოქროყანა; 71. კაეშანი; 72. ქლიავი; 73. ბიულეტენი; 74. ფაიფური; 75. ხაჩიკიანი; 76. ცელქი; 77. იკებანა; 78. მგელი; 79. მადრიდი; 80. ლექსი; 81. ყაყაჩო; 82. კარლო; 83. ტრი; 84. თვე; 85. ლუქი; 86. შოლტი; 87. ავიცენა; 88. რიწა; 89. ყამირი; 90. იაფი; 91. ატლანტიდა; 92. კიი; 93. რუმინეთი; 94. ფარდა; 95. კარტერი; 96. პირანდელო; 97. ანაპა; 98. წერო; 99. წრე; 100. ვილა; 101. მავრი; 102. ნავი; 103. კიანუ; 104. იეტი; 105. არმატურა; 106. ცდა; 107. სანიტარი; 108. გირი; 109. გალვანი; 110. ელა; 111. თან; 112. ფანდური; 113. ვაჩნაძე; 114. კილოვატი; 115. ვენდეტა; 116. ტარო; 117. ორმონდი; 118. ფარჩა; 119. „კარმენი“; 120. ნაბადი; 121. ლადო; 122. ირისი; 123. სირტაკი; 124. იმრე; 125. კოტე; 126. დალაქი; 127. ბენ; 128. მარინე; 129. და; 130. მაო; 131. რომ; 132. ძეხვი; 133. ათი; 134. ფოთოლა; 135. გორდა; 136. ნალი; 137. ატოლი; 138. მადა; 139. შენ; 140. ანიმე; 141. ავი; 142. შიიტი; 143. მიკ; 144. კოლი; 145. ლი; 146. ეტორე; 147. იატაკი; 148. მარკ. იკითხება: მერილინ მონრო.



# მანანა გიორგაძეს!

ჩვენს უმშვენიერეს და უსაყვარლეს რედაქტორს ვულოცავთ დაბადების დღეს! ჩვენო მანა, სამყარო ბევრად მშვენიერი გახდა მას შემდეგ, რაც შენ დაიბადე! ძალიან გვიყვარხარ და გისურვებთ დიდ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობასა და პროფესიულ წარმატებებს!

*ალიელები*

## 6 კილო კარტოფილი 10 წუთში შეჭამა



არ იფიქროთ, დამშეული იყო და ამიტომაც შთანთქა 6 კილო კარტოფილი ამერიკელმა პეტ ბერტოლეტიმ. არა! საქმე ის ყოფილა, რომ გასულ დღეებში ტორონტომ შემწვარი კარტოფილის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა და მაყურებლების დიდი გაკვირვებაც გამოიწვია.

როგორც ირკვევა, პეტ ბერტოლეტიმ 13 ფუნტ (დაახლოებით 5,9 კილო) შემწვარ კარტოფილს ბოლო 10 წუთში მოუღო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა.

საერთო ჯამში, ფინალში 11 მონაწილე გავიდა, თუმცა „კარტოფილის მმუსვრელს“ ვერავინ აჯობა და შეჯიბრს დროზე ადრე გამოეთიშა.

მართალია, გამარჯვების სანაცვლოდ, ბერტოლეტიმ არცთუ ისე დიდი საჩუქარი, სულ რაღაც, 750 აშშ დოლარი მიიღო, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მთავარი ის ემოციებია, რომელიც მსგავს ღონისძიებებს ყოველთვის თან სდევს.

**mainfun.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*

„აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ თანაგრძნობას უცხადებს ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ბატონ ზვიად ბახუტაშვილის ოჯახს, დედის ქალბატონ

**ქუქუნა ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“ (ყოფილი საქკამაზავტოცენტრი) ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების გენერალური დირექტორის მოადგილე

**თამაზ ჭანტურაია**

შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-ის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**24 თებერვალი:** შეგიძლიათ, საკუთარ თავს მცირეოდენი თაღლითობის უფლება მისცეთ. მაგრამ რაოდენ კეთილი მიზნებიც არ უნდა გამოძრავებდეთ, ამის გაკეთება არ ღირს.

**კურო 22.04-21.05**

**24 თებერვალი:** მორალურ-ეთიკური ნორმებით თავს ძალიან ნუ შეიზღუდავთ, რამდენიმე სურვილი მაინც დაიკმაყოფილეთ, თორემ ჟინი მოსვენებას არ მოგცემთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**24 თებერვალი:** როგორც არ უნდა გეჩქარებოდეთ, დადგენილი წესები არ დაარღვიოთ, თორემ ამის საფუძველზე მოგედავებიან და საკმაო პრობლემებს შეგიქმნიან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**24 თებერვალი:** თქვენთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ნებისმიერ სურვილს საფუძველშივე მოსპობთ. შეეცადეთ, საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე არ მივიდეს.

**ლომი 23.07-22.08**

**24 თებერვალი:** მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით და ვინმესგან ამის გამო განმარტებებს ნუ მოითხოვთ. მაინც არავინ არაფერს არ გეტყვით.

**ქალწული 23.08-22.09**

**24 თებერვალი:** ისე მოიქეცით, რომ არაფერში მოგედავონ, რადგან გარშემომყოფნი თქვენ მიმართ უარყოფითად იქნებიან განწყობილი და საბაბი არ მისცეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**24 თებერვალი:** შეიძლება, პიროვნული გაორება დაგემართოთ. ერთი მხრივ, აქტიურობა მოგინდებათ, მეორე მხრივ – დასვენება. ოქროს შუალედი მოძებნეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**24 თებერვალი:** სანამ საქმეს წამოიწყებთ, ყველაფერი კარგად აწონდაწონეთ და სწორი ტაქტიკა შეარჩიეთ, თორემ შედეგი იმაზე ბევრად ნაკლები იქნება, რასაც ელოდებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**24 თებერვალი:** დღევანდელმა მოვლენებმა თქვენს მომავალ საქმეებზე შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს. ასე რომ, შეგიძლიათ, სამომავლოდ კარგი ბაზისი შეიქმნათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**24 თებერვალი:** დღეს მოვლენები თქვენს სურვილებზე ნაკლებად იქნება დამოკიდებული, ამის მიუხედავად, მათთან შეგუება მოგიწევთ, შეწინააღმდეგებით ვერაფერს მიაღწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**24 თებერვალი:** თქვენი ამოცანაა, დღევანდელი საქმეები კარგად დაგეგმოთ და ფეხდაფეხ მიჰყვეთ. ასეთ შემთხვევაში წარმატების კარგი შანსი გექნებათ.

**თევზები 19.02-20.03**

**24 თებერვალი:** თუ რომელიმე ახლობელთან ურთიერთობა გაგიფუჭდათ, და აღდგენა გინდათ, მართალიც რომ იყოთ, შესარიგებლად პირველი ნაბიჯი თქვენ გადადგით.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**

## რატომ არ უნდა შეადაროთ თქვენი ხელფასი სხვისას?



ამ კითხვას საკმაოდ არასასიამოვნო პასუხი ფრანგმა მეცნიერებმა გასცეს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „როცა ადამიანი საკუთარი შემოსავლის ოდენობას სხვისას ადარებს, შესაძლოა, შედეგად ქრონიკული დეპრესია მიიღოს...“

საინტერესოა, რომ ფრანგი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ კვლევაში ოთხი ქვეყნის 19 ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ხელფასების შედარებისას, ადამიანების უმრავლესობა, უფრო კონკრეტულად კი 87 პროცენტი, საკუთარი თავის რწმენასა და სიცოცხლის ხალისს კარგავს. კვლევის შედეგად დადგინდა ისიც, რომ ხელფასის სხვაობის აღქმა განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ღარიბ ადამიანებზე ახდენს და ქრონიკული დეპრესიის რისკის ჯგუფში სწორედაც რომ ღარიბები შედიან.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**myjane.ru**



– მას მერე, რაც ჩემს შვილს ფულს შევპირდი კარგ ნიშნებში, ბოლო დროს სულ 10-იანები მოაქვს სკოლიდან!

– მერე რა არის მაგაში ცუდი?

– კაცო, მე მგონი, მასწავლებელთან არის შეკრული და ფულს იყოფენ, გამყვლიფეს კაცი!..

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.15